

ლიტერატურული გაზეთი

ვასილ ბესელია ცალი ფეხსაცმელი ხუთფაილიანი მოთხრობა

ფაილი 1 თავსხმა

იმ წელს საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი და სამსახურშიც დამაინაურეს. საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ დამნიშნეს. ეს მაშინ, ოცდაათი წლის კაცისთვის, სერიოზულ წარმატებად ითვლებოდა. გლდანში ვცხოვრობდი, ჩეხური პროექტის ოთახნახევრიან ბინაში. ცოლი მე არ მყავდა და შვილი. დავქროდი ჩემი წითელი „ნოლშესტიტ“, ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამინა — ქალამნად.

ოცდათერთმეტ დეკემბერს კოკისპირულად წვიმდა. საავადმყოფოდან მე და ჩემი უფროსი, ბატონი ლუკა, ერთად გამოვედით. ლუკამ, თუ კაცი ხარ, სახლში წამიყვანე, ამ წვიმაში ტაქსი სად ვნახავო. „ვაჟაზე“ ცხოვრობდა, მეტრო „დელისთან“. კორპუსთან მივიყვანე, ახლა თუ არ გადმოხვალ, ძალიან მანყენინებო. ვიუარე, მაგრამ ბოლოს მანქანა ტროტუარზე შევაყენე და სახლში ავყვედი. გადასარევი ღვინო მაქვსო, კიბეზე მეუბნება, მამაჩემის დაწურული ცოლიკოური, ვედრო რო დალიო, თავს არ აგატკივებსო.

ლუკას მეუღლემ, დიდი სინით, მოხარული ღორის თავი წინ დამიდო, მერე სამზარეულოდან გამარმარებული დანა გამომიტანა.

დიდი ჭიქებით ვსვამთ. ვთლი ღორის თავს ვუცხებ ნიგვზიან აჯიკას და გემრიელად ვილუკებ. ლუკა, მისი მეუღლე და ქალიშვილი, მარხვაზე ვართო, და აჯაფსანდალს მიირთმევენ.

უკვე მესამე გრაფინიდან ჩამოვასხით. შევთვევით.

— უჰ, რა კაია აჯაფსანდალი! — გულზე ხელს იბრაგუნებს ლუკა.

კარგა და გემრიელს მე ვჭამ და ხმას არ ვიღებ, რა უხარია ამ კაცს-მეთქი, გულში ვფიქრობ.

— ეს ტომათიანი სტაფილო ხომ მთლად სასწაულია! — მუცელზე ხელს ისვამს ლუკა და ხარხარებს, — ე, ბიჭო, თქვი რამე, ამათი გემო არ გეიშვა, რავარია სიმინდით ნასუქი ღორის თავი?!

აშკარად ქალების ერიდებოდა, თორემ რა დროს მარხვა იყო!

ასე, ათის ნახევარზე მასპინძლებს გამოვემშვიდობე. ახალ წელს, ტრადიციულად, მუხიანში, ძმის ოჯახში ვხვდებოდი. მივიდოდი ათი საათისთვის და დილაზე ვუბერავდი.

წვიმს, ცა ჩამოიქცა. კორპუსის წინ, ვინრო ქუჩაზე, კოჭებამდე წყალი დგას.

ქუსლებზე ხტუნვა-ხტუნვით მივალნი „ჟიგულამდე“, დავქოქე და „პავლოვზე“ დავეშვი.

მთვრალი ვარ.

„პავლოვი“ მდინარედაა ქცეული. თავსხმას ბორბლებიდან ათქეშილი წყალიც ემატება. ნელა მივდივარ. ვხედავ, წინ გოგონა გარბის, ხმა არ მესმის, მაგრამ, სავარაუდოდ, შველას ითხოვს. უკან ორი ბიჭი მისდევს და სადაცაა დაეწვიან კიდევ. სიჩქარეს მოვუმატე, გავუსწორდი თუ არა მორბენალს, დავამუხრუჭე და წინა კარი გავუღე. ქალი სალონში შემოვარდა. მანქანა ისე დავძარი, კარი ბომბის ხმით დაიკეტა, გავვარდი და საბარგულზე ხელების ბრაგუნის და კარგების გინებაც თან გავიყოლე.

II-III

ბექა ახალაია პანაშვილი

მოკვდა კაცი, გარდაიცვალა — სახელგანთქმული მოაზროვნე, ფილოსოფოსი, პოეტი და თან თეოლოგიც... ეკლესიაში გადაასვენეს და კრძალვის დღეს, ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა. პანაშვიდი როცა დასრულდა, სიტყვა თქვა ზოგმა, წრფელი გულით დაემშვიდობნენ პატივსაცემ კაცს, და ერთ-ერთმა (ფილოსოფოსმა) როდესაც ბრძანა,

ის განიძქრა არარაშიო, მოძღვარმა რიხით შეუსწორა, ღმერთში განიძქრა, ზეციერშიო... მე კი, ამ დროს, მიცვალეზულის პატარა ლექსი გამახსენდა — სამტაეპედი — და ვთქვი ხმადაბლა: „თუ სიკვდილი, კაცის სიკვდილი, მისი სიცოცხლის წერტილია, მაშინ მე, როგორც აპოლინერი, უარვეყოფ და არ ვცნობ საერთოდ პუნქტუაციას!“

IV-V

რაულ ჩილაჩავა

ციკლიდან

„სადაც არა ვარ, ისევ იქ მინდა!..“

წვიმა თბილისში

წვიმამ თბილისშიც არ მიმატოვა, ჩამომაკითხა კოლხურ დარდებით. მაგრამ მე წუხილს არ ჩავებარდები, თუმცა ძველებურად აქაე მარტო ვარ.

წვიმს... მთანმინდიდან უბერავს ქარი, ქალაქს სახეზე წილის ჩადრი აქვს. და რადგან თოვლზე ფიქრი ადრეა, თავსხმაზე დუღუნს აგრძელებს მტკვარი.

მე შენ გიხსენებ — სათნოს და კეთილს, და ველარც ვამჩნევ, ისე ვსველდები. ძველი თრთოლვით და ძველი ელდებით მიბრუნებს შენს თავს ყოველი წვეთი.

და სანამ ასე წვიმს გახელებით და უცახცახებთ ხეებს რტოები, ვდგავარ ზღვა ხალხში განმარტოებით და განვდილი მაქვს შენკენ ხელები.

VIII-IX

დასაწყისი პირველ გვერდზე

გოგონა ჩემკენ ოდნავ გადმოხრილი ზის პალტოში თავჩამალული. „გაგარინის მოედანზე“ გაჩერდი. სად წავიყვანო-მეთქი, ვეკითხები. ხმას არ იღებს. სინათლე ავანთე. მთლად განუწულია. ფეხზე არ აცვია. ცალი ფეხსაცმელი ხელში უჭირავს, მეორე ალბათ დაკარგა. კანკალებს. საყელო გადავუწიე და სახეზე დავაკვირდი. სძინავს. გათიშულია. რეაქცია არ აქვს. მანქანის ღუმლის ვენტილატორი ჩავრთე და სალონი მაქსიმალურად დავათბე. აუ, რა ვუყო ახლა ამას. არადა, ძმის ოჯახში მელოდებიან. ამ ჩაძინებულ ქალს იქ ხომ ვერ მივიყვან. შუბლზე ხელი დავადე. ცხელია. ნაიყვანო და დავტოვო საავადმყოფოში? ატყდება ერთი ამბავი, უფროსმა გზაში დაჭრილი ბოზი მოგვაცნაო... არა, არა, სახლში ნაიყვან, გამოკეთდება და თვითონ მოუვლის თავს. თან, რა დაგიმალათ და, მაინტერესებს კიდევ ეს ციდან ჩამოვარდნილი ქალი. მამაკაცური ქვეცნობიერი რაღაც იდუმალს მიქადის. ამას სიმთვრალეც ემატება. მოკლედ, წავედი გლდანისკენ!

მანქანა სადარბაზოს მივაციე. ამასობაში გადაიწვია. თითქმის არ წვიმს. გადმოვედი და ლიფტი გამოვიძახე. გამოვბრუნდი და გოგონა ხელში ავიყვანე. კაციშვილი არ ჭაჭანებს. ავედი მეექვსე სართულზე, ვაი-ვაგლახით მოვარგე კარს გასაღები და მიხინაღე მზეთუნახავიანად ოთახში შევედი. ორი სანოლი მედგა. ერთი, ფარდითა და ნახევარკედლით გამოყოფილ ვითომ საძინებელში, და მეორე — იმპროვიზებულ ზალაში, ლოჯის მხარეს. სწორედ ამ სანოლზე დავანვინე. შუქი ავანთე. კიდევ ვცადე გაღვიძება, მაგრამ შენც არ მომიკვდე, აზრზე ვერ მოვიყვანე. გავხადე სველი პალტო, ჟაკეტიც სველია... მოკლედ, მშრალს ვერაფერს უპოვი! უცებ გამოვფხიზლდი. ამის ასე დატოვება არ შეიძლება. მთლად გასაშიშვლებელია. მშრალები უნდა ჩავაცვა. ჩემში ექიმის ინსტიქტი ამოქმედდა. უცებ ჩემთვის პაციენტად იქცა. გავხადე კალგოტკა, სველი და ტალახიანი, გავამიშველე მთლიანად, ხელში ავიყვანე, საბანი გადავწიე და ლოჯინში ჩავანვინე.

დადგა ახალი წელიც და გარეთ ატყდა ერთი ბათქაბუთიქი! ვის აქვს ახალი წლის თავი. გაუზომე სიცხე. ოცდაცხრამეტამდეა.

პირსახოცი რადიატორზე გავათბე და მუხლს ქვემოთ, ფეხებზე შემოვახვიე. ეს პროცედურა რამდენჯერმე გავიმეორე. ჩავაცვი ჩემი თბილი მაისური და რეიტ-უზი. კანკალი შეწყვიტა.

საბანი კარგად შემოვუქციე. ჩავრთე ტელევიზორი, ფარდა გადავწიე და ჩემს ლოჯინზე წამოვსვი. მეშინია, ვაითუ გაიღვიძოს და ისტერიკა ატეხოს, რა ვიცი ვინაა, გიჟია? ჭკვიანია? მოკლედ, შარია!

*

დაახლოებით სამი საათი ეძინა. ლოჯინზე წამოვსვი. სად ვარო, ხმამალლა იკითხა.

— ჩემთან ხარ, — ვუპასუხე.
— თქვენ ვინ ბრძანდებით?
— მანქანა გაგიჩერე!
გაჩუმდა.

— ტუალეტში მინდა გასვლა. სადაა?
— შენ პირდაპირაა, მიაგნებ.

ავდექი და ჩუსტები სანოლთან დავუწყვე. შემინებული მომჩაერდა და საბანი შემოიხვია. მოვბრუნდი და ისევ ფარდებში შევიმალე. წამოდგა. ჩუსტებში ფეხები წაჰყო და გავიდა. ხველზეა აუტყდა.

— სიცხე გაიზომე! — გავძახე ფარდიდან მობრუნებულზე, — თერმომეტრი სკამზე დევეს. დაფრთხილია.

— კარგი.

დაახლოებით ათ წუთში მეუბნება:

— ოცდაცხრამეტზე ცოტა მეტია!

ავდექი და ორი ცალი პარაცეტამოლი მივანოდე, თან ჭიქა წყალი სკამზე დავუდგი. დალია და ჩანვა. შალის ადილა გადავამატე. ჩაეძინა. გამოვრთე ტელევიზორი და ლოჯინში ჩავნექი.

*

დილით გვიან გამეღვიძა და იმწუთას სტუმარს გავხედე. ეძინა. მივედი და შუბლზე ხელი დავადე. ცხელი იყო. ფეხაკრეფით შევედი სამზარეულოში და სიგარეტს მოვუკიდე. თავი მიბრუნდა. ცოლიკაური მაინც თავისას შერებოდა. გამახსენდა, ნუხელ არ მივბრუნებულვარ და მანქანის კარი არ დამიკეტავს. ცუდი დრო იყო, ავტომობილებს პანტაპუნტით ძარცვავდნენ და იტაცებდნენ. სასწრაფოდ ჩავიცვი და ლიფტით ჩავედი. მანქანას, ბედზე, არავინ მიკარებია. ჩავჯექი და გასტრონომისკენ დავეხვიე. პური, ძხვი და კვერცი ვიყიდე, სხვა არაფერი ჰქონდათ. რაღაც კექსისმაგვარი ნამცხვარი, არაყი და ორი ბოთლი „ტიბაანი“ გამოვაცოლე. ფრთხილად შევედი სახლში და პროდუქტები სამზარეულოში, მაგიდაზე დავანყვე. ის ცალი ფეხსაცმელიც წამოვიღე, ჩაჯდომისას ხელში რომ ეჭირა, მეორე ვერ ვიპოვე.

— თქვენ ბრძანდებით? — მომესმა ზალიდან.
— ხო, მე ვარ, როგორა ხარ?
— ოცდათვრამეტი მაქვს სიცხე, ცოტა თავიც მტკივა.
ზალაში გავედი.
— რა გქვია? — ვკითხე.

— ტანზე თქვენ გამხადეთ?
— ხო, მთლად სველი იყავი. მანქანაში ცალი ფეხსაცმელი იყო. მეორე დაიკარგა.
— ღმერთო, როგორ მრცხვენია, ნეტავი მოვკვდე!
— რატომ მოგდევენენ ის ბიჭები, მომიყვი, რა უნდოდათ, ვინ ხარ...
— ანამარია ვარ, ჩირაძე, კასპელი, ოკამში ვცხოვრობ. აქ კლასელს ბინა აქვს ნაქირავები, სტუდენტია, სახალწლოდ ვესტუმრე. ორი კვირა ვაპირებდი დარჩენას. გუშინწინ ჩამოვედი. გუშინ ჩემმა დაქალმა მეგობრები დაპატიჟა. ოთხნი იყვნენ, ერთი გოგო და სამი ბიჭი. რომ შეთვრნენ, ერთმა ეს ჩემი მეგობარი საძინებელში გაიყვანა, მეორე წყვილი ლოჯში გავიდა, იქ გაშლილი ტახტი იდგა. მე ტუალეტში გავალ-მეთქი, ვუთხარი მესამეს, სავარაუდოდ, ჩემთვის გამიზნულს. დერეფანში გასვლისთანავე პალტო ჩამოვხსენი, ფეხსაცმლის ჩაცმის დრო არ მქონდა, კარი გავაღე და კიბეზე დავეხვიე. თითქმის ჩასული ვიყავი, კარის ხმა რომ გავიგონე, გაიქცა ეს მაკალი და გამოიმდგნენ. ფეხშიშველი გავიქეცი.

— და სად გარბოდი, ან რატომ გარბოდი?
— მომდევენენ და გავრბოდი, არ ვიცი, სად გავრბოდი, იქაურობას უნდა გავცლოდი.

— რომ დავგნოდნენ, რას გიზამდნენ, უკან წავატრევდნენ, თუ გზაში გაგაუპატიურებდნენ, როგორ ვიქრობ?

— არ ვიცი, ალბათ ვერც წამათრევდნენ, ვერაფერსაც ვერ მიზამდნენ და თავს დამანებებდნენ, მაგრამ მაშინ ამდენს ვერ ვტვინავდი... მერე თქვენ მანქანა გამიჩერეთ, ჩავჯექი და მეტი არაფერი მახსოვს!

— შოკში იყავი, გათიშული, მე მეგონა, მოსაკლავად მოგდევენენ. შენც თითქოს შეველას ითხოვდი, ასე მომესმა...

ანამარია გაჩუმდა. ხველა აუტყდა. დაუჯერებელს ჰყვებოდა, თუმცა დაჯერებაც შეიძლებოდა.

— ჩემი ტანსაცმელი სადაა?
— პალტო და ჟაკეტი ლოჯშია, თოკზე

გაკიდული, დანარჩენი აბაზანაშია, გასარეცხია.

— ნეტა მოვკვდე, — ისევ გაიმეორა,
— სირცხვილის სიცხე მაქვს!

— ნუ გრცხვენია, ექიმი ვარ!
— მართლა? მაინც მრცხვენია, თქვენ მე შიშველი მნახეთ!

გადავიხარხარე. შიშველი ქალების მეტი რა მინახავს-მეთქი, ვუთხარი. ახლა ფილტვებს მოვუსმენ და რამე ჩასაცმელს მოგცემ, პური და ძხვი ვჭამოთ ამ საახალწლოდ და ჩაი მივაცოლოთ, სხვა რა გზა გვაქვს.

— მარტო ცხოვრობთ? ცოლ-შვილი არ გყავთ?

— ხო, მარტო ვარ!

კარადიდან ფონენდოსკოპი გამოვიღე. ჯერ კი იუარა, მაგრამ მერე წამოჯდა. მაისური ავუწიე და ზურგზე შემბრანა დავადე. ისეთი ქათქათა და გლუვი კანი ჰქონდა,



თვალეები მომჭრა, მერე ფონენდოსკოპი წინ, მკერდექვეშ შევუცურე და როცა გავარვარებულნი ძუძუ ხელზე შემეხო, გამაჟრჟოლა და სასწრაფოდ მოვშორდი — არაფერი გჭირს-მეთქი, ვუთხარი.

*

სამი დღე მაღალი სიცხე ჰქონდა. მერე ცოტა მოიხედა. სამსახურში გვიან მივედი და ადრე ვბრუნდებოდი. ფეხსაცმელები ვუყიდე. ფული მივეცი და მაღაზიებში ნაიყვანე, თავისთვის რაღაცები თვითონ იყიდა. ალბათ იმ ბიჭებმა შენი მანქანის ნომერი დაიმახსოვრეს და მოგძებნიანო, მიტხრა ერთხელ მანქანიდან გადმოსვლისას. დავამშვიდე, მომსვლელი აქამდე მოვიდოდა, სანომრე ნათურები საერთოდ არ მინთებს და ვერაფერს დაინახავდნენ, ან რატომ უნდა მომძებნონ, რა აზრი აქვს-მეთქი!

სახლი დამინკრიალა, ფარდები დაკიდა. რაღაც ტაშტები და ქვაბები მაყიდვინა, ასე ცხოვრება როგორ შეიძლება, მერე რა, რომ მარტო ხარ, ყველაფერი უნდა გქონდესო. ვატყობდი, უხაროდ ჩემთან ყოფნა, წასვლაზე არაფერს ამბობდა, არც იმ კლასელს ახსენებდა, ვისთანაც, სავარაუდოდ, ერთი ჩანთა მაინც ექნებოდა დატოვებული სოფლიდან ორი კვირით სტუმრად ჩამოსულ ქალს. დილით ადრე დგებოდა, ჩაის მიდუღებდა, უჭმელი ნუ ნახავლო. ტანსაცმელს მინესრიგებდა. მოკლედ, ოჯახური იდილია შემქმნა. რამდენჯერ ვიფიქრე, ახლა მოვეხვევი და ვაკოცებ-მეთქი, მაგრამ თავს ვიკავებდი, მოლოდინს ვიხანგრძლივებდი, გაურკვევლობა მჭირდა, თვითონ კი ისე უშუალოდ და მიამიტურად იქცეოდა, საცოდაობა იქნებოდა, ბოლოს განბილებული დარჩენილიყო...

დილით დავ უკეთესდებოდა. თითქოს უფრო გალამაზდა, უფრო მაღალი და მხიარული ჩანდა. სამსახურში ლუკას გავენდე, არც მინდა წავიდეს, არადა, ასე სანამ უნდა ვიყოთ-მეთქი.

— ბოლოსდაბოლოს რაღაც ხომ უნდა გადანყდეს!

იმ დღეს შინ წასვამი მივედი. კარი გავაღე და გავჩერდი. განაბული ველოდებოდი, როდის გამოძახებდა — „შენ ხარ?“ არ გამოძახა.

— ანამარია!

ზალაში შევედი. მაგიდაზე წერილი დამხვდა — „გელოდე, გელოდე და წავედი!“ ვიგრძენი, როგორ ამინია წნევამ და როგორ უცებ დაკარგა აზრი ყველაფერმა!

*

ორი დღე ჩემს ჭკუაზე არ ვიყავი. სამსახურს გულს ვერ ვუდებდი. ნავიდეო ოკამში, მეც გამოგყვებო, მეუბნებოდა ლუკა, კვირას წავიდეთო. არა, სამუშაო დღეებში სჯობს, საბჭოში მივალთ, კარდაკარ ხომ ვერ ვივლით-მეთქი. კარგი, მაშინ შენ გადანყვით. თან ვბრუნდებოდი, როგორ მაიძულებდა ეს ერთი ციტყნა გოგო მის კვალზე ბოდიას! თან მწარედ მეცინებოდა — ამხელა საავადმყოფოს დირექტორი და მისი მოადგილე სამკურნალო დარგში დადიან და ვილაც ჩიტირეკია გოგოს ეძებენ!

ამ ფიქრსა და წვლებში კიდევ სამი თუ ოთხი დღე გავიდა და ისე მომეკიდა მონატრების ცეცხლი, მოთმენა წარმოუდგენლად გამიჭირდა, შევატყვე, ჭკუას ვკარგავდი, მიყვარდა და მინდოდა უსაშველო!

*

— შეიძლება? — კაბინეტში ვილაც ახალგაზრდად შემოყო თავი.

— მობრძანდით.

ორნი იყვნენ.

— გისმენთ, ბიჭებო! — თან ორივეს ხელი ჩამოვართვი, — დაბრძანდით!

— შენ, შარშან, ოცდათერთმეტ დეკემბერს, პავლოვზე, ღამით, მორბენალ გოგოს მანქანა გაუჩერე?

თავზარი დამეცა. ამას ნამდვილად არ ველოდი. თან ტონი ძალიან არ მომეწონა. სიგარეტს მოვუკიდე.

— კი, გავუჩერე, ბიჭები მისდევდნენ!

— ჰოდა, ჩვენ ვიყავით ის ბიჭები!

— და რატომ მისდევდით, რას ერჩოდით?!

— არ უნდა გავჩერებინა, ძმაო, ვინ გეკითხებოდა სხვის საქმეს!

— თქვენ არ გაუჩერებდით?

— იმ გოგომ ჩემს რძალს, ამის ცოლს (მეორეზე მანიშნა), ბრილიანტის უძვირფასესი ბეჭედი მოჰპარა და გაიქცა!

— რას ამბობ, კაცო! — თითქოს ურო დამკრესო, თვალეები დამიბნელდა.

— ჰო, ჰო, რას ვამბობ და მისმინე, ძმაო, იმ დღეს ის გოგო ჩემს ძმასთან და რძალთან ავიყვანე. მასზე სერიოზულად ვფიქრობდი და მინდოდა, ოჯახსაც ენახა. ერთი კვირის ურთიერთობა გვექონდა. მეტროში, გვიან ღამით, ცარიელ ვაგონში მარტონი აღმოვჩნდი, იქედან აენყო და მთელი კვირა ერთმანეთს ვხვდებოდით, მერე ძმასთან ავიყვანე, გასაცნობად...

გაოგნებული მივტრეხედი ამ კაცს.

— მერე, მერე, ბეჭედი სად იყო?

— კარგა ხანს ვისხედით ზალაში, სუფრა გვექონდა გაშლილი. მერე ტუალეტში გავიდა. ხელსაბანის ზემოთ, სარკის პატარა თაროზე ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი დებულა, ჩემს რძალს ნაუძვრია ხელის დაბანისას და იქ დარჩენია... ფეხის წვერებზე გაიპარა, ტო, და გაძვრა, ჩემმა რძალმა საკიდზე მისი პალტო რომ ვერ შენიშნა, აბაზანაში შევარდა, ბეჭედი წაიღო, ყვირილი მორთო!

— გაჩერდი, თუ კაცი ხარ, ამას როგორ იზამდა, სად გაიქცეოდა, სახელი იცოდი და გვარი!

— რა სახელი და გვარი, ტყუილი უთქვამს, ვერ მივაგენით!

— სადაური ვარო, რა გითხრათ?

— ზესტაფონიდან, ვარო, იღემიდან, აქ ნაქირავებში ვცხოვრობო, ტყუილი აღმოჩნდა ყველაფერი. ანასტასია მქვიაო, ხაჩიძე, ესეც ბლევი!

სიგარეტს სიგარეტზე ვენეოდი, ასეთ სულელურ სიტუაციაში არასოდეს ვყოფილვარ. მივხვდი, ის არც ანამარია ჩირაძე იქნებოდა და არც კასპელი და ოკამელი.

— ბიჭებო, — ძლივს ამოვიღულულე, — მე ის გოგონა გაგარინზე ჩამოვსვი!

— ჩამოსვი თუ ჩაისვი, არ გვაინტერესებს, ძმაო. თხუთმეტათასიანი ბეჭედი დაიკარგა, ვინ გეკითხებოდა, ვინ ვის მისდევდა, ან რატომ მისდევდა, იმ უბედურ ამინდში ბოზს სახმარად ვინ გამოეკიდებოდა, ვერ უნდა მოგეტყვინა? მაგარ შარში ხარ, ძმაო, ხომ ხედავ!

— რა შარში, რამეს მატარებთ?!
 — კი არ გაბრალებთ, მოვითხოვთ, ძმ-
 აო, შენზეა ის ბეჭედი!

— კი, ბატონო, მიჩვილეთ! — რაც შემე-
 ძლო მშვიდად ვუპასუხე.
 — იგ, ნახა გამოსავალი, გიჩვილო არა
 ტოროლა, ქურდს დაგაყენებ და საქმეს გა-
 გირჩევ. შენგან ბეჭდის საფასურს ამოვიღ-
 ებ, ის მორბენალი ჩათლახი შენ ეძებე მერე,
 ასეა ეს და მორჩა! ერთ კვირას გაძღვეთ,
 გიპოვია ის ქალი, გიპოვია, არადა, ფული
 დადე. წავედით ახლა და დღეისნორს მოგა-
 კითხავთ, ზუსტად ამ დროს, გაიგე?!

გავიძინე და კარი გაიჭახუნეს. სულე-
 ლივით ვიჯექი. საქალეთი მძულდა. ყვე-
 ლაფერი მძულდა. მთელი ქვეყანა სამარედ
 მიჩვენებოდა და მათი მუქარაც ფეხებზე
 მეკიდა.

*

ძლივს ავითრიე ტანი და ლუკასთან შე-
 ვედი. იმ სირების ლოგიკით ახლა მე უნდა
 მომეთხოვა ბეჭდის ფული მისთვის. ვინ გე-
 კითხებოდა, იმ დღეს სახლში რომ ამბათ-
 იე და განსხვავებულებით მასვი მამაშენის
 გამოგზავნილი ცოლიკაური, ეს რომ არ
 გექნა, ხომ ავცდებოდი ამ უბედურებას-მე-
 თქი. სულელივით გამეცინა!

რა აზრი ჰქონდა, მაგრამ მაინც ჩავსხ-
 ედით ჩემს „ფიგულში“ და კასპში გავექან-
 დით. მივედით საბჭოში, მაგრამ ანამარია
 ჩირაძის სახსენებელი ოკამში არ იყო. ამ
 გვარის კომლი საერთოდ არც არასოდეს
 გვეყოლიაო, გვითხრა საქმეთა მმართველ-
 მა.

მობრუნებულზე, მოდი, ამ ბოლმზე და-
 ვლით-მეთქი და დიღმის სახსენებელი მივა-
 დექით. თითო ბოთლი კონიაკი მივირთვით.
 გამოსულზე, ლუკამ, საავადმყოფოში დამ-
 ტოვეო, მე შინისკენ გავენიე. გზაში გამახს-
 ნდა, სამი ათასი მანეთი მედო მაგიდის უჯ-
 რაში, სულ ასმანეთიანები, რეზინშემორ-
 ტყმული, გამოაღებდი უჯრას და იქვე იყო.
 ამ თანხას კაპიკს არც ვუმატებდი და არც
 ვაკლებდი — „რა იცი, რამი დამჭირდება“
 დანიშნულება ჰქონდა. ბოლოს როდის ვნა-
 ხე, არც მახსოვდა. მისვლამდე ის ფულიც
 გამოვიგლოვე — წაღებული ექნება იმ თა-
 ლითს-მეთქი.

მანქანა ეზოში დავაყენე და ჩვეულები-
 სამებრ სამზარეულოს ფანჯარას ავხედე.
 ამ დროს ის ყოველთვის იქ იდგა და ხელს
 მიწვედა. ოთახში შესვლისთანავე მისი ცა-
 ლი ფესსაცმელი მომხვდა თვალში, ავიღე
 და დიდხანს ვიდექი გამოლენჩებული. მიუ-
 ხედავად ყველაფრისა, ნახევარ სიცოცხ-
 ლეს დავთმობდი ახლა, იმ ჩემი ცოდვით
 სავსეს ზალიდან „შენ ხარო?“ რომ დაეძახა!
 მაგიდის უჯრა გამოენიე და კინალამ
 დავეცი:

ჩემს სამიათასმანეთიან შეკვრაზე არნა-
 ხული სილამაზის ბრილიანტისთვლიანი
 ბეჭედი იდო!

ზაფხული 2 სტალიკა

მთელი ჩემი სტუდენტობა თბილისის
 ცენტრში, ეგრეთ წოდებულ წითელ ზოლ-
 ში მოხვედრილ, დასანგრევ სახლში ვცხოვ-
 რობდი. შეხვიდოდი ერთსართულიანი შენ-
 ობის ვინრო და გრძელ დერეფანში, რომლ-
 ის ბოლოს, გაგრძელებაზე, ორი ოთახი
 იყო — ერთი უზარმაზარი ზალა და ზალ-
 ის გავლით, საძინებელი, ისიც გვარიანად
 მოზრდილი.

დერეფნის მარცხენი, ერთ პატარა ოთ-
 ახში ბოშა ქალი, წელი შალამბერიძე ცხოვ-
 რობდა. თუმცა კარგად იცოდა, ქართულ-
 ად იშვიათად საუბრობდა, უფრო — რუსუ-
 ლად, თავის ენაზე მოლაპარაკე არ მახსო-
 ვს.

დერეფნის მარჯვნივ საერთო სამზარე-
 ულო გვექონდა. სამზარეულოს გავლით —
 პატარა კორიდორი და იქვე ტუალეტი და
 პირსაბანი.

ეს ორი ოთახი დეიდაჩემს ეკუთვნოდა.
 პირველ კურსზე ვიყავი, როდესაც მის ოჯ-
 ახს ალტერნატიული ბინა მისცეს დიღმის
 მასივში. მე დავრჩი იმ „წითელ ზოლიან“ ნა-
 გებობაში და ექვსი წელი იქ ისე ვიცხოვრე,
 არც არავის დაუნგრევია, არც ტელეფონი
 გამოურთავთ და არც გათბობა და გაზი
 ჩაუჭრიათ. მოკლედ, მარტო დავრჩი ბინა-
 ში, რომელშიც ცხენი გაჭენდებოდა.

წელი დეიდა ახალ ბინაში არ გადასულა.

ჩემს მეზობლად დარჩა. აქ მიჩვეული ვარ,
 სანამ არ გამაგდებენ, არსად წავალ. სა-
 მოცი წლის იქნებოდა. ტანსრული, საკმა-
 ოდ ლამაზი და არისტოკრატიული. ფეხებს
 იტკივებდა. ბაზარში მე გზავნიდა. გასტრ-
 იონომი ახლოს გვექონდა და იქ თავად დაბრ-
 ძანდებოდა.

როგორც ყველა სტუდენტს, მეც ქრონ-
 იკული უფულობა მჭირდა და ჩემი მშველე-
 ლი მუდამ ეს ჩემი საყვარელი მეზობელი
 გახლდათ.

შალამბერიძე ჩემი პირველი ქმრის გვა-
 რია, მეორე ქურთი მყავდა, მასთან შვილი
 არ მყოლიაო. პირველთან ბიჭი მყავს, სტა-
 ლიკა, ციხეშია, მაღე გამოვარა.

მიტკალივით თეთრი გამოვიდა. გაძვა-
 ლტყავებული. ნიკოტინისგან უღვაში და
 თითები გაჰყვითლებოდა. ძლივს ახამხამ-
 ებდა ქუთუთოებს. ორივე ლოყაზე, თითქმ-
 ის სიმეტრიულად, ღრმა ნაიარევი დაჰყვე-
 ბოდა. გამოსვლის დღეს ვნახე. მერე დედ-
 ამისთან ჩაიკეტა და გარეთ ცხვირი არ გა-
 მოუყვია. ჩვენს ოთახებს ტკეჩის ტიხარი
 ყოფდა, გაჯით გაღესილი, კედელი ჩურ-
 ჩულსაც კი ვერ იჭერდა. შვილის ციხიდან
 გამოსვლამდე წელის დამალაპარაკებელი
 არ ჰყავდა და მისგან ჩამი-ჩემი არ ისმო-
 და. ახლა კი, სტალიკა, თითქმის მთელი
 დღე, გიტარას უკრავდა და მეტად სევდი-
 ან რუსულ ტექსტებს ხმადებდა მღეროდა.

იმ დილით ყვირილით შემოვარდა, ბი-
 ჭო, დედა არ სუნთქავსო. სასწრაფოში არ
 დაგვირუკავს. უკვე გარდაცვლილი იყო.
 ჩემი ზალიდან გავსვენეთ. ჭირისუფლად
 სტალიკა და მე ვიდექით. თვითონ მთხოვა,
 ჩემ გვერდით დადექიო. ბევრი ხალხი მოვი-
 და. კუკიაზე დავეკრძალეთ, პირველი ქმრის
 გვერდით.

დავრჩით სახლში მე და სტალიკა. მე ინ-
 სტიტუტში დავდიოდე. მან თამბაქოს ფაბ-
 რიკაში დაიწყო მუშაობა. დილით რვა საა-
 თზე შემოვარდებოდა, ე, ბიჭო, ადექი, გაგ-
 ვიანდებო. თან ჩაის მისხამდა... ადრეა
 ჯერ-მეთქი, ვწუწუნებდი, მაგრამ არ მეშე-
 ბოდა, მე რომ წავალ, შენ შუადღემდე იძ-
 ინებ და გამოგაგდებენ იმ სასწავლებლი-
 დანო.

შუადღემდე ძილის რა მოგახსენით, მა-
 გრამ მაშინ, რომ არა ჩემი კეთილი გამღვი-
 ძებელი, პირველ ლექციას ვერასოდეს მი-
 ვასწრებდი...
 — რატომ იჯექი, სტალიკ? — ვკითხე
 კაი ხნის შემდეგ.

— ოცი წლის ვიყავი, როცა დამიჭირეს,
 მამინაცვალი შემომაკვდა, მაშინ საბურ-
 თალოზე ვცხოვრობდით. ერთი ჩათლახი
 ქურთი იყო, საკმაოდ ფულიანი, ნავთობ-
 პროდუქტებში მუშაობდა. დედაჩემს სცემ-
 და, წავასწარი და თავში ბოთლი ჩავახარ-
 შე. ეტყობა ვერ მოვზომე, მაგრამ მომივი-
 და, მოკვლა არ მინდოდა. მამაჩემის მეგო-
 ბარი იყო ერთი, გონერი, ფარემშივილი, კა-
 ნონიერი ქურდი, იმან მიშველა, თორემ თხ-
 უთმეტწლიანი მუხლი მქონდა მიყენებუ-
 ლი... რვა წელი მომისაჯეს, ვორკუტაში ვი-
 ჯექი...

— სტალიკ, ასე კარგად ქართულად
 როგორ ლაპარაკობ, დედაშენთან მუდამ
 რუსულად საუბრობდი...
 — ბიჭო, ქართული სკოლა დავამთავ-
 რე, კარგადაც ვსწავლობდი. მამაჩემი ვაკე-
 დი იყო. შვიდი წლის ვიყავი, როცა მომიკე-
 და. ცეცხლმოკიდებულ ავტობუსიდან ხა-
 ლხის გამოყვანას შეენირა, ალი ჩაყლაპაო,
 მაშინ ასე ამიხსნეს. მსუთავი გაზით მოინა-
 მლა და ვერ უშველეს. ძალიან კეთილი იყო,
 სამართლიანი, სპრავედლივ ყორას ეძახ-
 ნენ, გიორგი ერქვა. ლამის გმირად შერაცხ-
 ეს, ხელით ასვენეს კუკიაზე, ქურები გადა-
 კეტილი იყო...
 — ეგ შრამები?
 — მარცხენა ლოყა ვერაზე დამიმშვე-
 ნეს, მეთერთმეტე კლასში ვიყავი, ჩხუბში
 მოვხვდი და ახვრებმა დანა დამისვეს, მარ-
 ჯვენა — ციხეში, მე თვითონ ჩამოვსივი მი-
 ნის ნატეხი... გოგო მიყვარდა... როცა და-
 მიჭირეს, დაგელოდებო, შემომფიცა. ცი-
 ხეში წერილებს მწერდა... ერთხელაც, გავ-
 თხოვდიო, მომწერა და ჩემთვის ყველაფე-
 რი დამთავრდა. გამოსვლა არ მინდოდა...
 დედაჩემი შემეცოდა, თორემ ვორკუტიდან
 არც ჩამოვიდოდი...
 — სადაა ახლა ის გოგო, არ
 შეხვედრიხარ?
 — ქმართან ცხოვრობს, ანაგის ქუჩაზე,
 ფულიანი ქმარი ჰყავსო... ხანდახან ვურე-
 კავ, მესაუბრება, არ გამიბრბს. ნახვით კი
 რაც გამოვედი, არ მინახავს...

*

ჩვენს სახლთან ახლოს სამინისტროს
 თუ ცენტრალური კომიტეტის გარაჟი იყო.
 ასე ეძახდნენ, თორემ ყრუ ღობითა და
 ტიშკრით შემორაგვეულ ეზოს არავითარი
 წარწერა არ ჰქონდა. ჩემთან იქაური შოფ-
 რები მეგობრობდნენ. ერთ-ორს ჩემი სახ-
 ლის გასაღებიც ჰქონდა. ქალები არ მო-
 ჰყავდათ, ძირითადად „ჰაპიროსს აკეთებ-
 დნენ“, თუთუნს გამოყრდნენ, რაღაც
 დაქუცმაცებულ მასაში ურევდნენ და ისევე
 დატენიდნენ. ენეოდნენ და უნიოდებო-
 დათ თვალები, თან უაზროდ იცინოდნენ.
 სტალიკამ ეს ამბები არ იცოდა, სალა-
 მოს გვიან მოდიოდა, ჩაიკეტებოდა ოთახ-
 ში და გვიანობამდე გიტარას უკრავდა..
 ერთ საღამოს კონიაკი მოიტანა.

— ჭიქები გაქვს? — მკითხა, — მეც რას
 გეკითხები, რა ჭიქა გექნება...
 ადგა და თავისი ოთახიდან პატარა ჭი-
 ქებს ძეხვი და პური გამოაყოლა.

— დავლიოთ!
 უცებ ჰაერის ყნოსვა დაიწყო, რამდენ-
 ჯერმე ქსუტუნით შეისუნთქა.

— მასტერკის სუნი მცემს, ბიჭო, შენ
 რამეს ხომ არ ცუდლუტობ?

— არა, სტალიკ, ხომ იცი, სიგარეტსაც
 არ ვენევი.

— აბა, საიდან ეგ სუნი?
 რა გზა მქონდა, მოვუყევი შოფრების
 ამბავი.

— შენ არ გასინჯებენ?
 — კი შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთ-
 ქვი.

— კაი, დავლიოთ. დაჭერი კალბასი.
 კონიაკი დაასხა და გადაჰკრა.

— შენ ის მითხარი, ყოველდღე შემოდი-
 ან ის ახვრები?

— კი, ყოველდღე, უქმეების გარდა.
 კიდევ დაასხა.

— შენ რატომ არ სვამ?
 — თავს მატიკეებს სასმელი.

— ბავშვი ხარ და იმიტომ, შენი ხნისა
 არც მე ვსვამდი.

იქვე მდგარი გათლილი ჭიქა აიღო, გა-
 ავსო და მიიყუდა. მეორეც მიაყოლა და
 ბოთლი დაიცალა. ჯობიდან ათმანეთიანი
 ამოიღო — ნადი, თუ კაცი ხარ, ერთი ბოთ-
 ლიც მოიტანე და შენთვის ლიმონათიც გა-
 მოაყოლე.

მოვიტანე სამვარსკვლავიანი. პატარა
 ჭიქა გავუნოდე, მეც დამისხი-მეთქი. უსიტყ-
 ყვოდ დამისხა, თვითონ ისევე ჩაის ჭიქა აა-
 ვს და დალია.

მერე თვალები გააშეშა და კარგა ხანს
 იყო გამოშტერებული.

— ბიჭო, იმ გოგოს შვილი მოუკვდა, —
 ისე მითხრა, ჩემკენ არ გამოუხედავს.

— რომელ გოგოს?
 — იმას, ვისთვისაც ლოყა ჩამოვისერე,
 მე რომ მიყვარდა იმას!

გული მომწურა. ერთი ჭიქაც გადავ-
 კარი და ცოტა გავთამამდი.

— შენ ის ქალი ისევე გიყვარს?
 — ბიჭო, შვილი მოუკვდა! — ისევე გამი-
 მეროდა, კონიაკის ბოთლი მოიყუდა და გა-
 ვიდა.

*

იმ დღეს, ინსტიტუტიდან დაბრუნებუ-
 ლს, სახლში სამი კაცი დამხვდა. ოთახი კე-
 ამლით იყო სავსე... უსიამოვნო სუნი იდგა.
 ადრე ამ სუნს ყურადღებას არ ვაქცევდი.
 ფანჯრები გავაღე.

— ფარდები გადაწიე, სიმონ! — გამო-
 ცრა ერთმა, — გარედან ყველაფერი ჩანს,
 შეჩემი!

— მიდი და გადაწიე! — უხეშად მივუბ-
 რუნე და საძინებელში გავედი. სტალიკას-
 თან საუბრის მერე არ მსიამოვნებდა ამ გა-
 მოსირებულების ყურება.

უცებ სიცილი აუტყვდათ. დაიჭირეს მუ-
 ცლები ხელით და იატაკზე გაგორდნენ.
 ლამის ჩაბჭირდნენ. კოტრილობდნენ ამ
 ჭუჭყიან ლინდელუმზე და იფხრინებოდნენ
 ხარხარით. გამიკრიალეს ჩემი მოუვლე-
 ლი იატაკი და მერე წამოჯდნენ...

ერთმა — მონიე, ნახე, რა კაიფია, შენც
 იცინე, ტო, ვისზე ნაკლები ხარო!

ლერი გამოიმინოდა. გამოვართვი და და-
 ვსუნე. ყარდა! მომიკიდა. მოვეჩაჩე და კვამ-
 ლი პირიდან გამომოშვი.

— რას შობი, შეჩემა, სადაა დასაკარგი
 მასტერკა! — ხელიდან გამომღლიტა, —
 ა, მიყურე, ასე უნდა!

უცებ კარი გაიღო და ოთახში სტალიკა
 შემოვარდა!

— გაეთრიეთ, თქვენი ხაზენები რო

მოვტ...ანი! — და წიხლით წამოყარა სამივე,
 — დადეთ გასაღები და აქ არ დაგინახოთ,
 თორემ დაგბრიდავთ, თქვე ჩათლახებო!

ხმა არ ამოუღიათ, ისე გაიძურნენ. კა-
 რგი რა, სტალიკვანო, წაილულულა ერ-
 თმა და მორჩა, მერე ისინი ჩემთან არ შე-
 მოსულან.

*

სტალიკაც იშვიათად შემოდიოდა. მოვ-
 იდოდა გვიან. შეიკეტებოდა ოთახში და შუ-
 ალაქმედ კლასიკურ მელოდიებს მასმენი-
 ნებდა. მაგარი გიტარისტი იყო. „ორერა-
 ში“ მეპატიუბოდნენო, სიტყვას მოაყოლა
 ერთხელ. დილით არ მალეძებდა. ადრე
 დგებოდა და ფეხაკრეფით გაიპარებოდა.
 ერთ საღამოს აფორიაქებული შემო-
 ვარდა.

— ბიჭო, ბრიტვა არ გაქვს? ყიდვა დამა-
 ვინყდა და ხვედ ასე ვერ წავალ!

— არა, სტალიკ, არ მაქვს, მე ბიძაჩემის
 ნაქონი სამართლებლით ვიპარავ, შეჩვეუ-
 ლი ვარ, თუ მოიხერხებ, მოგცემ. პირის ას-
 ანყობი ღვედი სარკესთან ჰკიდა, იცი შენ.

— მომე, მომე! — გამომართვა და უკან,
 კორიდორში გავიდა.

კაი ხნის მერე ვიფიქრე, რას შვრება ეს
 კაცი ამდენ ხანს, რა აქვს ამდენი გასაპარ-
 სი-მეთქი და კარი მორიდებულად შევუღე.

ბეტონის იატაკზე იჯდა. მარცხენა ხე-
 ლის მაჯაზე გასისხლიანებული პირსახო-
 ცი ეფარა და ზედ მარჯვენა ხელი ედო.
 ირგვლივ სისხლის ტბა იდგა.

გამოვვარდი და სასწრაფოში დავრეკე.
 სამედიცინო სადგური იქვე იყო და ორ წუ-
 თში მოვიდნენ. დაანვიხეს საკაცზე და სა-
 ავადმყოფოში გააქანეს. პატრონიც წამო-
 ვიდესო — მეც გამიყოლეს.

საავადმყოფოში, ბევრი სისხლი აქვს
 დაკარგული და სასწრაფოდ დონორია მო-
 საქებნიო, თბილი სისხლე უნდა გადავუხს-
 ათ, მესამე ჯგუფის დადებითრეზუსიანი
 სისხლია საჭიროო. მე ზუსტად ასეთი მქ-
 ონდა, ჯგუფი და რეზუსი პასპორტში მენე-
 რა.

არ ვიცი, დაძაბულობისაგან, და არ ვი-
 ცი — ნამეტანი მოუვიდათ — სისხლის ჩა-
 ბარების შემდეგ ცუდად გავხდი, ნემსი გა-
 მიკეთეს და ორი საათი პალატაში დამტო-
 ვეს. შოკოლადი ჭამე ბლომადო, მითხრეს
 და გამომიშვეს.

მეორე დღეს ასადგომად არ ვვარგოდი.
 საავადმყოფოში დავრეკე და უკეთაო, მი-
 თხრეს. მესამე დღეს, დილით, სტალიკამ
 აქეთ დამირეკა, ჩემთან მოდი და თან კონე-
 ერტიც მომიტანეო.

მივედი.
 ცუდი ფერი ედო.

— რატომ ქენი ეს სტალიკ? — რაც შეი-
 ძლებოდა მორიდებულად ვკითხე, სანო-
 ლზე ჩამოვუჯექი და მისი თავი მკერდზე
 მივიხუტე.

თვალებს მალავდა.
 — რატომ ქენი, რატომ?! — ისევე გავუ-
 მეორე.

— დედამისიც მოკვდა, ბიჭო, ჩუმად მი-
 თხრა, მეორმოცე დღეს სასაფლაოზე გუ-
 ლი გაუსკდა...
 აქვითინდა.

კარგა ხანი ვანყნარებდი და ვეფერებო-
 დი.

ბალიშის ქვემოდან წერილი გამოიღო.
 კონვერტში ჩადო და ენით განება. მისამა-
 რთი ძლივს დაანერა.

— ეს ამ კაცს მიუტანე!
 ისევე შეჰყო ხელი ბალიშის ქვეშ და ოც-
 დახუთმანეთიანი გამოაცოცა.

— ხვალ იმ გოგოს მარხავენ, ვარდები
 იყიდე და მიიტანე, ანაგის ქუჩაზე, ბაზრის
 წინ, მიაგნებ, ხალხი ირეოდეს იქნება...

გამოვედი საავადმყოფოდან და კონე-
 ერტს დავხედე. გონერი ფარემშივილს უგ-
 ზავნიდა. გამახსენდა, მამაჩემის მეგობარი
 იყო, კანონიერი ქურდი, იმან მიშველაო.

*

სტალიკა საავადმყოფოდან სახლში არ
 მობრუნებულა. მერე არასოდეს მინახავს.
 ზოგმა თქვა, რუსეთში წავიდაო.

მე ინსტიტუტი დავამთავრე და ექიმად
 დავინყე მუშაობა. დიდი ხანი გავიდა მას
 შემდეგ.

ის სახლი, როგორც იქნა, დაანგრეს.
 დანგრევისას სულზე მივუსწარი — სტა-
 ლიკას ოთახიდან მისი საყვარელი გიტარა
 წამოვიღე.



ბექა ახალაია

ჯერ ქალაქამდე არ მოსულა, ჩემთვის ვენევი, და გავეყურებ შორიდან, ეგეც საქმეა, დიდი საქმე, ჩვენთან თუ — არა, იქ მაინც რომ მოვიდა. ამნე — კომპური — დგას ჩემს სახლთან (მშენებლობაა), ისარი აქვს განვლილი გორებისკენ და, ისე ჩანს, რომ პირველ გორამდე ცოტაღაა მანძილი

მისგან — მინვდება — წარმოვიდგენ (სხვა რა უნდა ქნა, თუ გავეყურებ შორიდან): გრეიფერს ნელა ჩამოუშვებს, თოვლს ახვეტავს და აივანამდე მომიტანს.

საკალანდო რომანსი

გულკას

მხოლოდ ერთი, ერთი დღით გაქრი, მე კი მგონია, მთელი წელი, მთელი უგრძესი წელი გავიდა, რაც შენ გაქრი... ბზარებშეპარულ იმ ჰარმონიას, შენს ირგვლივ რომ ვაშენე,

ვუცქერ, ვფიქრობ, საიდან ეს ამხელა მიამიტობა ჩემში — ორმოც წელს მიტანებულ კაცში?! თუმცა აქ შენც ხარ შუაში, დავიმონებ ქვეყნად ყველაზე ლამაზ ორ მონემს — შენს ნაზ ხელებს...

ანი, გპირდები, არსად გაგიშვებ... სანამ შენ ხარ, კაცობრიობას კარგად აქვს საქმე და არყოფნის სურვილი მანამ ვერ მოერევა, სანამ, დილით, საოცარ თვალებს ახელ და ჩუქნი მთელ სამყაროს მათში ჩახედვის ბედნიერებას!

ჯერ იყო მამა, მამა იყო — მამამისი — აფხაზეთის ომში რომ დაიღუპა. ორიათას რვის აგვისტოში ძმაც მოუკლეს — ისიც მეომარი...

სწავლობდა მაშინ, სწავლას თავი დაანება, სამხედრო სამსახური არჩია, თუმცა დედამისს ეს არ უნდა, მაგრამ მან თავისი გაიტანა.

სულ მალე გახდა კაპიტანი, ომს ელოდა, ომს ელოდა, შური რომ ეძია, წლები კი, წლები გადიოდა, გადიოდა, გადიოდა, ომს პირი არ უჩანდა.

ოკუპაციის ხაზთან იყო მათი ბაზა, უცქერდა კომპიუტრიდან ხშირად, დურბინდით, ხაზთან მოსულ ოკუპანტებს, „საზღვარს“ რომ იცავდნენ...

ბოლოს გაბრაზდა, სმა დაინყო, დათვრებოდა, იღებდა ავტომატს და „საზღვრისაკენ“ ისროდა სულ, ამიტომაც ადგნენ და იქიდან გამოუშვეს...

შინ რომ დაბრუნდა, ცოტა ხანი კარგად იყო, არ სვამდა, ფხიზლობდა, ახლა კი მითხრეს, თურმე ისევ სმა დაინყო, სანადირო თოფით და სავაზნით

და არყის ბოთლით, მამის და ძმის საფლავეებთან დაჯდება დილიდან, ჰიმნს მღერის ჩვენსას — საქართველოს ჰიმნს მღერის და — თან ისვრის ჰაერში...

მე არ ვიცი, ახლა რას შევები, სულ სხვაგვარად, სხვაგვარად იყო ადრე, თითოეულ ნაბიჯს ერთმანეთს ვუთანხმებდით, დღე ერთია და, ასჯერ — ვურეკავდით, ვწერდით მესიჯებს. ახლა? ახლა — იშვიათად და, ისიც — რომელიმე დღესასწაულს თუ მივულოცავთ ერთმანეთს, ესლა ვიცით. ხომ მიყვარდი, როცა მიყვარდი — იმ ოქროსგან დარჩენილია თიხა. ახლა, როცა აღარ მიყვარხარ, მე შენდამი არსიყვარული მიყვარს.

ბოლოდან მეორე მოჰიკანსი

კლდის წვერზეა ნამომართული ციხე-სიმაგრე, ოთხასი თუ ხუთასი წლის წინ (უფრო — ხუთასი) ააშენეს, როგორც ამბობენ მეცნიერები. აღარავის ახსოვდა თუნდაც ოცი წლის უკან, ეკალ-ბარდით დაფარული და მივიწყებული — იდგა მარტო, თავისთვის იდგა და ვერც ხვდებოდა, რისთვის იდგა... მერე მოვიდნენ ქალაქიდან და გულმოდგინედ გაასუფთავეს იქაურობა. გზაც, მანამდე დაკარგული რომ იყო ტყე-ღრეში, მოასწორეს... ახლა კი ხშირად, ხშირად ადიან ტურისტები — უცხოელებიც, აქაურებიც... შენ დგახარ და გასცქერი, უცებ გაგაფიქრება:

„სამშობლოვ, დიახაც ლამაზო, მოთქმა და წუნწანი რო გიყვარს, რამდენი წელია, თამაშობ ბოლოდან მეორე მოჰიკანს?!“

საფართოზე ყანებს, გვერდიგვერდ მართკუთხედებად ჩამწკრივებულთ, აცრის, ჯერ კიდევ მოუხნავია. შარშან ამ დროს მოხნული იყო, წელს — დაგვიანდა. ამ დღეებში, ალბათ, იზამენ — მთელ სივანეზე, ერთიანად მოხნავს ტრაქტორი. დატრიალდება მიწის სუნი — მიწის სურნელი — და იტრიალებს, იტრიალებს კარგა ხანს, მერე გაქრება უცებ. მანამდე კი, სათბურებს იქით, შუა ფერდობზე, მამა-შვილი გუთნით ხნავს მიწას — ხნავენ, არაფრად აგდებენ ჟინჯლს (არადა, მალე დაუშვებს თავსხმა) — წინ და უკან დააბიჯებენ ხარები დინჯად... შენ იხრები, იღებ სველ მიწას, და გეფიქრება:

„სამშობლოვ, დიახაც ლამაზო, მოთქმა და წუნწანი რო გიყვარს, რამდენი წელია, თამაშობ, რამდენი წელია, თამაშობ ბოლოდან მეორე მოჰიკანს?!“

აქედან ჩანს ყველაზე კარგად დედაქალაქის ის უბნები, ძველი უბნები, რომლებსაც ჯერაც შერჩენიათ რაღაც ცოცხალი, რაღაც ძვირფასი. ბინდი წვება, ლამპონები და მანქანები ინთებიან, ეკლესიებიც განათდნენ უკვე შუქმომფენი პროექტორებით... და მტკვრის სიმუქეს ირიბად კვეთს „მშვიდობის ხიდი“, ცოტა არ იყოს, უხერხული მეტსახელი რომ შეარქვა ხალხმა. მეტსახელზე, მნიშვნელობა რომ იცოდეს, ალბათ, გორგასალსაც გაელიმება დარბაისლურად... ცაზე მწკრივად მიფრენენ მასკის სატელიტები... შენ დასცქერი ბევრჯერ დანგრეულ ქალაქს და ფიქრობ:

„სამშობლოვ, დიახაც ლამაზო, მოთქმა და წუნწანი რო გიყვარს, რამდენი წელია, თამაშობ, რამდენი წელია, თამაშობ, რამდენი წელია, თამაშობ ბოლოდან მეორე მოჰიკანს?!“

სოფლის მასწავლებელი

უკვე შუახნის აღარ ეთქმის, უცოლოა, არ უყვარს გაზაფხული. მხოლოდ დედა ჰყავს შინ, მოხუცი. დედა უყვარს, ვერ იტანს გაზაფხულს.

ქართულს ასწავლის, პოეზია უყვარს, მაგრამ არ უყვარს გაზაფხული. ბავშვებს, სკოლაში, არ სძულთ, თუმცა არც უყვართ და, მათ უყვართ გაზაფხული.

სკოლამდე არის მთელი შვიდი კილომეტრი (ვერ იტანს გაზაფხულს), ეს — მთავარი გზით, მაგრამ გზას თუ მოჭრის — სამი (არ უყვარს გაზაფხული).

ოღონდ ამ გზაზე, მოკლე გზაზე, მდინარეა (ვერ იტანს გაზაფხულს). ოჩოფეხათი გადადის იმ მდინარეზე. არ უყვარს გაზაფხული,

რადგან დიდება გაზაფხულზე ერთი ციდა, წყალმარჩხი მდინარე და ზევით, ხიდიდან უნევს მოვლა... ამიტომაც ვერ იტანს გაზაფხულს.

და ამიტომაც ეზიზღება, ეზიზღება, ეზიზღება საშინლად ეს სტროფი:

„დღეს მერცხალი შემოფრინდა, — ჭიკჭიკითა გადმომძახა: „გაზაფხული! გაზაფხული!“ გულს იმედი დამესახა.“

დილა

მორჩა, ჩათავდა ეს ზამთარი — არ უთოვია ერთხელაც კი, ერთხელაც. გუშინ თბილოდა და ეზოში პეპელა ვნახე, სულ პირველი პეპელა. და, აი, წელან მოსაწევად აივანზე რომ გამოვედი ზმორებით, გორებს გავეხედე, თურმე წუხელ ჩამოათეთრა ახლომახლო გორები,

ვაჟას ძეგლთან, გოგოს მოჰყვება პატარა ბიჭი, დედა-შვილი არიან, ალბათ — ერთნაირ ხალხში გამოარჩევ, თვალში მოგხვდება... გოგო საოცრად ლამაზია. აშკარაა, რომ დედას ჰგავს ბავშვი. მეტროს მხრიდან მოაბიჯებენ, ვუახლოვდები, რამდენიმე ნაბიჯი დამრჩა, ჩაუვლი მალე — ცრემლს იკავებს, ძალიან ბრაზობს და მიბღვერს ბიჭი, დედიკოს რომ მივჩერებოვარ და ვერ ვწყვეტ თვალებს.

შენობა, სადაც აზნაურობდა ღვინოვანი ცხოვრობდა

ამ სახლს რომ ვხედავ, რომ ჩაუვლი ამ შენობას, მახინჯ და საშინელ შენობას — სამსართულიანს, ბათქაშადაყრილს (თავის დროზე, არც ვიცო, რა იყო),

სადაც ცხოვრობენ დევნილები — მახსენდება ის ამბავი, აი, ის, აი, ის ამბავი, ერთხელ ვილაღ ქალს, მოპოვებულს, ლიტ. საიტზე უსუსური ლექსი რომ დავუწუნე,

და რომ მომწერა, შენ რა გესმის პოეზიის საზიზღარო, ბინძური მეგრელო, ალბათ, წიგნიც არ წაგიკითხავს, სად ნახავდი — აქ, სადმე, აქ, სადმე, საერთო

საცხოვრებელში ეგდებო (მშვენიერი სახლი მქონდა, ახლაც მაქვს, ცხადია, არც დევნილი ვარ!) — როცა ვხედავ ამ შენობას, მახსენდება აი, ეს, აი, ეს სიტყვები

და მწარედ, მწარედ ჩამინყდება შიგნით რაღაც, და მინდა, იმ ქალის მაგივრად, მუხლზე დავეცე შენობის წინ, დავეცე და ყველა მათგანს ბოდიში მოვუხადო...

მანანალა კალღი ნიგნის მაღაზიასთან

სახინკლე იყო თავის დროზე, სულ ცოტა ხნის წინ შეეცვალა პროფილი და გახდა წიგნის მაღაზია — ვდგავარ თაროსთან იმ სახინკლის ყოფილი ხშირი კლიენტი, ახალ წიგნებს ვათვალისწინებ, ჩემი წიგნის დანახვაც მახარებს, ოღონდ ამ ყველაფერს, როგორც ყოველთვის, დიდი სევდაც თან ახლავს: მე ისევე სანაყალ ძალზე ვდარდობ, ადრე ნარჩენებს რომ უყრიდნენ... მას მერე წევს კიბესთან და ვერ მიმხვდარა, რა დააშავა, რატომ აღარ აჩქევინ.

იმ დროს, მაშინ, ჯერ კიდევ ერთად ვიყავით მე და დედაშენი, პარკში ვისხედით სამივე, ოდნავ ცრიდა, უცებ მომინდა, შენთვის მეთქვა, რომ სწორედ იქ, იმ პარკში, კარგა ხნით ადრე, შევხვდით ერთმანეთს მე და დედა სულ-სულ პირველად, შენ მოგეწონა ეს ამბავი, თუმცა შემდეგში იმ პარკისადმი

ინტერესი შენთვის არასდროს არ შემინიშნავს... მას შემდეგ კი, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მე და დედა გავიყარეთ — მიუხედავად იმისა, რომ იმ პარკში ცუდი საქანელა და სასრილოა — იქ დადიხარ, მხოლოდ იქ გინდა, სულ მეუბნები: „მამა, წამო, შენი და დედას პარკში წავიდეთ!“

გაზრობის დღეები

ამომრჩეველთან შესახვედრად, რაიონში ჩამოვიდა მოქმედი დეპუტატი, სტაჟიანია — ოცდაათი წელია, რაც მყარად ზის პარლამენტში,

წესი აქვს ერთი — დრო რომ მოვა, პარტიიდან პარტიაში გადადის, ინაცვლებს ხელისუფლების რიგებში და ცხოვრობს ასე. წლებია, წლებია, არ ყოფილა —

არჩევნების წინ ახსენდება რაიონი, ისევე მისი ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი — ეკონომიკა რომ იზრდება, მთავრობა რომ ყველაფერს აკეთებს ამისთვის

და რომ დღეს თურმე აღარავინ შიშობს და შევდექით სახელმწიფოდ... ამ დროს კი იქვე მარტოხელა დედა მოდის, არც გაჩერდა, წავიდა, გაიარა,

ხუთი შვილი ჰყავს, პატარები, ქოხში ცხოვრობს გზის გაღმა, ხიდის ქვეშ. კვირაში სამჯერ, ბაზრობა რომ დამთავრდება, მალულად გადადის ეზოში და

ხურდებს აგროვებს — ძირს დაცვენის — ზოგჯერ პურზეც, ერთ პურზეც, არ ჰყოფნის.

ლოთი

დილით შემხვდა, მეზობელია. არც ისეთი ასაკიანი — უკვე მოხუცს ჰგავს და ჩემი დანახვა უხარია, რადგან ფიქრობს, რომ ვუგებ. გულმოდგინედ უახლოვდება სიკვდილს — მთავარ დანიშნულების ადგილს, მგზავრს ჰგავს, მოძრავ ესკალატორზე თვითონაც რომ სწრაფი ნაბიჯით ჩადის.

ავტობუსიდან დავინახე კაი კაცი — ერთი ჩემი ყოფილი ლექტორი. ეს ოცი წელი დრამატულად დატყობია, დატყობია, გამხდარა, მომტყვარა,

ჩადგმული იყო თავის დროზე, ახალგაზრდა... გვიყვარდა სტუდენტებს — ადვილად წერდა ნიშანს, კარგი ლაპარაკიც იცოდა, ვუსმენდით ყველანი.


ყოველ პარასკევს მასთან და სხვა ლექტორებთან ფეხბურთს ვთამაშობდით, მშრალად ვუგებდით ყოველთვის და, გვთხოვდნენ ხოლმე, ხელი არ შეგვეშალა

პრესტიჟის გოლის გატანაში... ერთხელ იყო, ფეხებს შორის ბურთი გაეფუჭებინე, თითის დაქნევით დამემუქრა (კიდევ ერთხელ თუ ვიზამდი) კურსზე ჩატოვებით...

მასზე ამბობდნენ, ზედმინევენით იცის საქმე — პროფესია — მაგრამ სმა უყვარსო. მართლა უყვარდა, სადღაც-სადღაც, რამდენჯერმე, მინახავს, მინახავს ნასვამი.

აფხაზეთიდან დევნილია, სოხუმელი — სოხუმში საცოლევ ჰყოლია, რომელიც თურმე, ერთ საღამოს, სარეცხს ჰყვინდა, მის აივანს ჭურვი რომ დაეცა...

ავტობუსიდან დავინახე კაი კაცი — ერთი ჩემი ყოფილი ლექტორი...



გაზარული გულის ჭურჭელი

და ყველამ, ვინც კი ოდესმე ნახე, და ყველამ, ვინც კი ოდესმე გნახა, შეავლეს თვალი შენს დაღლილ სახეს, რომელიც წაშლილ პეიზაჟს ჰგავდა;

აღიღეს ხელნი და მძიმე ტვირთად ჩამოალაგეს შენს ფაქიზ მხრებზე, შენ კი ყველასგან განდგომის ნიშნად იყავი მუნჯი და ყოველ ჯერზე

გსურდა, გქონოდა ვარსკვლავთა ჩერო, მზესუმზირების ფართე სავანე; სადაც იყავი, ვერ გნახე, ღმერთო, და ან არ ვიცო, როგორ გადავჩრე.

ათასი ცდიდან მხოლოდ ერთ ცდაზე მხოლოდ ერთი გზის ძაღმძის შეგრძნება, — როცა ცხოვრების უჩუმეს წამზე აღორძინდება დრო და ჩერდება...

და გაზარული გულის ჭურჭელი, ვინ გაამთელოს? შეიცნოს ვინლა? გთხოვთ, მომიტანოთ ერთი ფურცელი, ერთი კალამი და გული ქვისა;

რადგან მრავალგზის ალაგმა ხალხმა გრძნობები სუფთა, წრფელი და წმინდა და როგორც მრავლის მომცველმა ქარმა შთანთქა და მისით შევსებულ იქნა.

ჟამმა კი ჟამთა ყოველი ჟამის თქვა ერთადერთი ნამდვილი სიტყვა და მტკიცეული ნუთების ჩქამში ერთადერთ ნათელ წერტილად იქცა.

სულ სხვანაირი ვიყავი უწინ

სულ სხვანაირი ვიყავი ნუხელ, სულ სხვანაირი ვიყავი უწინ, მზის ჩასვლას ათასმეერთედ ვუცქერ, სიჩუმით სავსე, მდუმარე, უტყვი.

მსურს, დაგიძახო, გიხმო უსიტყვოდ, ნუვინ გაიგებს, თუ რა შევცოდე, საც დაკარგული გნახე, სულიყო, იქვე ცრემლებით გამოგიგლოვე.

ცისფერ მწვერვლებს არ ვადრი შენს თავს, გზები ვინროა და ძალზედ შორი. გადის ცხოვრება და როგორც ხდება, ყველაფერს ვსახლვრავთ საკუთარ დროით.

ძვირფასო, შენს თავს არ ვადრი გრიგალს, არ ვადრი უმალ მოვარდილ მენყერს, გული გრძნეული თავს ვერ დაიცავს და, შესაძლოა, მცდარ გზაზე შედგეს.

მითხარი, შენში სრულქმნილი ქარი რას შევადარო?! რას შევადარო?! ცხოვრება მუდმივ გრიგალს გზავნის; მითხარი, თავი ვის შევადარო?

სულ სხვანაირი ვიყავი ნუხელ, სულ სხვანაირი ვიყავი უწინ. მზის ჩასვლას ათასმეერთედ ვუმზერ, სიჩუმით სავსე, მდუმარე, უტყვი.

თეთრი პერსეპი

თვალს ვერ უსწორებს თვალები მზისგან მძივად მორთმეულ ზეცის წერილებს, ვინ იცის, რამდენ სხივმეკულ სიტყვას და ცით შემოსილ აზრებს შეისმენს.

თოვს და, ძვირფასო, იშლება კვალი, კვალი, რომელიც მოდის შენამდე, იქნება ლოდინს აღარ აქვს აზრი, შენთან თუ ვერა, მივალ ღმერთამდე...

დაგეილი მაქვს თვალები გზისკენ, გზიდან მოსჩანან თეთრი ვერხვები, ისინი მუდამ ამ გზაზე იდგნენ და საკუთარი შექმნეს ედემი.

მისჩერებიან თვალები მგზავრებს, მთავრდება გზა და მაინც ვერ ვხვდები, რატომ მიკლავენ გულს ასე ძლიერ თეთრი ვერხვები.

- ელისაბედი მასნ, მიშველეთ!
- რა გჭირს, ანრი?! — გიგი სახურავზეა, მგონი, რაღაც ცუდს აპირებს!
- სად?
- სკოლის სახურავზე!
- რატომ?
- ზუსტად არ ვიცი, მასნ... სიყვარული-სიქიმიანაა, მგონი!
- ხუთ წუთში მანდ ვიქნები, იქნებ დაე-ლაპარაკო!
- რა ვუთხრა, მასნ?!
- რაიმე საინტერესო, ისეთი, რომ გააჩ-ერო!
- კარგი, მასნ!..

გიგი წელს მეთექვსმეტე კლასში დაგვემატა. ჩემს სოფელში მხოლოდ ცხრა კლასი იყო, თქვა. აქ, თბილისში, ბიძამისთან ცხოვრობს. თავიდან, კლასში რომ შემოვიდა, ყველას მასწავლებელი გვეგონა — ჩვენზე დიდები და მასწავლებელი, ოღონდ მსუქანიო, ვერ იტყვი. სასწავლო წინააღმდეგობაში შემოვიყვანა, გაიცანით თქვენი ახალი კლასელი და რადგან ჩემთან იყო ადგილი, ანრის გვერდით დავეჯექი, მიუთითა. მე მთელი სკოლის დაწყება იმას ვდარდობდი, რომ გიორგი, ჩემი ძმაკაცი, თან მერხის ამხანაგი, მშობლებთან ერთად გერმანიაში გადაცხოვრდა. ახალი დარდიც დამემატა, გიგისთან ისე ვჩანდი, როგორც წრუნუნა სპილოსთან. მასწავლებელი რომ არ აღმოჩნდა, მერე რაგბისტი მეგონა და შესვენებაზე ვკითხე კიდევ, რაგბიზე დადიხარ-მეთქი?! არაო, არასდროს მითამაშიაო. მუშტის ქნევა ხო კარგი იცი, არ გინდა, ვიძმაკაცოთ, ვინმე საცემი რომ იქნება, ერთად დავცხოთ-მეთქი. ვიძმაკაცოთ, მაგრამ მუშტის ქნევა რა საჭიროა, თუ რაიმე გაუგებრობაა, ხო შეიძლება, სიტყვებით მოვავაროთო. რა სიტყვები, ძმა, არ დაგვესა ვინმე, უნდა გლიჯო-მეთქი და ჰაერს ხელი მოვუქნიე ჯერ ერთი, მერე მეორე და ფეხიც მივაყოლე.

ხო, ამ სასწავლო წელს კიდევ ერთი ახალი ამბავი მოხდა: ქიმიის მასწავლებელი, ელზა მასნი, რომელიც ჩვენი დამრიგებელი იყო, სკოლაში აღარ დაგვხვდა. თურმე გაგვითხოვდა სადღაც სოფელში, გადაკარგულში. ერთი კლასელი მყავს, ტასო, იცინოდა, ხალხი სოფლიდან გამოვრბის, აი, გიგი თუნდაც და ქიმიას სოფელში რა უნდოდაო. ნიცა, ისიც ჩემი კლასელი, ასკენის, ასე იცის სიყვარულმა — სიყვარული ხო ქიმიანაა. სიყვარული არა დუშანბე — ვამბობ მე.

აბა, უმასწავლებლოდ და უდამრიგებლოდ ვინ დაგვტოვებდა და ახალიც მოგვივიდა. მოსვლა იყო ცირკი. სკოლის მეორე დღეა. გაკვეთილი უნდა დაგვეწყოს და არ ვიცი, ვინ იქნება ახალი ქიმიანა. ზარი დაირეკა. გიგისთან ერთად სკოლის სტადიონზე ვიყავი. გაკვეთილზე დაგვაგვიანდა. მივდივართ ჩვენი საკლასო ოთახისკენ, სხვა დროს გოგოები და ზოგი ბიჭიც, ქალია ტიპები, ზარის დაჩეკვის მერე რაღაცას იმპორტებენ ნივთებში თავჩარგულები და ასე თუ ისე სინყნარეა. არადა, ახლა კლასიდან ისეთი ხმა გამოდის, როგორც ზოგადად სამხეცოდან. კარს ვაღებ და უმალ თავს ვხრი — შესაშური რეაქცია მაქვს, შევამჩნიე, როგორ მოქრის ჩემი ქიმიის წიგნი, რომელიც ავიცილე. სამაგიეროდ, არ ასცდა გიგის, ზახ და ზედ გულთან მოხვდა, თუმცა ამას ქიმიის წიგნი რას უზამდა, კაცი კი არა, ბუღდოზურია. ყველა ქიმიური ელემენტი ერთად დაეჯახა, ვითომ არაფერი, წიგნი ისე დაიჭირა და კულტურულად კითხულობს, ბავშვებო, ვიღაცას წიგნი დაუფარდაო. რა კულტურა, გიგი, მგონი, კლასი გაგაჟდა, ყველა ყველას ურტყამს, თან რატო, აზრზე არ ვარ. „ჰკა მაგას“ — ვიძახი მეც და ომში ვერთვები. გიგი დაბნეულია, უკან ვიხედები და ვუყვირი, ზურგი გამიმაგრე! უცებ გუგუნის წყდება. კლასი წყნარდება. კარისკენ ვიხედები. დირექტორი და ვიღაც გაჩხინკული გოგო დგას. ალბათ ესეც გიგისავით სხვა სკოლიდან დაგვემატა, არადა, კლასში მოსწავლის სკამი აღარ დარჩა ცარიელი, რომ დავესვით. ნიკოლოზი დასვა, ხელში სულ წიგნი რომ უჭირავს, მაგას აქვს ასეთი შტერული მანერები.

— დასხედით! — ამბობს დირექტორი. ყველა სასწრაფოდ ჩვენ-ჩვენს ადგილებს ვიკავებთ. ახლა დაინწყება საუბარი, რას ჰგავს ჩვენი საქციელი, რამდენი რამე გააკეთეს ჩვენმა გიმრამა წინაპრებმა, რომ ამ ქვეყანას დღესაც საქართველო რქმეო-

და და როგორი უნდა იყოს მოსწავლე, რათა ეს ქვეყანა ჩვენ ჩავიბაროთ და გადავცეთ ჩვენს მომავალ თაობებს ისევე ღირსეულად, როგორც აქამდე და კიდევ ათასი რამე. ეს ტექსტი ზეპირად ვიცი, დირექტორი ყველა ახალ სასწავლო წლის დასაწყისში და ყველა დარღვევის დროს ამას გვეუბნება და გვახსენებს.

თუმცა შევცდი, ახლა ასეთი არაფერი არ უთქვამს. ბავშვებო, აი, უნდა გაგახაროთ, თქვენი ახალი ქიმიის მასწავლებელი, ელისაბედი მასწავლებელი, უნდა გაგაცნოთ, თან თქვენი დამრიგებელიც იქნებაო.


კლასელებს გადავხედე, სიხარულის არაფერი ეტყობათ და გამტყრებულები აკვირდებიან ახლად გამოჩენილ ქიმიას. ნიკოლოზს პირი აქვს ღია. როცა რაიმე ძალიან უკვირს, ყოველთვის ასეა. ვანიშნებ, დახუროს, თან ვფიქრობ: ვაჰ, კაცო, ეს არის მასწავლებელი? ამ, რა ჰქვია, ხო, ელისაბედი, რა უნდა მასწავლოს, სახელი უფრო გრძელი აქვს, ვიდრე თვითონაა?! ამას

საოცრება — ის ისე, რომ სიტყვაც არ უთქვამს, ვაჩქეს მერხისკენ მიდის, მისი რვეულიდან შუა ფურცელს იღებს. მერე მასწავლებლის მაგიდასთან ბრუნდება, ამ შუა ფურცელს შუაზე ხეხს, ერთ ნახევს გუნდასავით ამრგვალებს, ვაჩქეს ესკრის და თითქოს ელისაბედი კი არა, რობინ ჰუდი იყოს, შიგ შუბლში აჯენს. ეს ისეთი მოულოდნელი იყო, რომ უცებ ომიც შეწყდა და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, როგორც იაპონიაში იცის ცუნამის წინ...

ნიკოლოზი რაღაც წიგნს კითხულობს, ამ დროს კი ქალაქის ბომბი კი არა ატომური ბომბი რომ ესროლო, აზრი არ აქვს, ვერაფერს გაიგებს. ახლა ვერ ხვდება, სიჩუმე რატოა, ამკარად შენუხდა, თვალებით მეკითხება, რა მოხდაო. მე ისევე ქიმიის ახალ გამომცხვარ მასწავლებელს ვაკვირდები. ის კი ამასობაში ფურცლის მეორე ნახევარს ისე კეცავს, ამკარად თვითმფრინავს ამზადებს, ალბათ ამერიკული ფე თექვსმეტს, თუმცა არ დასჭირდა....

ექსპერიმენტი, ჩვენც ცდით დავიწყეთო. ორი, ეტყობა სხვადასხვა, ფხვნილი სხვადასხვა ჭურჭლიდან ერთ ჯამში გააერთიანა და ერთმანეთში აურიო. ამის შემდეგ მინის პატარა ჯოხი აიღო და სხვა ბოთლში ჩაუშვა. იქიდან ამოღებული დასველებული ჯოხი ჯამს დაადო. უცებ ბუხ და ცეცხლმა იფეთქა, თუმცა დიდი ცეცხლი არ იყო, მაგრამ იმდენად დიდი კი, რომ ცოტათი მაინც შევეშინებინეთ და მაშინ მივხვდი, რომ ეს პატარა, ლამის ჩვენი ტოლა გოგო, მასწავლებელი კი არა, ჯადოქარი იყო, ოღონდ ის ბოროტი არა, სხვადასხვა ქიმიური ცდებით ვაშლს რომ წამლაეს და ფერისა აძინებს, არამედ კეთილი ჯადოქარი, იმიტომ, რომ ისეთი კეთილი თვალეზი ჰქონდა, არ შეიძლებოდა, ბოროტი ყოფილიყო.

ცდები არც შემდეგ გაკვეთილებზე დაგვკლებია. ეს იქნებოდა ბუშტის გაბერვა ძმრისა და სოდის გამოყენებით, გაჭრილ კარტოფილზე იოდის ხსნარის დაწვეთება



ქარმა რომ დაუბეროს, გაფრინდება, ჯიბეში ქვეტი თუ არ ჩაინყო. ეს რომ სიხმარში მენდელეევს ენახა, საერთოდ ცხრილის გარეშე დავრჩებოდით. ალბათ ბევრი ქიმიური ელემენტი არც ექნება, თორემ ასე ჯოხივით ხელედი და ფეხები ხომ არ ექნებოდა, ხომ მშვიდობაო. კიო — პასუხობდა ის. სულ ცოტა ხნის წინ რა ომი იყო გაჩაღებული, იმაზე არაფერს ამბობს. კლასი კი ისე იყო გასუსული, გეგონებოდა, დედამიწაზე კიდევ ერთი ასტეროიდი ჩამოვარდა და ახალი გამყინვარება დაიწყო.

ყველამ რომ დაგვეტოვა და ისევ მარტონი დავრჩით, მასწავლებლები პირველად დაჯდა მაგიდასთან და ძალიან მშვიდად გვეუბნება: — მოკლედ, მე თქვენი ახალი ქიმიის მასწავლებელი და კლასის ხელმძღვანელი ვარ. ახლა კარგად მომისმინეთ. გვაქვს ორი გზა: ან ვიმეგობრებთ, ან მტრები ვიქნებით. ორივე შემთხვევაში ერთად მოგვიწევს სკოლის დამთავრება, ანუ სამი წელი ერთად ყოფნა. ახლა გარეთ გავალ, ცოტა ხანში დავბრუნდები და თქვენ მოილაპარაკეთ და გადაწყვიტეთ, მტრობა სჯობს თუ მეგობრობა.

გავიდა. ცოტა ხანს მთელი კლასი ჩუმად იყო. — ვა, რა კაი ტიპია, ე... — ვთქვი უცებ. — თუ მაინც ერთად უნდა ვიყოთ, მტერთან ყოფნას მეგობართან ყოფნა სჯობს! — ამბობს ნიკოლოზი და იცინის.

უკან დაბრუნებულმა თან რაღაც სინჯარები შემოიტანა. კლასის გადანყვებილება მეგობრული ზავის შესახებ ნიკოლოზმა ამცნო. ძალიანაც კარგო — თქვა, თან ისე, რომ საერთოდ ვერ მიხვდებოდი, ეს ამბავი გაუხარდა თუ ეწყინა. მერე გააგრძელა, რადგან ქიმიან უპირველესად ცდა და

მერე კარი იღებოდა და იხურებოდა და რიგრიგობით შემოდოდნენ ჯერ ერთი მანდატური, მერე მეორე... ამით ასევე ცალ-ცალკე მოჰყვით სასწავლო წანილი და სულ ბოლოს დირექტორი. ყველა ეკითხებოდა, ელისაბედი მასწავლებელი, რა ხდება, ხომ მშვიდობაო. კიო — პასუხობდა ის. სულ ცოტა ხნის წინ რა ომი იყო გაჩაღებული, იმაზე არაფერს ამბობს. კლასი კი ისე იყო გასუსული, გეგონებოდა, დედამიწაზე კიდევ ერთი ასტეროიდი ჩამოვარდა და ახალი გამყინვარება დაიწყო.

ყველამ რომ დაგვეტოვა და ისევ მარტონი დავრჩით, მასწავლებლები პირველად დაჯდა მაგიდასთან და ძალიან მშვიდად გვეუბნება: — მოკლედ, მე თქვენი ახალი ქიმიის მასწავლებელი და კლასის ხელმძღვანელი ვარ. ახლა კარგად მომისმინეთ. გვაქვს ორი გზა: ან ვიმეგობრებთ, ან მტრები ვიქნებით. ორივე შემთხვევაში ერთად მოგვიწევს სკოლის დამთავრება, ანუ სამი წელი ერთად ყოფნა. ახლა გარეთ გავალ, ცოტა ხანში დავბრუნდები და თქვენ მოილაპარაკეთ და გადაწყვიტეთ, მტრობა სჯობს თუ მეგობრობა.

გავიდა. ცოტა ხანს მთელი კლასი ჩუმად იყო. — ვა, რა კაი ტიპია, ე... — ვთქვი უცებ. — თუ მაინც ერთად უნდა ვიყოთ, მტერთან ყოფნას მეგობართან ყოფნა სჯობს! — ამბობს ნიკოლოზი და იცინის.

უკან დაბრუნებულმა თან რაღაც სინჯარები შემოიტანა. კლასის გადანყვებილება მეგობრული ზავის შესახებ ნიკოლოზმა ამცნო. ძალიანაც კარგო — თქვა, თან ისე, რომ საერთოდ ვერ მიხვდებოდი, ეს ამბავი გაუხარდა თუ ეწყინა. მერე გააგრძელა, რადგან ქიმიან უპირველესად ცდა და

და გალურჯება, რკინის მავთულის მუყავა-ში ჩადებით წყალბადის, ან უბრალო სტრუბოციდის ტაბლეტებით „ფარაონის გველების“ მიღება...

ამასობაში მე და გიგი დავძმაკაცდით. მეზობლებიც აღმოვჩნდით, ბიძამისი თურმე ჩემს მოპირდაპირე კორპუსში ცხოვრობს. სკოლიდან სახლში ერთად მივდიოდით, თან სოფლის ამბებს მიყვებოდა და მაცინებდა.

— გიგი, შენ სოფელში მდინარე ჩამოდის?

— კი, აბა, სოფელი მდინარის გარეშე სად გაგონილა. სახლი ზედ მდინარესთან მაქვს. მდინარეზე ხილია. ხიდს გადაღმა გაღმა ბებო ცხოვრობს. აქეთ სულ პირველი ჭკვიანი ბებოა, მერე შუა ბებო და ბოლოს მარტო ბებო.

— ვა, ოთხი ბებო? ეგ როგორ?

— ერთი დედამისის დედა, ხიდს გაღმა რომელიცაა. ერთიც მამას დედა, ხიდს გამოღმა — შუა ბებო. ორიც, ჭკვიანი და მარტო ბებო — მეზობლები. დედა და მამა ხიდის სხვადასხვა მხარეს ცხოვრობდნენ და ერთ კლასში სწავლობდნენ. სკოლაში კი მარტო ორნი იყვნენ და ვინმე ხო უნდა შეჰყვარებოდათ! — იცინის.

— რა მაგარია! ახლა რამდენი ბავშვია თქვენს სკოლაში?

— ჩემი პატარა ძმა მხოლოდ და შვიდი მასწავლებელი ჰყავს დირექტორის ჩათვლით!

— მშობლები სად გყავს?

— ამერიკაში!

— ვა, გლიჯავს, მერე შენ რატომ არ მიყვები, ყველა ამერიკაში და ევროპებში მიექანება?

— დედას და მამას არ უნდა... ისინიც მალე დაბრუნებას აპირებენ — ყველა თუ

ნავიდა, საქართველო ვის დავუტოვოთ. ის კი არა, ჩემი პატარა ძმა ამერიკაში დაიბადა, ამერიკის მოქალაქეა. და ისიც აქ გადმოაგზავნეს და სოფელშია, იმასაც ახლა ოთხი ბებო ჰყავს.

— ანუ ადრე მარტო შენ იყავი სკოლაში და ახლა შენი ძმა?

— კი, ასეა!
— რა მაგარია ერთბაშეში სკოლა! და ავად რომ ხდებოდი, სკოლა იხურებოდა?

— სოფელში იშვიათად ვინმე ავად გახდეს. ერთხელ ვიყავი ცუდად და მთელი სკოლა ჩემთან იყო. როცა ლოგინში მწახეს, რიგ-რიგობით მადებდნენ ხელს შუბლზე, განსაკუთრებით დირექტორი ნერვიულობდა, ბებოს ეუბნებოდა, გიგი რომ არ გვყავდეს, სკოლას დაგვიხურავენო. ფიზიკის მასწავლებელი სკოლის ელექტრო თერმომეტრით იყო მოსული, კოვიდის დროს რასაც იყენებდნენ. შუბლზე მომიშვირა, ოცდაჩვიდმეტი და შვიდიო, თქვა და თავი გადააქნია. მერე, ეტყობა, ელექტროს არ ენდოდა და ბებოს ვერცხლისწყლიანი თერმომეტრით მისინჯავდა. დირექტორმა, მორჩი ახლა ცდების ჩატარებას, ვერ ხედავ, თვალები როგორი ამღვრეული აქვს, ანუ მართლა სიცხე აქვსო. ისე წუხდა შეიდივე, ძალიან შემრცხვა, ავად რომ ვიყავი!

— მერე?!

— მერე მორიგეობა ჰქონდათ! რიგ-რიგობით მაკითხავდნენ სახლში. ვის რა მოჰქონდა, ვის — რა, ქიმიის მასწავლებელმა ატმის კომპოზიციის მოტივანა. ბიოლოგიამ ქათმის ბულიონი — არადა, მაშინ, ჯანმრთელად რომ ვიყავი, ისე მიყვებოდა ორასი მილიონი წლის წინ გადაშენებულ დინოზავრებზე, ლამის მატრირებდა და თვითონაც ტიროდა. ერთხელ მითხრა, ქათამი იმ დინოზავრების შთამომავალია, წყალს რომ სვამს, ცას უყურებს და იმათთვის ლოცულობსო. ეს ამბავი მერე დღეს ნამცხვრით მოსულ ფიზიკას მოუყვები და ბიოლოგიაზე თქვა, სიმძიმის ძალა არ იცის და იმიტომ ამბობს მაგასო...

— ანუ სახლში გქონდა სკოლა?

— კი, ასეა, შემდეგ დღეს სათემბატოკამ ხაჭაპური მოიტანა, მრგვალი, თან შემომაპარა, აბა, წრის ფართობი თუ გახსოვს, სახლში სახაზავი თუ გაქვს, ამ ხაჭაპურის ფართობს გამომიტვლიო. სახაზავი სად მექნება. ერთი ჰექტარი ნამდვილად არ იქნება-მეთქი. გაიცინა, აბა, არმდენი არიო. აჰა, ახლა არი! არი ხო, ასი კვადრატული მეტრი და არც არის იქნება-მეთქი და ყოჩაღ, დღეს შენ ათიანიო, მალე სკოლაში გელოდებითო და ნავიდა. ხაჭაპურიც ძალიან გემრიელი იყო.

— იგონებ ახლა ამას ყველაფერს, ხო?

— რას ვიგონებ, ამოდი ჩემთან სოფელში და ჰკითხე, გინდა მასწავლებლებს, გინდაც ბებოებს! შუა ბებო ძალიან ბრაზობდა, ამდენ ხალხს აწუხებ და ხვალ, გინდა სიცხე გქონდეს, სკოლაში წადიო. მეც რა უნდა მექნა, კარგად გახვდი. ის წელი მეტი არც გაგზავნავენარ ავად და მეათეში გადავედი და ახლა აქ ვარ.

— ვაჰ, იმდენი ვიცინე. იცოდე, სიტყვაზე გიჭერ, უნდა გენვიო სოფელში!

— რას მიჭერ, მესტუმრე, კაცო, აბა, რა გითხარი?!

— ჩვენი კლასი მოგწონს?

— ნიკა მომწონს! შეყვარებული ჰყავს?

— გაგიყვდი, რა შეყვარებული?! მაგას ძმა ჰყავს მეთორმეტე კლასელი, ჯურხა ჰქვია, ყველას ეშინია მისი. ისე, ნიკა რამ მოგანონა. თუმცა ცუდი გოგო არ არის, მაგრამ როგორც ყველა გოგო, ისიც ცოტა ვერ არი... ხან ისე კივის, როგორც ადუღებული წყალი მსტვენარა ჩაიდანში... თუ გინდა, ვეტყვი, რომ მოგწონს, ჰა?!

— არა, რა!

— მოიცა, მოვიფიქრე... აი, წინა ქიმიის მასწავლებელი, შენ არ იცი, ელზა მასნი, ქიმიის სიყვარულიაო და თუ პირიქით — სიყვარული ქიმიისაო თუ რაღაც ამგვარს ამბობდა და რაღაც ნივთიერება წარმოიშობაო... მოდი, ხვალ გაკვეთილზე ქიმიას ეს ჰკითხე და მერე ნიკას გადახედე... ჰოდა, ნიკა მიხვდება, რომ სიმპათია გაქვს!

— არა, არ შემიძლია!

— მოიცა რა, რა არ შეგიძლია?!

სასწაული, გიგიმ მართლა დამიჯერა, ისე იშვიათად მინახავს კაცი ვინმე, მე დამიჯეროს. ერთი გიორგი იყო და ის მიჯერებდა დროდადრო. თუმცა იმასაც ვუთხარი, რა გინდა ევროპაში, პირველი ევროპელები ხომ ჩვენი ვართ-მეთქი, მაგრამ

მინც ნავიდა, ან რა ვიცი, იქნებ მშობლებს არ გაუტეხა ხათრი, ალბათ იმათ არ იცოდნენ, ვინ იყვნენ ზეზვა და მზია...

მეორე დღეს პირველი ქიმია გვექონდა და გიგიმ როგორც კი დრო იხელთა, ელისაბედ მასწავლებელს, კითხვა მაქვსო — ფეხზე წამოდეგა.

— გისმენ, გიგი!

— ელისაბედ მასწავლებელს, რომ ამბობენ, ქიმია სიყვარულიაო, მართლა ასეა? — დასვა კითხვა გიგიმ ჩემი ნასწავლი ტექსტით და ნიკასკენ იყურება. ვაჰ, ჩაგვივარდა ოპერაცია — ეს უტვირთო ნიკა, იმის მაგივრად, გიგის გახედოს, ამ დროს ღია ფანჯარაში შემოფრენილ პეპელას უყურებს და იცინის... ეს პეპელაც, რა! შე კაი ოჯახის შვილო, სამი დღე გაქვს საცხოვრებლად თუ საფრენად, სკოლაში რა ჯანდაბა გინდა, წადი სადმე მინდორში ყვავილებთან, იქ იფრინე რა...

— კი, გიგი, ასეა... სიყვარულის რეგულატორი კონკრეტული ნივთიერება ფენილეთილამინია, ინვესს გულისცემის აჩქარებას და საერთო სისუსტეს, ისეთი განცდა აქვს ადამიანს, თითქოს სხეულზე ჭიანჭველები დარბიან, მუცელში კი პეპლები ფრენენ, თან თითქოს შეგიძლია, მთები გადააბრუნო და ცხრათავიან გველემშაპს ცხრავე თავი მოკვეთო! — პასუხობს ელისაბედ მასწავლებელს და ელიძობა.

— მადლობა, მასწავლებელს... — თქვა გიგიმ და დაჯდა მონყენილი, რადგან თვითონ კი უყურებდა, მაგრამ ნიკას საერთოდ არ გამოუხედავს მისკენ. პეპელაც გაფრინდა. ვაუ, იქნებ ეს ის პეპელაა, სიყვარულის დროს მუცელში რომ დაფრინავს და ახლა გარეთ გაფრინდა, მე კი რამდენი ვლანძღე... I'm sorry, პეპელა... გამიჯნურებულ გიგის კი ისეთი სახე აქვს, არა მგონია, ახლა ცხრათავიან გველემშაპს შეებრძოლოს, თუმცა ნიკას გარდა, მგონი, მთელი კლასი მიხვდა, რამდენად იყო საქმე — გოგოებსაც და ბიჭებსაც სახეზე ღიმილი დასათამაშებო, ესენი შესვენებაზე ამბავს მიუტანენ, ანუ გეგამამ მთლიანად თუ არა, ნანა-ლომრივ მაინც იმუშავა... მე კი ახლად მახსენდება სწავლის დანებების მერე დღეს როგორ ამცდა და გიგის როგორ მოხვდა ქიმიის წიგნი — რა გადავრჩი? ეტყობა, მაშინ მოხდა რეაქცია, რამაც, რა ჰქვია, ხო, ფენილეთილამინის წარმოშობას შეუწყო ხელი...

დღეს გაკვეთილების მერე მე და გიგი შევთანხმდით, იქვე კორპუსებს შორის ქიმიურად მიღებულ ხელოვნურ ბალახიან სტადიონზე ბურთი გვეთამაშა. ჩავედი. გიგი არ ჩანდა. უზნის ბიჭებთან ერთად ვითამაშე, ამასობაში ჩამობნელდა, ჩემი კორპუსისკენ მივიღვივარ. გიგის ფანჯარას ვაკვირდები, შუქი საერთოდ არ ჩანს, არც ტელეფონზე მპასუხობს. უცებ მესენჯერში შეტყობინება მომდის, დახედე, ნიკაა...

— ანრი, სად ხარ?

— დუშანბეში...

— გიგი შეთანაა?..

— არა... და რა იყო, რო?

— აუ, გზაზე შემთხვევით შემხვდა და გაგაცილებო და ვუთხარი, დაახვიე-მეთქი!

— ეგრე რატო უთხარი?!

— აუ, ჯურხას უნდა შევხვედროდი! ხო იცი იმის ამბავი, რა...

— მერე ეგრე გეთქვა, ძმას უნდა შევხვედე-თქო!

— ხო, რავი... ვერც მოვასწარი მობოდიშება, მეგონა, ხუმრობად მიიღებდა! უცებ ნავიდა... ისეთი სახე ჰქონდა... იქნებ ნახო და უთხრა, არ ეწყინოს რა.

— დაურეკე და უთხარი!

— არ მაქვს გიგის ნომერი!

— საით ნავიდა?

— მგონი, სკოლისკენ!

— ხო, კარგი...

სკოლასთან უცებ მივედი. გვერდითა მხარეს, სახანძრო კიბეზე, ვხედავ, ვიღაც ადის. უკვე თითქმის სახურავთანაა. ვიღაც კი არა, გიგია. გაგიჟდა აშკარად. როგორაა? სიყვარულმა გადარია ტარიელიო. რა ტარიელი, ეს გიგია გიჟი და გადარეული. მოვიფიქრე და ჯერ ელისაბედ მასწავლებელს ვიკვირე, მიშველე-მეთქი... მერე იქვე სკოლის ლოზეზე გადავძვერი და მეც სახანძრო კიბეს ავეყვი. ღმერთო, ნეტავი ავუსწრო, თან ვფიქრობ, რა ვუთხრა. ან იქნებ ეს სულაც არ არის ის, რასაც ვფიქრობ — სოფელი და მთა მოენატრა და იმიტომ ადის მაღლა. ავედი, სკოლის სახურავს პატარა ზღუდე აქვს, იმასთან დგას და თბილისს უყურებს...

— ვა, გიგი! — ვამბობ.

— აქ რა გინდა?! — თქვა ისე, რომ არც შემოუხედავს.

— სტადიონზე სათამაშოდ რატომ არ მოხვედი, გექნებდა?

არაფერს ამბობს.

— იცი, ბიჭებმა თქვეს, უბანში რაგბის წრე იხსნებაო და მე ჩავეწერე და შენც ჩაგწერე.

ისევე ჩუმადაა. მეც იქვე ვიყურები, საითაც ის. სკოლის სახურავიდან თითქმის მთელი ღამის თბილისი ჩანს ათასნაირი შუქებით განათებული.

— ისე, ეს თბილისის სინათლეები ვარსკვლავებს ჰგავს ხო? — ელა მოვიფიქრე, ელისაბედ მასწავლებლის სიტყვები მახსენდება, რამე საინტერესოზე ელაპარაკეო. ვარსკვლავებზე საინტერესო რა უნდა იყოს? გიგიმ მაღლა აიხედა და ცაზე ვარსკვლავებს დაუწყო ძებნა.

— არა... ვარსკვლავებს მინაზე რა უნდა ათ... ვარსკვლავები ცაშია. აქ კი ცაზე ერთი-ორი ვარსკვლავია, სოფელში უნდა ნახო, როგორია ცა, თითქოს ბებოებს ნაკვეთრზე რძე დაეღვარათ!

— ვა, მართლა? როგორც მახსოვს, სოფელში წაყვანას დამპირდი... ხო, კიდე მინდა, იცოდე, ნიკამ, მგონი, ვანყენინე და იქნებ უთხრა, რომ არ მინდოდაო!

— მატყუებ ახლა!

— რას მატყუებ, აბა, ნახე, რას მწერს! ვანვდი ტელეფონს და ისიც მართმევს და მესიჯებს კითხულობს... ამასობაში მესმის სახანძრო კიბეზე ვიღაც ან რაღაც ამოდის. იქნებ „ფარაონის გველები“. არა, რა გველები, ელისაბედ მასწავლებელია, მიხმარებას ვერ ვასწრებო, გაჭირვებით, მაგრამ კიბიდან სახურავზე მაინც თვითონ გადმოდის. მისკენ მივიღვივარ.

— ბიჭებო, რა კარგი ადგილი ამოგირჩევიათ სალაპარაკოდ! — ამბობს და ძლივს სუნთქავს.

— ელისაბედ მასწავლებელს? აქ როგორ? — ამბობს გაკვირებული გიგი.

— სკოლაში ვიყავი, რაღაც სინჯარა დამჭირდა ცდისთვის და ქვემოდან შეგნიშნეთ! — ამბობს. ალბათ ახლა ლოყებიც უნითლდება, რომ ტყუის, მაგრამ ბნელა და არ ჩანს. მერე გვეკითხება:

— რას შევებით აქ, მშვიდობა გაქვთ?

— კი, მასწავლებელს! — ამბობს გიგი.

— ძალიან კარგი! სიმალის ძალიან მეშინია, იქნებ მომეხმაროთ რა, რომ უკან ჩავიდე!

პირველი ფიქრი, რამაც გამიელვა, ის იყო, ალბათ გვატყუებს, რომ გიგი ქვევით ჩაიტყუოს, მაგრამ თავზე ხელი რომ მიიღო და შეებარბაცდა, მივხვდი, ცუდად იყო საქმე.

— მასწავლებელს დავრეკოთ? — ეკითხება გიგი. სახანძრო თვითონ უფრო სჭირდება, ფენილეთილამინის, სახელიც მისწავლია, გამოყოფა რომ შეუწყოლოს და სიყვარულის ხანძარიც გაუწყოლოს ცოტა.

— რა ვთქვით, რომ გვეკითხონ, სკოლის სახურავზე რა გინდოდათო, თან ღამით! მომეხმარეთ, რომ ჩავიდე!

ნელ-ნელა ჩავედით ქვემოთ. პირველი გიგი ჩადიოდა კიბეზე, მერე ელისაბედ მასწავლებელი, სულ ბოლოს კი — მე. ვინმეს სურათი რომ გადაეღო, მაგარი ხოხმა იქნებოდა. უკვე ეზოში ვართ. რომ მეგონა, დებატებს გაგვიმართავდა და ჭკუის სწავლებას მოჰყვებოდა, წადით ახლა სახლში, გვიანიაო, გვითხრა... რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უკან მოიხედა... ჩვენ გაუწმრევლად ვიდექით.

— ბავშვებო, ერთი თხოვნა მაქვს, შემიძლია თუ არა? — გვითხრა უცებ.

— დიახ, მასწავლებელს... — ვთქვით ორივემ ერთდროულად.

ალბათ გვეტყვის, რომ სკოლაში არ ვთქვით, რომ სიმალის შიში აქვს — პირველი ეს იყო, რაც გავიფიქრე. ისედაც, მე პირადად არაფრის თქმას ვაპირებდი.

— ბავშვებო, მე არ ვიცი, ამ ღამით ვინ რას აპირებდით, მაგრამ არასდროს, რაც უნდა გიჭირდეთ, ბრძოლა არ შეწყვიტოთ, ცუდი რამე არც გაიფიქროთ, არ დანებდეთ, მით უმეტეს საკუთარ თავს არ ავნოთ, იმიტომ, რომ უფალსაც ხო გაანანყენებთ და დედამიწაზე ერთი ადამიანი მაინც იქნება, ვისაც ძალიან აწყენინებთ ამით და გულს მოუკლავთ! — თქვა და ისე, რომ პასუხს არ დალოდებია, შეებრუნდა და წავიდა.

ცოტა ხანს ვიდექით და ვუყურებდით, როგორ მიდიოდა.

— მართლაც, რა კაი ტიპია, ხო? — ეკითხება უცებ გიგი.

— ხო, — ვამბობ მე.

— სინჯარისთვის ვიყავიო და რომ არ ჰქონდა?

— აბა, მე რა ვიცი?!

წამოვედით. ჩუმად მოვიღვივართ. ცოტა ხანში მეკითხება:

— ვარჯიშები როდის იწყება?..





რაულ ჩილაჩავა

ის ბარიშრაში...

ვიცხოვრებ ცუდად... მეტსაც ვიტყვი: ძალიან ცუდად (ანუ შემოდლო უკეთესად და ვერ შევძელი)... ჩემო სიცოცხლე, რაც ხარ, ის ხარ, იყავ დღეგრძელი, გაშოროს ღმერთმა თანადგომა ფლიდთა და ცრუთა!

გავყურებ თითქოს ოკეანეს ჩემი გემიდან (ანუ ნავიდან ცრემლის გუბებს — ასეა სწორი)... ჰოი, რა ახლოდ მეჩვენება, რაც იყო შორი, ჰოი, რა მკაცრად მეჩვენება ახლა თემიდა!

ეს თარიღები — ხან ლუნები, ხანაც კენტები, მგერიან სიმშვიდეს, მახელბენ, მრთავენ, მთიშავენ. მე მაინც ვფიქრობ: გაეცლება ზეცას სიშავე და ჩემს საეხსავს კიდევ ბევრჯერ დავათენდები.

კარს ვტოვებ ღიად... თუ იმედმა მოსვლა ინება, ვეტიყვი: მობრძანდი, გელოდები დიდი ხანია!.. ეს გარიშრაში თითქოს ჩემი ცივი ტანია, რომლის ძარღვებშიც დღე წვეთ-წვეთად მოედინება.

ჩემი სიყვარის მემოზის შორიდან ქაქუთიას ხსოვნას

დღეს დაგმარხავენ... ერთი საფლავიც შეემატება ამ დედამიწას. შენ თითქოს ყვირი: „ვარ განწირული და ვეღარავინ ვეღარ დამიცავს!“

ვერც მე დაგიცავ... შენი დამცველი დღეიდან უკვე მხოლოდ ცაშია. მე ერთი მიკვირს, სიკვდილის ღმერთი მგელივით ასე რამ მოაშია!

ცარიელდება ჩემი სამყარო და მე შიშისგან კედლებს ვეხლები. უსასოობის ბასრი ეშვებით გამოხრულია სულის ბელღები.

მშვიდობით, ძმაო!.. შუა იანვრის მზე ჩაგაცილებს შენს აკლდამაში... ჩაჰბერავს მსაჯი საკუთარ სასტვენს და დასრულდება ბედთან თამაში.

ათი გზა

ათი გზა მქონდა და ათივე შენთან მოვიდა. რა ჰქვია ამას? — არც ვიციოხე, არც ჩავეძიე. რაც მთავარია, მე მიწაზე ზეცას ვენიე და იმ ზეციდან შენთვის ნამდვილ მზეს ჩამოვიტან.

თურმე ლაჟვარდებს სიეღვარე შერჩათ ნაქები, და ფრთებსაც ახსოვთ, როგორ კრავდნენ მათში ირაოს. უნდა წარსული ერთხელ კიდევ ავაყირო და ჩამოვრეცხო, თუკი სადმე შერჩა ლაქები.

შენი გვირილა შევამჩნიე ფანჯრის რაფაზე, — ყვითელყდიანი წიგნი იდო ლარნაკის გვერდით. და შენ ჩემამდე რასაც თხზავდი და რასაც წერდი, მე მერამდენედ შევითვისე და დავაფასე.

ჩემი კარტა უკვე ყველა მოსახვევს გასცდა, ათი გზა მაქვს და შენთან მოდის ათივე დღესაც. შენს საუფლოში მე გადმოვსხამ ტრფილის დესანტს, რომ დაგიცვა და არასოდეს გაგიშვა სხვასთან.

სადაც არა ვარ, ისევ იქ მინდა!..

ისევ იქ მინდა, სადაც არა ვარ, (თავს ვეკითხები: ვიქნები კია?)

და ვარსკვლავების შორეულ კიანს შევყურებ შურით დაუფარავად.

ვიცვლი ადგილებს, როგორც მზვერავი, მაღლი ღმერთს, მტერმა ვერ შემამჩნია. რაც მკერდზე ზედის დამლად მაჩნია, ვერ ამოიცნოს ქვეყნად ვერავინ!

იანვრის ღამე... ჩვეული თოში... გადასარკული სიზმრების ველი... და მე არ მტოვებს ნაღველი ძველი, რომ ჩვენ ვიცხოვრებთ სხვადასხვა დროში.

ქარი ყურდება და ხმას იკმინდავს, და ახლა, ალბათ, სიჩუმე შემშლის... არც არაფერი შეცვლილა ჩემში: სადაც არა ვარ, ისევ იქ მინდა!

ნეტავ, საით მივდივართ, ვისთან, რისთვის, რატომ?..

ალარც ნიკოფსიაა, ალარც დარუბანდი, ალარც ის დედოფალი, მე რომ ფეხებს ვბანდი. ფიქრი მუჭში მეტევა, აზრი სადღაც გაქრა, თივის ზვინთან ვილაცამ თითქოს ასანთს გაკრა.

ვილას ველოლიავო, ვილას მოვეფერო, რომითა და პარიზით გულნატკენო ბერო! წლებმა წლები შეცვალეს, ჩვენც მოგვდგნენ და გვცვლიან. ვაჰმე, მეტის ატანა აღარ შემიძლია!

რაც თქვეს, რასაც ამბობენ, მე რა დავამატო!.. ნეტავ, საით მივდივართ, ვისთან, რისთვის, რატომ?

და ეჯახება გინდს მომავალი...

დაღლილი სული ცას ევედრება სიმშვიდეს, სითბოს და მყუდროებას. დასრულდა უკვე ტკბილი დროება და ყველა წამი სასჯელს ედრება.

მე ამ მიწაზე მოვხვდი შემთხვევით და სულ ვკითხულობ: „აქ რა მინდოდა?“ წიაღში დღეთა უამინდოთა, ჩავლილ ტაროსთა ლანდებს ვემთხვევი.

მიშლიგინებენ შლეგი ქარები და მდუმარების კოშკებს ლენავენ. რისთვის ვიცხოვრე, რისთვის ვენამე ან ახლა საით მივეჩქარები!

მთვარემ მოხადა ღამეს მანდილი, ირგვლივ ვარსკვლავი დასხა მრავალი... და ეჯახება ბინდს მომავალი, ლიანდაგიდან გადავარდნილი.

და დგას გარშემო სურნელი ბიის...

ეზოში ჰყრია მუხლამდე კომში და დგას სურნელი თავბრუდამხვევი. მე კი — ერთგული მკვიდრი ამ ხევის, თითქოს ხვალ დილით მივდივარ ომში.

სოფელი კვდება... მინდა, დავიცვა, ვინც უფლის ნებით ჯერ ცოცხალია. თუმცა ვცდილობ, კარგი ვიყო ძალიან, მიზეზთა გამო ზოგჯერ ავიც ვარ!

ვის მიჰყავს ჩემი ძმები და დები, ვინ ემტერება ასე ამ ოდებს!.. მას სანამ ვინმე ლაგამს ამოღებს, მე შეუმჩნევლად ათასჯერ ვკვდები.

თითქოს ჩამესმის უწყვეტი: „ბი-ის!..“ ვაგრძელებ სასტიკ მომხდურთან შებმას... ჰგავს ჩემი ეზო უწმინდეს ემბაზს და დგას გარშემო სურნელი ბიის...

გავშვობაში ვბრუნდები, ჰაუ, ჰაუ, ქორო!..

ვეფერები კალენდარს, სადაც ძვირფას თარიღებს ხავსი არ ეკიდება, არც ბურუსი ფარავს. სივრცე გასუსულია, ქარი ხმასაც არ იღებს, სადღაც მიილალება სურვილების ფარა.

მიხარია, რაც იყო!.. რაც იქნება, იმას მე ვერ განვჭვრეტ, ამიტომ ველი, როგორც ნობათს. თითქოს ისევ მასველებს გაზაფხულის წვიმა ანუ ჩემში კვლავ ცოცხლობს ალტაცების გრძნობა!

მიილია კალანდა, ნათლისღებაც გავიდა! უკვე ორი ზამთარი ერთად ვხვდებით თოვას. რომ შემეძლოს, ცხოვრებას დავიწყებდი თავიდან, ვიყვირებდი: „შეგშურდეთ, სევდამ მიმატოვა!“

იცრიცება ცისკარი, შუქი დასდის კაბადონს, აწნისია, ჟივჯივებს ბელურების ქორო. თითქოს გადახსნილია ჩემი ლექსის საბადო, ბავშვობაში ვბრუნდები, ჰაუ, ჰაუ, ქორო!

„იჟო... არ არის... არც იქნება არასდროს ანი!..“

ერთხელაც ვიტყვი: „დავიღალე!..“ (შენც გითქვამს, არა?), კარს გავიხურავ და მორჩება ეს უაზრობა, როგორც აზიის უდაბნოში ტყვეთა ბაზრობა და ღამის ბინდი დაეცემა ცარიელ კარავს.

არ ჩამოკრავენ გლოვის ზარებს დიდი ტაძრები, როგორც მოვედი შეუმჩნევლად, ნავალ ისევე, და დაისები იმგვარ ხანძრებს შემომისევენ, რომ მათ ბრიალში უსახელოდ დავინაცრები.

მშვიდობა შენდა! გასცდი უკვე მორიგ ბარიერს, ალბათ, სულ მალე თვალს მოგტაცებს სხვა სანაირი და ვინც ჩემსავით ვერ გაუძღვს ვნების იერიშს, ჩათვალე, მძევლად აიყვანე და გადარიე!

მე თითქოს ვხედავ: სიყვარულის ნასახლარს აწვიმს, ჩამოქცეულა, ჩამოშლილა ოდა ყავრული და ნანგრევებში ელავს შენი ასომთავრული: „იყო... არ არის... არც იქნება არასდროს ანი!..“

მრავალთაგანი, მრავალთაგანი!..

მე ამ ყველაფერს ვარქმევ სხვა სახელს, რომლის გამხელაც ჩემთვის ვაშინერს. და რაკი ბედი ვერ შევამინე, დავტოვე უხმოდ სიზმრის სასახლე.

ახლა ცხადში ვარ... ვხედავ იმ წიფელს, რომლის ჩრდილშიაც გვედგა მაგიდა. და სიტყვას, მომწყდარს შენი ბაგიდან, მეგონა, ჰქონდა მარწყვის სიმნიფე.

ვთრთოდი, ველეავდი, ჭკუას ვკარგავდი, რომ მე ვიყავი ტრფობის საგანი. არათუ ერთი მრავალთაგანი, — ის, ვინც არავის თითქოს არ ვგავდი.

ნეტავი, იმ დროს, ეს რომ მჯეროდა და ჩემ საუფლოდ მეცხრე ცას ვთვლიდი. გაღვიძებისთვის მაღლობა დიდი!.. — გავდივარ ჩემი ფრთების ჩეროდან.

ცრემლით განბანილს ჰგავს ფილაქანი, მე ტროტუარზე ვდგავარ ეული, არათუ ვინმე გამორჩეული — მრავალთაგანი, მრავალთაგანი!

ვიტყვი მას, რასაც ჩემგან არ ელით!

დაიას, მწიფდება სულში ამბოხი ბევრ სიგლაზე დუმილის გამო. ღამის ვუყვირო ჩემს თავს ამ ბოხი ხმით: „სხეულიდან გამოდი, გამო!..“

თუმცა არ ისმის ბოლო მესა ჯერ, მაინც არ მტოვებს ფიქრები ავი. რას ფიქრობს, ნეტავ, ქვეყნის მესაჭე, რომელ ზღვაშია მთავარი ნავი!

მტკიოდა მაშინ და მტკივა ახლაც, რაც მოგვივიდა, რაც დავგემართა. მოძმისთვის შუბლში ტყვიების დახლას სჯობდა მამული სწორად გვემართა!

მომინდა ბევრის მნახველს და ამტანს სხვა სივრცე — თბილი და საყვარელი, და როცა მართლა დავტოვებ ამ ტანს, ვიტყვი მას, რასაც ჩემგან არ ელით!

დღევანდელ ქართულს...

დღევანდელ ქართველს არეული აქვს ტვინი. თვითონ არ იცის, სხვისი არ სჯერა. ბასტა! მავანს უღვაში შეღებილი აქვს ინით, მავანი ტკბება რომანით მთავრობასთან.

დღევანდელ ქართველს შინ გაჩერება არ სურს, გულით მიელტვის პარიზს, რომსა და სტამბოლს. ვინ მოუაროს ჩვენს ანმყოსა და წარსულს, ბოლი რომ აგვდის, ვინ გაგვიფანტავს ამ ბოლს!

თქვენი არ ვიცი, მე კი დღევანდელ ქართველს ხან შიშით ვუმზერ, ხან კიდევ თანაგრძობით... რატომ ჰგავს ზოგჯერ ქათამს არწივის მართვე, ან უქნარობას რატომ გვიქვია ჰობი!

ცისფერყანდალთა გაღაკითხვისას...

მაქვს წინათგრძობა: მე ამ ღამეს ვეღარ დავნევი, ცით ვარსკვლავები ისეთ ლანდებს შემომასვენენ... მოვა პაოლო, ტიცციანი ცისფერ ყანწებით, მოჰყვებათ გოგლა, მათთან მთელი საძმო ასევე.

მე მათ საკადრის მასპინძლობას გულით ვეცდები, იქნება ღვინო, არღნის ცეცხლი, რითმების ცვენა და აღმასივით მოელვარე მანიფესტებით სმენას დამიტკბობს ხორცშესხმული ღმერთების ენა.

ვიტყვი, აქ ყველა სხვა დენდია, სხვა არიფია, ხოლო ეს სახლი მათთვის ლექსთა საქალაქდება, სადაც ციმციმებს მზით დამწვარი შორი სკიფია და სკიფიაზე კიდევ უფრო შორი ქალდეა!

ვიტყვი, ამ დიად საკრებულოს არ ვებევრები, შეიძფერი მუზა უხვად გასცემს დროის ავანსებს. და მე რიჟრაჟზე აღგზნებული სუფრის წევრები ბელურა ჩიტად დამინმნავენ დღის გაღავანზე.

ის, რაც გვქონდა და აშჰამად არ გვაქვს...

მასსოვს სურნელი ტანის ამოსი, მე რომ ძარღვებში სისხლს მიტოვებდა და სიფრიფანა ტანისამოსი თითქოს არც ეგდო ღვინის დოქებთან.

თითქოს არც იყო მკათათვე ცხელი, მთვარის სხივები, ჩანწული თმაში, და არც ბავშვურად მთროლოვარე ხელი ელტვოდა ნანატრ საგანძურს მაშინ.

მე ახლაც მივლის უტკბილეს ელდად იმ ნათელ წამთა გაელვარება, თუმც ირგვლივ მეფობს სითეთრე ველთა და ზამთრის დილა რეკავს ზარებდად.

ბოლოს და ბოლოს, რა არის ჩვენი? ის, რაც გვქონდა და აშჰამად არ გვაქვს... და განაგრძობენ ნეტარი დღენი ხსოვნის ძაფებით სიამის ქარგვას.

აუ

მყავდა ერთი მეზობელი, მეტსახელად „აუ!“ სიბნელეში შუქს ეძებდა, სიჩუმეში ხმაურს.

აუს სახლი სერზე იდგა, ისიც, სერზე მდგარი, დაუსტვენდა და ერთბაშად დაჰბერავდა ქარი.

თითქოს შევბას არ აძლევდა ფიქრის ჭიალუა. რომ ჰკითხავდნენ, რა გქვიაო, პასუხობდა: „აუ!“

აუ ისე გაეცალა ქვეყნის აურზაურს, ვერც გავიგე... აუ, სად ხარ, ხმა გამეცი, აუ!

დღისით გასაველელ გზას ვიმიორება...

ამ სახლში ცხოვრობს სიზმრების მეფე, რომელიც მიწერს, რა ვნახო ღამით.

აქ ხორციელის არ ისმის ჩქამი და მხოლოდ ქუფრი ლანდები ყეფენ.

აქ არც ერთ სულდგმულს არ უჩანს სახე, თითქოს არიან და არც არიან. აქ ცოცხალია ის, ვინც მკვდარია და როცა ვამბობ: „სიზმარი ვნახე!“

მე ვადასტურებ ამ სახლის ძალას, სადაც საჩემოდ წერენ სცენარებს... და ვემსგავსები ისეთ მცენარეს, რომელიც ნაყოფს ფოთლებში მალავს.

მე ვგრძნობ იდუმალ კავშირს მეორე მინასთან, ცასთან, სადაც სხვა მეა და სანამ ირგვლივ ბნელი ღამეა, დღისით გასაველელ გზას ვიმეორებ.

ბივი

სიზმრად თითქოს ბრძოლის ველზე ელი ავაზებს, მაგრამ ცხადში აღმოჩნდები ელიავაზე. ხან „კაფელშიკს“ იქირავებ, ხანაც „მალიარს“, ხანაც გორგუნავს ამ ცხოვრების ანომალია. მტკვარს ჩახედავ, მტკვარს თავისი გაჭირვება, თითქოს თვითონ ღელეა და ირგვლივ ზღვებია. შეხვალ სადმე ლუდხანაში, დალევ „ჰაინეკენს“, ლექსს წარმოთქვამ და შეგიქვებს თითქოს ჰაინე გენს. ყურს მოსწვენება შეძახილი: „გამო, გივი“ და, იგრძნობ, დღესაც არაფერი გამოგივიდა!

ქსე

სახლის კუთხეში ობობა ართავს ქსელს. უსაქმობისგან ფურცლავ ნელ-ნელა „ქსე“-ს. მე არაერთი სიკეთე მახსოვს „ქსე“-სი, მან მამცნო ბევრის გვარი, სახელი, სქესი. აქ ვინ არაა: კიროს, დარიოს, ქსერქსე... ვკითხულობ, თანაც ვლიღინებ: „ქსე“, „ქსე“, „ქსე“, „ქსე“... გაიცრიცება, გადაყვითლდება „ქსე“ როს, მე ვთხოვ შეწვენას მაშინ სკანერს და ქსეროქსს.

ქსე (აბრ.) — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

და შენს „ვაიმის“ კველბურად დაველოდები...

არ გჯერა, მაგრამ მე ხომ ვიცი, ჩემში ბრიალებს ცეცხლი, რომელიც ტანზე უმრეტ ალაღ მედებდა. შენა ხარ ჩემი სიცოცხლე და შემოქმედება და შენთან ერთად ვერას მიზამს დრო სატიალე.

ხვალ გაზაფხული დაიწყება... ნუშის ტოტები იგრძნობენ უცებ მითვლემილი კვირტების ფეთქვას. ვინყებ თავიდან, თითქოს დღემდე არც რამე მეთქვას და შენს „ვაიმის“ ძველებურად დაველოდები.

ჩვენ ორს ტატნობზე გველოდება მზის ტახტრევიანი...

ჩემში დღეიდან მწუხარებამ კარი ჩაკეტა. ვარ ბასტიონი, ციტადელი მიუდგომელი. აღარ ვკითხულობ: რას მიველტვი ან რა მომელის, ისედაც ვიცი, რომ მე არსად წავალ აქედან.

მიდის ზამთარი და თან მიაქვს ყინვის მტვევანი, მე კი გულს მითბობს, რაც ჩემია და რაც ჩემშია. ღმერთი შემინდობს, რაც აქამდე ცოდვილს შემშლია, ჩვენ ორს ტატნობზე გველოდება მზის ტახტრევიანი.

ო, ეს სიზმრიდან გადმოწყვა თუ სულაც ცხადია!..

ბუნებამ უკვე გადაკვეთა ზამთრის ხაზი და შემოგოგმანდა გაზაფხულის პირველი დილა. მე დავაჭირე სიყვარულის ციმციმა ღილაკს და მზეც მეფურად გამობრძანდა ცის დარბაზიდან.

აივსო სახლი ნაცნობი და უცხო ბგერებით, ო, ეს სიზმრიდან გადმოწყვა თუ სულაც ცხადია, შენი ლანდები ირგვლივ ტანის რხევით დადიან და ყველა მათგანს მე თავს ვუხრი და ვეფერები.

მიტოვებული კრავი

აღარც აქა ვარ, აღარც იქა ვარ, ვარ კი, საერთოდ, რავი!.. ფარა გარეკეს, მე დავრჩი, როგორც საყდრის ეზოში კრავი.

ჭიხვინებს დროის ველური ვარყა, დღეებს ფლოქვებით თელავს.

ვერ აფრენილა მისი თარეშით დამფრთხალი გულწითელა!

რა ჩქარა ჩაქრა ცის კაბადონი, რა უცებ მორჩა ლხინი! უახლოვდება ღამის აკლდამას მკვდარი მზის ბალდახინი.

მე კი არა ვარ, არსად არა ვარ, რატომ არა ვარ, რავი!.. საყდრის ეზოში ხმელ ბალახს ვწინეკნი მიტოვებული კრავი!

განა ვინმეს აქვს ბრალი...

ნეტავ, ვის ახსოვს ეს ყველაფერი, მე რომ მახსოვს და მდულრავს. მზე ჩავიდა და ღამე ჩამოდგა და სივრცე დაამწუხრა.

განა ვინმეა დამნაშავე და განა ვინმეს აქვს ბრალი, რომ გრძელდება და აღარ მთავრდება განშორებათა რალი!

რომ აღარ დარჩა, თითქმის არ დარჩა ჩემი სისხლი და ხორცი და ერთი წილის ნაცვლად ბუნებას ვუხდი უსიტყვოდ ორ წილს.

გასუსულია ციციკიდური და გატრუნულია ველი. ვწერ გათომილი თითით ყინულზე და პასუხს აღარ ველი.

შვიდი რუბაი შენთვის

*** დრონი იცვალენ, დღეს იქ მე ვარ, სადაც სხვა იყო, „სეზამ!“ — ბაგეებს წამოსცდათ და კარი გაიღო. შიგ დამხვდა ბალი მსხმოიარე... ნუთუ განგებამ ჩემ საამებლად ამნაირი ხარკი გაიღო!

*** რა საოცარი შეგრძნებაა! — ხარ და არცა ხარ, ერთი ნიშნითაც კი არ ჰგავხარ არც ძველ, არც ახალ სახეს, რომელიც შემხვედრია ან ახლა მხვდება, მიტომაც ვამბობ: შენ აქედან არსად არ წახვალ!

*** მინდა ვიცოდე ყველაფერი შენზე, არადა, ვემორჩილები ხან არჩევანს, ხანაც არადას. ასეც და ისეც არ მასვენებს ცნობისნადილი, ვის ჩონჩხს ინახავს იდუმალი შენი კარადა!

*** მართლა ასეა თუ უბრალოდ მე მეჩვენება, რომ შენი თავი უზენაესს ჩემთვის ენება. ადრე დაქანცულს დაღამება მენატრებოდა, რაც შენ გამოჩნდი, მიხარია დღის გათენება.

*** ჩემ სახლში თითქოს ბევრი ღამე ქრისტემ ათია და დამიტოვა სიყვარულის ქრესტომათია. ხარბად ვისუნთქავ ყოველ სიტყვას... მჯერა, სამოთხე, ვინც ერთმანეთში განსხეულდა, სწორედ მათია.

*** კედლები არ მაქვს, სად დავკიდო ეს სურათები, სად შევინახო ეს ძვირფასი ათინათები. შენ აქ ყოფნისას ვარსკვლავები მიმოაბნიე და ვარ აქამდე ბედნიერი მათი ნათებით.

*** მე ყველაფერი გაგიყავი: სული, სხეული. აღვსდექი მკვდრეთით, ბევრჯერ მწარედ ცრემლდანთხეული. გადაიკარა, ჩადგა დელგმა და ქარიშხალი და თავზე მადგას ელვარება სამოთხეული.

მე კი სულ მინდა, კველბურად შენზე ვაპოლო...

შენ სულ იყავი, მომყვებოდი გვერდით მაშინაც, როცა მე თვითონ ვჭოჭმანობდი: ვარ თუ აღარ ვარ! თუმც ნაოჭებით დრომ მოასწრო შუბლის დაღარვა, მომყვები ისევ... მეც აღმართმა ვერ შემაშინა!

მარტია გარეთ, წვიმს და ხეებს ფერი ეცვლება, მოჰქრიან თავქვე ნიაღვრები უკალაპოტო. მე კი სულ მინდა ძველებურად შენზე ვაბოდო და გავექრე უცებ, როცა ესეც არ შემეძლება!



რაულ ჩილაჩავა

თქვენ ხართ ჩემი რაჯარაგი...

ბევრი ვიარე თუ ცოტა,
სულმა სცოდა თუ არ სცოდა,
პასუხს მაინც ტანი აგებს,
რადგან ბოლოს ისიც აგებს,
ვინც წაგება არ იცოდა.

თუმცა სივრცე გაიცრია,
მე ჩემ ტკივილს მაინც ვიცავ,
ჩვილ ყრმასავით ვეფერები.
თქვენ ხართ ჩემი რეფერები,
მშობლიური ცავ და მიწავ!

ჩამოდი... გიცდი... ბაქანზე ვდგავარ!..

ჩამოდი ისევ, ჩამოდი ისევ,
აქ შენს ოთახში ძველ სიზმრებს სძინავთ.
კვლავ მინდა ვნახო, ისე, ვით წინათ,
ტრფილის ლანდებს თუ როგორ ისევ,
თუ როგორ გაცმევს ცის ლურჯი კიდე
ოქროს სხივებით მოქსოვილ კაბას...
მე მინდა ისევ გითხზავდე ზღაპარს
და შენი კოცნის ჭირნახულს ვმკიდებ.
აქ არაფერი შეცვლილა, არა,
წარსულით სუნთქავს ჭერი და ფუძე.
სახლს მოგონება გულივით უცემს,
ტკივილს სიამის ვარაყი ფარავს.
მე სანთელს ვუნთებ ყველაზე მთავარ
დღეს, როცა შენ აქ შემოდი ფეხი
და შენთვის ესხა ნაყოფი ხეხილს...
ჩამოდი... გიცდი... ბაქანზე ვდგავარ!

არრრ!..

არ დამიძახოთ. მე არ მოვალ. არა მცალია.
არ ვიხიბლები დაპირებით: „ვარდებს მოგიტან!“
თუმცა არ მჯერა,
დაგამწუხროთ „არამ“ ძალიან,
მაინც იცოდეთ, რომ არა ვარ თქვენი ჯოგიდან.

დასაბამიდან მე მზის სხივებს სხვა ზეცა მფენდა,
მქონდა პირადი, საკუთარი ზერეც და ქვერეც.
მე სიცოცხლეში არ ვყოფილვარ თქვენს გვერდით,
თქვენთან
და იმედია, არ ვიქნები სიკვდილის მერეც.

...და ჩუმად ტირის ჩემი სეტარი

ვერა, ვერ შეჯდა ხეზე ეს მწყერი,
არ დართო ნება ჯიშმა, ჯილაგმა.
ჩემი სურვილიც კვლავ აილაგმა —
წინ წყალია და უკან მენყერი.
მაინც ითხზება ოდა ბუნების,
მან უკეთ იცის რა, როგორ, როდის!
ტკივილი მიდის, სიმშვიდე მოდის,
შრიას ინყებენ ხოდაბუნები.
მე ეს ცხოვრება ვზომე დარდებით,
რომლებიც ბედმა მიბოძა ბლომად.
და თუმცა გრძელდება იმედთა კვდომა,
მე სიკვდილს ცოცხლად არ ჩავბარდები.
გუგუნებს მწარე ფიქრის ეთერი,
ვიჯერებ ნამით, რომ იგი მღერის...
ხეზე ვერაფრით ვერ შეჯდა მწყერი,
და ჩუმად ტირის ჩემი სეტერი.

შენს ნამდვილ მარშრუტს დილა დაადგენს...

გათენებამდე ყოველთვის რჩება
დასაფიქრებლად წუთი თუ წამი.



(აქ მნიშვნელობა არა აქვს ამინდს,
არც ცის და მიწის წინწილს და ებანს!)
მთელი ცხოვრება გაგირბენს თვალწინ,
შავ-თეთრი ფერით, — კარგით და ავით
და სანამ სიზმრად გგონია თავი,
იტყვი: მე ვივლი სხვა გზებით აწი!
და ისევ ჩათვლემ... მორფეუსის ნებით
სხვა სამყაროში გადასახლები.
(სიზმარო, ძილში ცხადად საღებები
და გაღვიძებულ თვალეებში დნები!)
შენს ნამდვილ მარშრუტს დილა დაადგენს
და შენც მის ნებას საკმევებს უკმევ,
რადგან უშენოდ გადაწყდა უკვე,
საით წახვიდე, რა გზას დაადგე!

მღაპარი

გაზაფხულის წვიმებმა ისე გადამიარეს,
თითქოს ვიყო ბალახი, მახარებდეს ამოსვლა.
ჩემთვის თითქმის შეჩერდა დროის როსმე ამო სვლა,
დაისები მიმზერენ შენზე პირმგლოვიარეს.

მახსენდება ჭალაში ხმაჩამწყდარი გუგული,
როცა ბინდი ჩამოწვა და ერთბაშად დაღამდა.
გულეებს გაუსაძლისის მოლოდინი დაღავდა,
ჰგავდა ყოფნის დასასრულს სივრცე გადაბუგული.

ვინ რა იცის, კარებთან მონსტრი უზარმაზარი
დავაჩოქეთ რამდენჯერ ჩვენ შიშველი ხელებით.
არსაიდან მაშველნი, არსაიდან მხსნელები,
მხოლოდ ამოუბის მამასისხლი ბაზარი!

წვიმს და თითქოს მიწაში შენს მაგივრად მე ვწვევარ,
მიყოლებით იმსხვრევა ღრუბლის რუხი სვეტები.
ნიღბიანი მხედარი მოჭქრის თავგამეტებით,
მაგრამ მე დავასწარი, უკვე ვერ დამეწვეა!

ბინის დაღაგება

ვალაგებ ბინას, მაგრამ ნივთებს ველარ ვეხები,
კარ-ფანჯრებს სცივათ, ხოლო ავეჯს სტკივა ფეხები,
სარკიდან მიმზერს ლამის ლანდი პირგამეხებით.

დრო გამყავს, თორემ სულ ერთია, სად რა იდება,
რომელი ფოტო, რომლის გვერდით დაიკიდება,
ისეც წამია სოფლის კრულვა, სოფლის დიდება.

ეს დაღაგება ჰგავს ქვიშაზე სახლის აგებას,
შუა ზამთარში ხორშაკსა და პაპანაქებას,
უაზრო ლაქლაქს, როცა უნდა ენა დაგებას.

წლების დოლაბში დღეთა ჩემთა ცვივა მარცვლები,
გარეთ ვაშლის ხე ნაყოფისგან ნელა იცლება,
ჩემს ბინაში კი ტკივილების გადანაცვლებით
ტკივილთა ჯამი, სამწუხაროდ, არ შეიცვლება!

უაზრო არაა

როდესაც სახლში არაფერ გელის
და შინ შემოსვლა არ გიხარია,
მაშინ საღამოს სახე აქვს მკვლელის,
ლამე კორიდას შლეგი ხარია.
შედეგებულა ჭურჭელში სითხე,
რომლის სახელიც არ გახსოვს უკვე.
და გლოვობ შენში გარდაცვლილ მკითხველს,
თანაც ძველ წიგნებს საკმევებს უკმევ.
ხვდები, მოსულა საშენო რიგი,
ვერ უმკლავდება ხორცი იარებს,
რადგანაც გვერდით არა გყავს იგი,
ვინც გულის სითბოს გაგიზიარებს.

ჩარჩოში სუნთქვა შეკვრია ნახატს,
ჩამქრალ ეკრანთან არაფერ არ ზის...
ნეტავ, პასუხი თუ ვინმემ ნახა
ღმერთთან აგ ზავნილ უაზრო არზის!



ია ხასაია

იანვრის ღოცვა

ამ წელსაც შევხვდით, სევდამ გვიანმა
შეაკრთო ზრუნვა ფიქრთა გამდენი,
ნეტავ იანვარს ადამიანმა
რატომ მიანდო ნატვრა ამდენი?..

რისი თქმა უნდათ ნისლებს გულთმისნებს?
ქარს ღმერთმა ზრახვა შეუნდოს ავი,
ქალაქს ხეები თოვლმა წელს ისევ
რატომ დატოვა შეუმოსავი?

ბარმა მოჰკითხოს ბრალი ქარებს და
მთა რის მთა არის, უთოვლოდ მოცდეს,
ღრუბელი ცაზე აუჩქარებლად
აკაბადონებს იანვრის ღოცვებს.

იქ, სადაც ია მიწის კიდევანს
გადახსნის დახშულ სურვილთა საცობს,
შენიდან ჩემს გზას ჩაეკიდება
და ცაზე ღოცვის შესმენას მამცნობს.

მისი ოცნების სამსახური
მხოლოდ სექტემბრის ორი კვირა გრძელდება.
ის გირჩების რთვლეზე დადის,
დადის კი არა, ადის,
ორმოცდაათმეტრიანი სოჭის კენწეროებზე
სკუპ-სკუპით დადის,
გირჩებს კრეფს, როგორც ვარსკვლავებს...
მერე ამ მოსავალს შეფუთავენ
და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გააგზავნიან
საახალწლო ნაძვის ხის მოსართავად...
ბოლოს, როცა მდიდრულ სახლებსა და
ზეპურთა სრა-სასახლებებში
ბრჭყვიანებით შეპუდრული ნაძვის ხეები
დაბზრიალდებიან,
როცა ადამიანები სურვილებს დაკიდებენ
უკვე მონყვეტილ ვარსკვლავებზე,
ჰაერში ათასწლოვანი კავკასიური
სოჭის სურნელი დატრიალდება
და გირჩების შემგროვების
დასერილი ხელისგულების ისტორია.

უთენია გაქცევი თასმა ბურანს,
რამდენ დილას, თმამლილი ადრე ვნებით
ხმობდა ქალი, დღეს კი ლევა თავსაბურავს
დაუშრია ულმოდ ამ თმის შადრევნები.

ჩქარობს ლამეს... ლამე არის არცთუ მალი,
მანამდე კი მოუკალთავს ჯვალო ბლებით,
მკვდარ სურვილებს გაუცოცხლებს სასთუმალი,
ცას გაშლიან ნატვრის სეფე-მგალობლები...



უამბავო ქალი

უსიყვარულოდ ბერდებო, — ამბობენ ნათელაზე, — სხვას არაფერს. რადგან ის უამბავო ქალია და თავის არმოყოლილ ამბავთან ერთად უნდა მოკვდეს.

ლამაზია ნათელა... მაგრამ არავინ არაფერი იცის მის ქაობისფერ თვალზე, მათ ბუნობაზე, სავსეობასა თუ დაბნელებაზე... იმაზე, რომ ყოველ შებინდებისას ნათელა თავისი თვალების ბადეს ცის ლაჟვარდში დააგებს და ტოვებს დილამდე... მერე წვება ნატკენ ღამესთან უთვალეზო, ბრმა... დღემდე იმ ბადეს არაფერი ამოჰყოლია, გარდა ანგელოზთა ნაკრტენებისა. ალბათ ამ ნაკრტენებით სავსე სასთუმალიდან ამოყავს თვალი დილის მზეს ნათელას გზის მოსაქსოვად, რომელსაც წელგამართული მოუყვება უამბავო ქალი.

რატომ დადიხარ თავანუელიო? — ჰკითხავ და... — ტკივილს ვერ ვდრეკო, — გეტყვის, — ტკივილი ჩემი ჭიგოაო... — და დატოვებს ვანილის სურნელს... სულ მაღლა და მაღლა იწეხს მისი ვანილის ვაზი, სულ მაღლა და მაღლა ეხვევა ჭიგოს... ერთადერთი და როცა დამარხა, თავისი საფლავის ქვაც წინასწარ გააკეთებინა ნათელამ.

მისი ნება რომ იყოს, ორივე თარიღს ალბათ დაბადებას დაანერდა... და მათ შორის ტირეს ნაცვლად — ციფრებს, თუ რამდენჯერ მოკვდა... ისევ წელგამართულია ნათელა... ისევ თავანუელი მოდის... მოდის, როგორც გზა უმგზავრო... არავინ იცის, თუ იქნება ნათელას კვლავშობა, ვის კალამში, ვის ფუნჯსა თუ კლავიშში... არავინ იცის დასაწყისი ამ უამბავო ქალის ამბადქცევისა... მოდის ნათელა და ხმელია მისი სალამი, რადგან ხელები, რომელსაც გინვდის, არაფერია, თუ არა ტოტი, რომელიც თავის სიმალის გამო აღარ მოზიდეს...

*** მთვარის შორი ათინათი მზეს ჩამობანს სანამ დეროლებს, მოუძღვება ათი მნათე ამ კუნაპეტ სინამდვილეს.

ვიდრე მადლის მძიმე კვარი ქვას იპოვის, სად არ დებულს, თბილი ცრემლით მივეკრობი ჩემ ანგელოზთ სადარდებელს...

ტკბობის ჭრელი ხალიჩები სად მიგია, იქ ხარ ოდენ, მინდა არა ლხენით ჩემით, ტკივილებით გიხაროდე.

*** რა ვერ გაიგე, ჩემო თავო, ნუ არჩევ, ნუ გან იკითხავ, შიგნით იკითხეო... და თუ მაინცდამაინც უნდა არჩიო რამე, ბრონეულზე უკეთესს რას გაარჩევ. იქნებ მწიფე მარცვლებით დასვრილმა ხელმა ის სისხლი გაგახსენოს, რომელიც არ მოგდის, როდესაც სინანულის ნემსები გჩხვლტენ.

*** ვთქვი, თავს სათნოდ შევიმოსავ, სვემარყუჟში მოყოლამდე. სულის შვეებად ვარდი ვყნოსე, სათბურისა იყო ვარდი.

ვერ ვიპოვე სუფთა ჭა მე, წყურვილისგან მოგვედი ლამის, ხორცის შვეებად თევზი ვჭამე, თევზი იყო ოკეანის.

ნეტავ შევძლო ფიქრს ცა ვანდო ან გამარჩევი ვიყო რამის... ახლა, როცა ამ ლექსს ვამბობ, ვინმემ იცით, ჩემი არის?..

*** თვალებს უჭრელებს თურმე ოქრო ბევრს, ყველაფერი კი ოქრო როდია, გადაუშლია მუხლზე ოქტომბერს ხმელი ფოთლების მორფოლოგია.

ბოლო ფოთოლმა ზეცას შესჩივლა, შემინდა ქარი მე და... ვითმენო... თქვენ რომელ კანონს იცავთ მორჩილად, ხეებო, სევდის მედავითნენო?..

*** ხის კენწეროებს მზე ესათუთა, წვიმა კი იცვლის ღრუბლის ბახილებს. ისე შენითლდა ფოთლებქვეშ თუთა, თითქოს ცოდვაში სხივთან, ამხილეს.

შარშან, შარშანწინ ხომ თქვი აკი ეს, — მითხრა და ვიცი, დამემდურება, მე მისი ახლით მოსვლა მაკვირვებს, მას კი — ლექსების ძველმოდურება.

*** ჩიტად თუ მაქცევე, ღმერთო, ადამიანის ფიქრიც წამართვი, რომ არ წამომცდეს მედიდურად: „გადავუფრინე“.

დილის ლექსი

მანონი... მანონი, — გაჰყვირის მემანვნე და დილას ღრუბელთა თექაზე მივანვენ.

სადენებს შემორჩათ ჩიტების სარჭები, ჯერაც ნებვირობენ ლოგინში ხარჭები.

წვიმა გარინდება დამაცლის მე წამურს, ამაოდ დავეძებ ცის ფერზე მენამულს...

პნკარებს იქედნურად ააფრენს ქედანი — ფიქრი და არაფრით მივდივარ აქედან...

თოვლი მთაში

სხვანაირად ათოვს ფიფქი ნაძვებს, გორჩებს და ფიქალებს... გაუჩნდებათ საფიქრალი მთის დიდგულა სეფექალებს...

სურვილს ვინლა შემოსწყრება, დაედება ვიდრე ყავარს, პირველ ფიფქით დაინყებენ ჩხირზე თვლების ამოყვანას...

ლამის ნდომა აათკეცონ, მთელი დღე რომ ჩუმად თმობენ, მოახვევენ ნაქსოვს კაცებს, ჩაკოცნიან, ჩაათბობენ...

სოფლად

ამ შობასაც ღვინის ნაცვლად ნალველს დალვეს, უსტუმრობა — ბედის ავი ახირება... მარტოქალი სულს უბერავს ნალვერდალებს და კარდალა ბუხარს ყელში ეჩხირება...

ასე ორნი — ერთი ვინმე, ერთიც რამე, მარტოობენ, მიიღვენ საქმეს ნელა — ბებო ალში მიმწუხრის წინ მონარნარე და თავისთვის დარწეული საქანელა...

*** წავანყდი რვეულს მათემატიკის და მეუცხოვა — რა ხშირად ვსვამდი ბავშვობაში ტოლობის ნიშანს...

*** რამდენი გზა არ უსწავლია, რამდენი — დიდი და ძნელი... მაგრამ სახლიდან ჭიშკრამდე გზის გამართულად გავლა ვერასდროს ისწავლა მამაჩემმა, ბებია რომ გვაცილებდა ზაფხულის მიწურულს ქალაქისაკენ...

*** გაიმარტა და გულისპირზე შეიხსნის ცა ღილს... გისხენებ... ფიქრი აგორგლილა სადღაც, ვეება. არ ღირს... ვიტყვი და დასანური ღრუბლების აღვირს ელვა-ტოტები აფრინდება სადავეებად.

პირლია ბუხარს ამბებს ჩავჩრი ამ მთის, იმ მთისებს და თითქოს ბოლო ნალვერდალის გზებიდან გდევედე, შენგან შორს მყოფიც შენივ სითბოს ისე ვითვისებ, როგორც სამშობლო დააქვთ ჩიტებს მზიდან და მზემდე...


დაგირგავს ხილი სიხარულის იქ, სადაც მწირი მინა და უწინ დაგრეხილი გზა-ხიდებია... ნუ დასახლდები სხვისი სევდის მდინარის პირას, წყალუხვობისას ისე უცებ აღიდებებიან...

*** დღეს რომ ყვები თავაშვებით, მახსოვს მე ის მონოლოგი... თოვლქვეშ დუმან კლავიშები — სევდის სეისმოლოგები...

აღარ ველი აქ ლალადის სიმართლის და ვარ მენყვილე მელნის, კალმის — საქალადის მღუმარება დამენყრილი.

დღეს მე, შენ, ის... აბსურდია, დღეს სიმუნჯე მხიბლავს მუზის... უღერს გერშეინის რაფსოდია სტილში ბლუზის...

*** აქვს ქვეყნად კენჭსაც, ასე სიპ კლდეცაც თავისი რუკა, პოეტი თუ ხარ, უნდა სიკვდილსაც გაუყო ლუკმა, გნახოს გადაღმა სალიმილეთმაც, ნალარამ, ბუკმა, პოეტი თუ ხარ, სულ გაქვს ბილეთი იქით და უკან.





ზურაბ ლობჯანიძე

ბაბარ მებობრებს...

ვინღა დავრჩით, ვინღა ვართ...
მიყვავართ და მიყვავართ
იმ დალოცვილს თავისთან?...
ვერას გეტყვით — რავი... სად,
ვერც ნელს და ვერც გაისად...
თუმცა — გვთვლის კი თავისად?..

სსოვნა მრავალი წლის
იქცევა ნაცარტუტად...
დრო ჩვენს ნაკვალევს შლის,
იქცევა კაცად-ქურდად...
და კითხვა — ტანჯვად ღირს
თუ ქუდში ჩაყრილ ხურდად?..

თუ კაცი ხარ — ნულარ დალევ,
ნულარ გაიღეშები...
რაო, რაო... უფსკრულს ხედავ,
სადაც თავით ეშვები?...
კიდევ, კიდევ შავ ეშმაკებს
გრძელი, შავი ეშვებით?...
მით უმეტეს ნულარ დალევ
და ნუ გაითიშები...
მზეს უყურე, ნათლით დანვი
ბნელი და ის შიშები!..

კარგია თუ ცუდი,
თუ ორივე ერთად?...
იქ ნასვლას რომ უცდი,
ლამეებს ტეხ თეთრად...
ანგელოზთა გუნდით
ცის ლაჟვარდებს შეგრთავს?..

ყველაფერი მასსოვს?...
რა თქმა უნდა — არა!..
ზოგი ტკბილად ფასობს,
ზოგი ისე გვზარავს,
ნარკვეთილი სასო
ველარ იტევს ვარამს
და უხილავს შეთხოვს
დაგვაინწყოს ჩქარა!..
...
დროის ნაბეჭდ-ნაქსოვს,
დროის ნისლით ფარავს...

ნუხელ ქარი ჩემს ყრუ ოდას
შუბლს და ცხვირპირს ახლიდა...
ისე ღრენდა და ყმუოდა
გამომავდო სახლიდან...
შეუძახე — რა გაკვივლებს!..
რას ნუხ, ასე რად ტირი...
მითხრა — შენი თქმა მაკვირვებს —
ფიქრობ, რომ ვარ ვამპირი?...
მეც შენსავით ფიქრებს ვებძვი
ბედისაგან ძლეული...
ვერ ვპოულობ ადგილს ჩემ წილს
მარტოსული, ეული...

ნასული ბევრი გვინახავს,
უკან მოსული არავინ...
სიკვდილო, გვითხარ ვინა ხარ —
კაცთა სულელების მზარავი...
თუ მასპინძელი გულთბილი
გზით გატანჯული ქარავინს?...
გთხოვთ, დაგვიამე ნუხილი
სახებით დაუფარავით...

ქარმა კარი შემომიღო...
გამახარა მარტო მყოფი...
თანაც მითხრა — შენ რომ ვიყო,
დავცხრილავდი ზეცას თოფით...
მოგისაჯეს მარტოობა,
გამოგასხეს ფიქრით კაცად...
შენ ცხოვრებამ გამოგტოვა,
ჩაგვიარა, გვერდით ჩაგცდა...

შრება ლექსის მდინარე...
გრძნობის გვალვას უჩივის...
სულიც მთვლემარ-მძინარი
ღუმს გამხმარი ფუნჯივით...
ველარ ხატავს სამყაროს
ურწმუნობით ძლეული...
როგორც ნივთი გამხდარი —
ზედმეტ ბარგად ქცეული...

კვირა კვირას,
წელი წელს
მიჰყვება და მიდის,
ზეცა კი არ
ნათდება,
ემატება ბინდი...
როგორ იყოს,
მითხარით —
კაცი მხნე და მშვიდი?!

დავილაღე ამ ცხოვრებით,
ამ უაზრო შფოთით...
ამ გულით და ამ გონებით —
დაშიფრული კოდით...
არც ბოლო ვარ,
არც პირველი,
ასე ხდება ოდით...
წინ გზა გვიდევს საკვირველი, —
გელოდებით, მოდით...

სად გავექცე ჩემ თავს
და სად დავეშალო?...
ფიქრებს ველარ მწყემსავს,
ჯახირობს და ნვალობს...
მისი მოკვლა ვცადო?...
(ეს გვიშველის ვითომ)?..
გზას ვერ ვხედავ სანდოს...
გადანყვიტოს თვითონ...

დავილაღე, დავიცალე...
ხედავთ, ველარ გენევით...
მომეშველეთ, დამიცადეთ,
ვინძლო თქვენი შენეებით
და თქვენივე სიტყვის მაღლით
გავხდე სუფთა, სპეტაკი...
ნუ გამზომავთ მინის ადლით —
შეუმდგარი სპეტაკლით...

გავცდე ჭაობს, ქარს და წვიმას,
სული ვიხსნა ცოდვილი...
მინამ, ხორცმა დამამძიმა,
ვდგავარ გულდაკოდილი!..
ვიძირები ნელა-ნელა,
ალარ მიჩანს ხელ-პირი...
ვინმემ სიტყვა შემაშველა?...
ცას შევცქერ და შევტირი...

გაზაფხულის წვიმა,
სიხარულის ცრემლი...
ტყეს ჯერ კიდევ ძინავს,
ყვავილს ელის ტყემლის...
მხოლოდ გულში ბრწყინავს
რალაც თბილი სხივი...
მზეს შეჰხარის მცინარს
და იმედით ჰღვივის...

ვინ მეძახის, ვინ არის,
ვის ვახსოვარ ნეტავ...
კარს გავაღებ მცინარი,
მერე უხმოდ ვკეტავ...
ვისი მესმა ძახილი,
დავას სიჩუმე მკვდრული...
გონის — ფიქრით დაღრღნილის,
თუ ეული გულის?!

დღე ღამეს და კვირა კვირას მოჰყვება,
ჰოდა წლებიც თავის ამბებს მიყვება —
როგორ გავხდი ბავშვი ანცი, კეთილი
ფიქრის კაცი, ფიქრში გამოკეტილი...
როგორ ავცდი ყოფით ტკობას, სიამეს,
როგორ შემრჩა ხელში სოფლის სიამე...
როგორ გვიგდებს ჩვენ დრო მასხრად, აბურად
(ყოველ წამ-წუთს მობაგუნე ჩაქურდად...)
როგორ გვაქცევს ის ჩვენ თვითმკვლელ ბრიყვებად...
ილიმის და წლები ამბებს მიყვება...

— კაცობრიობის საშველი,
იქნება მითხრა — რაშია!..
— შენ როგორ ფიქრობ, რას ელი?...
— ცოდვა-ბრალისგან ხსნაშია!..
— მერე ის მხსნელი სად არის,
ღრუბლით დაფარულ ცაშია?...
ჩვენგან შორს არის გამდგარი,
თუ ჩვენკენ მოდის, გზაშია?!..
— ეგ ტანჯავს კაცობრიობას,
გარს შემორტყმული არშია!..

გამოცოცხლდი, გამოცოცხლდი,
ხომ ხედავ მზე ძალას იკრებს...
სული ზამთრით ცოცხალ-მკვდარი
ცის ლაჟვარდებს გადაიფრენს...
გამოცოცხლდი, ხეთა შრიალს,
ჩიტთა ჟღერტულს უგდე ყური...
გულის კარი გქონდეს ღია,
ნუ იქნები უმადური...
გამოცოცხლდი, დაივიწყე
კაცთა მოდგმის ყველა ცოდვა...
თქვი — ცხოვრებას ახლა ვინყებ,
გული ტანჯვით დამეკოდა...
მოსწყედი ზამთარს ყრუს და მცივანს,
გაზაფხული დაიბედე...
ნახე, როგორ წითლად ღვივა —
გამოცოცხლდი, ცას შეხედე...

ვინც დამკვიდრდა მინაზე
და ცაში არ იფრინა...
ვინც არ ფიქრობს იმ წამზე...
ვინც აქ ილხინ-იცინა —
მინდა, ვიყო ის პირი
და არა ის — ვინცა ვარ...
არა დანტი, შექსპირი,
მართალს ვამბობ, ვფიცავარ...
არამედ სხვა — უბრალო...
მზით და მინით დამტკბარი...
ახლა ვინ ვარ, უფალო —
არც ცოცხალი, არც მკვდარი...



ოგლეგი და შინაბერა

— სად გაქრა შენი სიტურფე, როგორ გაგძარცვეს მტარვალმა ნლებმა, საბრალო იოლანდა. როგორ წარიტაცეს ლალისფერ ბაგეთა სინორჩე, გიშრისფერ თვალთა სხივოსნება, ტანკენარობა და სინარნარე! ვაგლახ, რომ მაგ პირისახეს, ოდესღაც სავსე მთვარის მსგავსს, ახლა წყალდიდობაგადავლილ, კალაპოტნაცვალ მდინარესავით საზღვრები შემორღვევია, ვარდის ფურცლისებერ ნაზი და ფეროვანი, სანთელივით ჩამოღვნილი და ყველა ავდრიანი დღის ტკივილი ნაფხურებად აღუბეჭდავს, ოქროსფრად მოელვარე თმებს ვერცხლისფერი ურჩხული დაჰპატრონებია! — თავისთვის ჩურჩულებდა შინაბერა იოლანდა და საკუთარ თავს შემფოთებულ მისჩრებოდა.

თვალეში ცრემლჩამდგარი სარკის წინ კარგა ხანს უძრავად იდგა. ვერ დაეჯერებინა, რომ ამ ქალს, რომელიც სარკიდან უმზერდა, რაიმე საერთო ჰქონდა იმ იასავით ნაზ და მომხიბვლელ არსებასთან, რომელსაც ერთ დროს ყველა შესტროფოდა და შენატროდა!..

იოლანდას სოფლის შარაგზაზე გამოჩენისას შეკრებილ მამაკაცებს მართლაც არაერთხელ აღმოხდენიათ ოხვრა და გაფართოებულ თვალთაგან ნდომის ცეცხლი გამოუფრქვევიათ! სიმორცხვისგან აღმოდებულ ყმანვილი ქალისთვის ნემსებივით მჩხვლელეულ დაჟინებულ მზერას ზურგი არაერთხელ აუნვაგს!

უღიმღამო, ერთფეროვან დღეთა ქროლვაში ახალგაზრდობა თვალსა და ხელს შუა გაუქრა! ახლა იოლანდა სარეცელს მტანჯველ მარტოობას უზიარებდა. უძილო ღამეებს სახლის კუთხეებში ჩაბუდებულ შიშის აჩრდილთან ერთად ათენებდა... სანამ დედ-მამა ცოცხალი ჰყავდა, არაფერზე ფიქრებოდა — ყველა მთხოვნელს უარით ისტუმრებდა, გულის კარს რკინის ურდულით რაზავდა და თავის ტოლ-სწორად არავის მიიჩნევდა. საკუთარი სინარმტაცით თავბრუდახვეულს არც კი უფიქრია, რომ ერთხელაც სიბერის აჩრდილი მასაც ეწვეოდა. თუმცაღა უღმობელ დროს სინორჩე და მომხიბვლელი ბავისთვის შეურჩენია?!

დედისერთა, ნებიერად გაზრდილი იოლანდა ნლებს წინ დაშვებულ შეცდომას გვიან მიხვდა. მხოლოდ მაშინ, როცა სიტურფე სრულიად შემოეძარცვა, მისი ნდომის სურვილი აღარავის შემორჩა. როცა მარტოობის ტვირთი სატანჯველ გოლგოთად ექცა!

— რად შფოთავ, იოლანდა?! ავერ, მართას ქმარცა ჰყავს და შვილებიც, მაგრამ ქალური ბედნიერება როდი ღირსებია?! უსიყვარულოდ გათხოვილმა ახალგაზრდობა ლოთსა და ავეყია გაბოს შეაღია... თუნდაც, ბაბაღე გაიხსენე — განა მის გაჭირვებულ ყოფას შინაბერობა არა სჯობდა? მაშ თუ ეგრეა, მართასთან სტუმრად მისულს მუდამ მოქუფრული სახე რად გინათდება, გული რად გაზაფხულობს, მისი სამი ბაღლი ტკბილი ტიტინით რომ შემოგეხვევა?! მათი შემყურე შენც მაშინვე ბავშვად გადაიქცევი, ყველა ნუხილი გავინყდება, მათთან ერთად ცელქობ... აღარც მტკიცებ ნელსა და სახსრებს იხსენებ და ციბრუტივით ტრიალებ! რა იქნებოდა, შენც გყოლოდა სიბერის ნუგემი — ცხოვრების აზრისა და სიხარულის მიმცემი?! — საყვედურობდა საკუთარ თავს ძილგატეხილი იოლანდა.

გარეთ ზამთრის გრძელ ღამეს ყორნისფრთისფერი ნაბადი გაეფინა და ფანჯრებთან ჩამომჯდარი შინაბერას გულის დარდს ბალღამს წვეთ-წვეთად უმატებდა. ეზოში ძაღლები შემზარავად მოთქვამდნენ — თითქოსდა შემადრწუნებელი ყმუილით სიკვდილის აჩრდილის აფრთხობდნენ.

— ღმერთო, მშვიდობა მოგვმადლე. მრავალგზის ნაცადია, მათი ყმუილი უბრალოდ არ გადაივლის. საბრალო პისტი უკანასკნელ დღეებს ითვლის. უფალო, უსამველე და შეიბრალო!

შიშმა შეიპყრო იოლანდა. ფიქრებში გართულს, როგორც იქნა, ჩაეძინა. გამთენიისას საოცარი სიზმარი ნახა — გულზე ჩვილი ჰყავდა მიკრული და ძუძუს ანოვებდა. დედასავით ლამაზი იყო ახალშობილი — ოქროსკულულა, გიშრისთვალა. რა ბედნიერი იყო იოლანდა, უსაზღვროდ ბედ-

ნიერი. სიზმარში ცხადად გრძობდა იმ ენით აუნერულ სინაზესა და ნეტარებას, რაც დედობას ახლავს! ტკბილ ზმანებებთან მოფარფატე უეცრად განმგმირავმა კივილმა გააღვიძა. გულგახეთქილი სასწრაფოდ გამოფხიზლდა და ანგარიშმიუცემლად გარეთ გავარდა.

— ღმერთო ჩემო, უთუოდ საბრალო პისტი გაფრინდა უფალოთან! — ავიშვიშდა შინაბერა.

— იოლანდა, იოლანდა, ჩქარა გადმოდი, ქალო. ეს რა დაგვემართა, ცის ჩამოქცევას უფრო ვიფიქრებდი, ვიდრე ლილეს სიკვდილს! — თავში ხელებს იშენდა მართა... ქერივი ლილეს სახლში მალე მთელი სოფელი შეიკრიბა. ობლად დარჩენილი ტყუბები დედის სანოლთან ჩამომსხდარიყვნენ და გულსაკლავად ღრიალებდნენ. — დაილოცოს, უფალო, შენი განგება. პისტი იყო მომაკვდავი, შენ კი სრულიად ჯანმრთელი ლილე წაიყვანე. რა ეშველებათ უდემამოდ დარჩენილებს, ვინ დააპურე-

— მე არაფერი მანუხებს. ნუთუ, არც თქვენ გჯერათ, რომ სრულიად ჯანმრთელი ვარ?! — ტირილს უმატა ცისიამ და ნაჭრის თოჯინა გულზე მძლავრად მიიკრა.

— როგორ არა, მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ გადაილაღე და ცოტაოდენი დასვენება გესაჭიროება!

— რა კარგია, ექიმო, ჩემი რომ გესმით! არადა, ისინი ათას სისაძაგლეს ამბობენ! — თქვა ქალმა ჩურჩულით და უცნაურად მოელვარე, ფართოდ ახელილი ცისფერი თვალეში ოთახში ეჭვენულად მიმოატარა.

— რაო, მაინც რას ამბობენ?! — ვერა, ვერ გეტყვი, იმ საშინელი სიტყვების გამეორებაც კი მიჭირს!

— დამშვიდდი, ნება შენია. თუ სურვილი არა გაქვს, ნურაფერს მომიყვები! — დაუყვავა მკურნალმა ექიმმა და პალატიდან გავიდა.

— შენს წართმევას მიპირებენ, ჩემო პატარავ, ჩემო გულის ვარდო! იმ დღეს ის ალქაჯი ივდითი მომიგზავნეს. შენზე მი-



ბს და შეიფარებს საბრალო ობლებს?! — იცრემლებოდა ბაბაღე.

— ტყუბებს მე მიხვებდავ, მე ვიზრუნებ მათზე!

შეკრებილი მეზობლები წამიერად გაირინდნენ. ყველა გაოცებული შეაჩერდა იოლანდას, რომელსაც ტყუბები გულში ჩაეკრა და ცრემლიან პირი-სახეს უკოცნიდა.

ნაჭრის თოჯინა

— დაიძინე, ჩემო სულის ვარდო, დაიძინე ციციქნა ელო! — ნამლების სუნიტ გაფლენილ ოთახში ახალგაზრდა ქალი წინ და უკან მიმოდიოდა და ყვირულ ნანწავებთან ნაჭრის თოჯინას ხელში ღლინით არნედა.

— ეს შენი გოგონაა? — გაისმა პალატაში თეთრხალათიანი მამაკაცის ბოხი ხმა. ამ სიტყვებზე ქალი ჯერ გაყურდა, შემდეგ კი თავი ასწია და მის წინ მდგარ ექიმს სევდანარევი ღიმილით გახედა.

— დაახ, ექიმო, ეს ჩემი ელოა!

— როგორ გავს, მასაც შენსავით დიდრონი ზღვისფერი თვალეები აქვს!

— ჭაბუკასაც არაერთხელ უთქვამს, რომ ზუსტად ჩემი ასლია! — მორცხვად ჩაილაპარაკა ქალმა და არეულ-დარეული თმები ხელით შეისწორა.

— ჭაბუკა ვინ არის?

— ჭაბუკა? ჭაბუკა ჩემი მეუღლეა. იცით, ექიმო, ისიც ბოროტ ხმებს აძყვდა და ამ საშინელ შენობაში მარტოდმარტო მიმატოვა, თითქოსდა მართლაც ვადა ვყოფილიყავი! — თქვა ქალმა და ფერმკრთალ სახეზე ცრემლები ჩამოუგორდა.

— არ იტირო, აქ მცირე ხნით დარჩები. მალე მომეპოვინდება და ისევ სახლში დაბრუნდები!

თხრა ეგ ნაჭრის ტიკინა შორს მოისროლე... სიმართლეს თვალეში ჩახედე... შენი ელო გარდაიცვალა და ახლახან დავასაფლავეთო! იცი, ამ სიტყვებზე რა დამემართა? მდულარე სისხლის ნაკადი, ჩემს სხეულს ტალღასავით მოაწყდა. ძუ ვეფხვივით ვისკუპე და ივდითს ყელში ვწვდი. მეზობლებმა გამომტაცეს, თორემ უნდა მიმეხრჩო ეგ კუდიანი! იცი, როგორ შეეშინდა? საზარლად ხაოდა და ცახცახებდა!

ამ სიტყვების დასრულებისთანავე ცისიამ ხმამაღლა გადაიხარხარა, შემდეგ კი, წამიერად დაშვიდდა და თოჯინას ამაყი მზერით დახედა

— მაშ რა ეგონა, გამაბრიყვებდა? შენს თავს მომტაცებდა? უმალ მოკვდება შენი უბედური დედა, ვიდრე დაგთმობდეს! — ჩურჩულებდა ქალი და თოჯინას გულში დიდი სასოებით იკრავდა.

პალატიდან გამომავალი სევდიანი ღლინისა და ხმამაღალი ხარხარის ხმა ღამის მდუმარებაში მონაცვლეობით გაისმოდა და უცახებდად ამოჭრილი ქარი ყორნისფერ ღრუბლებს ცხვრის ფარასავით მიერეკებოდა!

სანოლზე ჩამომჯდარი ცისია ახლა მონმენდილ ცახე ამოგორებულ სავსე მთვარეს ხმადაბლა ეჩურჩულებოდა.

მალე მთვარემ დაბლა-დაბლა დაიწყო დაშვება, ბებერი ნეკერჩხლის ტოტებს შორის მოკალათდა და პალატაში შეიხედა.

ქალმა დაინახა, თუ როგორ გადმოაბიჯა მთვარის გულიდან მშვენიერმა ქალწულმა და მნათობის მოლურჯო-მაცყვითალო სხივს ოთახში როგორ შემოჰყვია.

— ფრთხილად იყავი, ცისია, ბავშვის წართმევას ვიპირებენ. იცოდე, არ დაგეძინოს! — ჩურჩულით გაანდო საიდუმლო ქალწულმა.

შეშინებული ცისია ზეზე ელდანაკრავივით წამოიჭრა და თეთრად შეღებილი

ოთახის ყველა კუთხე-კუნჭული გულდასმით დაათვალიერა.

მთვარიდან მოსული სტუმარი სადღაც გამქრალიყო. ახლა მის ნაცვლად ფანჯრის მინებზე არეკლილი შენობის გარე კედელზე მობოლავი ლანდებოდა მოჩანდა. შავ ლანდებს წინ ალქაჯი ივდითი მოუძლოდა.

— ჰა-ჰა-ჰა! — ბოროტად ხითხითებდა სარკმელთან ჩასაფრებული შავი ღამე.

— მიშველეთ, მიშველეთ, მოდიან! — გაისმა სტაციონარის დერეფანში ცისიას შეძრწუნებული ხმა.

— რა გაყვირებს, ეს აბები დალიე, შენც მშვიდად დაგეძინება და ჩვენც მოვისვენებთ! — შემოიჭრა პალატაში ბიჭურად თმებახოტრილი მორიგე ექთანია.

— ვერ მოგართვით, ვიცი, ვიცი, ივდითმა მოგაგზავნა. ალბათ, გინდა, დამაძინო და ელო გაიტაცო! — შემზარავი ხმით აყვირდა ცისია და წყლით სავსე ჭიქა მაგიდიდან გადააგორა.

— საზიზღარო, ახლავე მიგიჩენ ადგილს! — ექთანმა ძაფივით წვრილი წარბები მრისხანედ შეყარა და პალატიდან გრიგალივით გაიჭრა. უკან ხელში მომარჯვებული შპრიციტა და რამდენიმე თანამშრომლის თანხლებით დაბრუნდა.

მალე ცისიას ხმა მიწყდა და ოთახში სრულმა სიჩუმემ დაისადგურა...

— ექიმო, გემუდარები, სახლში დაბრუნების ნება მომეცით. დამიჯერეთ, უკვე აღარაფერი მანუხებს! — შევედრა პალატაში შესულ მკურნალ ექიმს ცისია, რომელიც წელიწადზე მეტია, რაც სტაციონარში იმყოფებოდა.

— მაშ თუ კარგად ხარ, თოჯინას რად არ იშორებ? — ჰკითხა ექიმმა და ხელით მკერდზე მიხუტებულ ნაჭრის თოჯინაზე მიანიშნა.

— როგორ თუ მოვიშორო, ეს ხომ ჩემი პატარა გოგონა, ჩემი ელოა! — ქალმა ცალი ხელი სახეზე აიფარა და ხმამაღლა ატირდა.

— ცისია, როგორც ჩანს, შენსას არ იშლი. სხვა გზა აღარ მაქვს, აქედან ვერსად გაგიშვებ! თუმცა, მინდა, გაგახარო — ხეალიდან მარტო აღარ იქნები, მეზობელი გეყოლება! — უთხრა ექიმმა აცრემლებულ ქალს და თანაგრძობის ნიშნად მხარზე ხელი შემოხვია...

ბეატრისის ოთახში შესახლებამ ცისიას მოსვენება დაუკარგა. ახალი მეზობელი ძალიან აგრესიული გამოდგა. გაბოროტებული ქალი მის გასამწარებლად ათას ხრიკს იგონებდა. მძინარეს წამდაუნუმ თავს ესხმოდა და თოჯინას ხელიდან წაგლეჯას ლამობდა...

ერთ დილასაც, გამთენიისას, პალატიდან შემზარავი კივილის ხმა გაისმა. შუალამისას ოთახიდან გაპარულ ბეატრისის როგორღაც სანთებლის მოპარვა მოეხერხებინა, შუა ოთახში ცეცხლი დაენთო და მძინარე ცისიას ნაჭრის თოჯინა შიგ ჩაეგდო.

გახარებული ქალი ხმამაღლა გაჰკიოდა და აგუზგუზებულ ცეცხლს ცეკვა-თამაშით გარს უვლიდა.

ოთახში შეჭრილი სტაციონარის თანამშრომლები ცეცხლის ჩაქრობას თავგამოდებით ცდილობდნენ. მკურნალ ექიმს ხელები მძლავრად შემოეხვია ცისიასთვის, რომელიც გულსაკლავად მოთქვამდა და ელოს გადასარჩენად ცეცხლისკენ მიიწვედა.

რამდენიმე წუთში ცეცხლი ჩააქრეს. ქალმა ერთი ამოიკვნესა და იატაკზე დაფენილ თოჯინას ნაშნავებს უცნაური მზერით მიაჩერდა. უეცრად დაინახა, ფერფლი როგორ ამოძრავდა და ნახატებად როგორ გადაიქცა. ნარსულის სურათები ერთმანეთს ელვის სისწრაფით ცვლიდნენ — ცისია ლეიკემიით გატანჯული გოგონას სასთუმალთან ჩამომჯდარიყო. ელოს ნაჭრის თოჯინა გულზე ჰყავდა მიკრული... შემდეგ... შემდეგ პატარა ელო ჭერზე ერთ წერტილს მიამტერდა და რამდენიმე წამში თვალეები დახუჭა.

თავზარდაცემულმა ცისიამ მისი გამოღვიძება ვეღარაფრით შეძლო...

— ყველაფერი გამახსენდა, ექიმო, ყველაფერი გამახსენდა! ეს ელოს საყვარელი თოჯინა იყო, ჩემი ელო კი იმ ავადსახსენებელ დღეს უფალომ თავისთან წაიყვანა! — ჩურჩულით წარმოთქვა ცისიამ და მწარედ აქეთინდა.

— ცისია დაგვიბრუნდა, ცისია გამოჯანმრთელდა! — გახარებული ექიმის ხმამაღალი შეძახილი სტაციონარის კედლებში ექოსავით გაისმა.

ლამიო, როდესაც სტოკჰოლმის ყველა სახლის ფანჯარაში სინათლე ქრებოდა და ყოველი მოსახლე ძილს მიეცემოდა, აი, სწორედ მაშინ, სვედაგენის ქუჩის N78-ში მცხოვრები მისტერ კაირო თავის ფუმფულა კუდს პომპეზურად მალდა აღმართავდა და მედიდური თავდაჯერებულობით სხვენისკენ მიაშურებდა, რათა სახლის სახურავზე ამძვრალს დიდრონი მთვარისთვის თვალი შეეველო და მთელი ღამის განმავლობაში ეცქირა.

მისთვის რომ გეკითხათ, ეს უბრალო მთვარე სულაც არ იყო. არც ვეებერთელა ცის მნათობი და არც მუდამ მზის მოშიში ციური სხეული. შეკითხვისას თათებს ერთმანეთზე გადააჯვარდინებდა, ფუმფულა, ნაცრისფერ თავს თათებზე დადებდა და პასუხსაც სვედიანად ამოიკრუტუნებდა. პასუხიც, რა თქმა უნდა, ყოველთვის ერთი და იგივე იყო, რომ ის თავის ოცნებას შესცქეროდა, მაგრამ რა იყო მისტერ კაიროს ოცნება, ეს არავინ იცოდა.

ალბათ მისი ოცნების შესახებ ვერავინ გაიგებდა, რომ არა ის საოცარი ღამე, როდესაც მისტერ კაირომ თვალი მოჰკრა სახლის სახურავზე მის უზნელ კატას, სახელად შანტი. ის ჩუმად, ქურდულად ეპარებოდა სახურავის კიდეზე მჯდომ მთვარე მტრედს და კლანჭებში მის მოქცევას ღამობდა.

შანტი ერთი თავზეხელაღებული ვინმე იყო. მუდამ მოუნესრიგებელი, ანჩხლი და ბენვამილი. ჭრელ თვალებს ეშმაკურად აქეთ-იქით აცეცებდა იმ იმედით, რომ საკბილოსათვის თვალი მოეკრა და ვერაგულად მიესაკუთრებინა. ხიფათს ნაჩვევი არც უზნის ძაღლებს უშინდებოდა და თუკი რომელიმე მათგანი მასთან ჩხუბს გაბედავდა, მაშინ შანტის ბასრი კლანჭისგან მიყენებულ იარაღსაც უპრობლემოდ დაიმსახურებდა, რაც ყოველთვის მეტოქის ნკმუტუნითა და გაქცევით სრულდებოდა. დიდად არც მოფერება უყვარდა და ამის გამო მისი პატრონობის სურვილიც არც არავის გასჩენია. ველური და გარეული კატის ავტორიტეტით მკობილი თავს მარტოობაშიც მშვენივრად გრძობდა. მისი ერთადერთი საზრუნავი ის იყო, რომ საჭმელი ეშოვა და მორიგ შიმშილამდე საკბილო დაეგულენინა. აბეზარი და მჩხავანა არც სოროდან შიშით გამოსულ თავგებსა და არც წყლის დასაღვეად მინაზე დაფრენილ ფრინველებს ინდობდა. მალულად უსაფრდებოდა და საჭირო დროს როგორც კი იხელთებდა, მაშინვე ეძგერებოდა. აი, ასეთი თავზეხელაღებული გახლდათ პატივცემული შანტი.

ის-ის იყო შანტის მტრედისკენ უნდა ესკუპა, რომ მისტერ კაიროს ხმამალამა შეძახილმა ადვილზე შეაჩერა და სახურავის კიდეზე მჯდომი საკბილოც დაუფრთხო. მთვლემარე მტრედი გონს მოეგო. ღულუნ-ღულუნითა და ფრთათა შრიალით მეზობელი სახლის სახურავზე გადაფრთხილდა, რამაც შანტი საშინლად გააბრაზა და მისტერ კაიროს შეუკრუტუნა:

— სულ შენი ბრალია, მტრედი დამიფრთხი! წამით რომ მოგეცადა, დავიჭერდი კიდეც და შიმშილსაც დავიკმაყოფილებდი!

— მაპატიე, შანტი. შემეცოდა, ისეთი ღამაში იყო, რომ შენი ბასრი კლანჭებისთვის ვერ გაიმიტე.

— ვერ გაიმეტა! შეხედეთ, რა კეთილშობილი კატაა მისტერ კაირო! ალბათ მისი ამ დიადი გულმონყალების გამო სტოკჰოლმის მთავარ მოედანზე დიგლსაც დაუდგამენ! სულელი... რა დროს სილაბაზეა, როდესაც შიმშილით კუჭი მიხმება!

— შენაირი მსუნავი საკვებს ყოველთვის იშოვის. ასე რომ, ნუ წუნუნებ!

— რა ადვილად ამბობ! შენთვის იოლია. მოივებასაც კი არ გაცდის შენი პატრონი. მოიცა, რა ჰქვია იმ ბებრუხანას?

— ფროლო! და ბებრუხანას ნუ ეძახი!

— ჰო, ფროლო. საჭმელს, ალბათ, კატისთვის განკუთვნილ თასში გიყრის და გეძახის, რომ შენი ფუმფულა გვერდები ასწიო და თასამდე როგორმე მიხვიდე. მე? მე კი დილიდან დღამდე ხან თავგებს და ვეძებ, ხან ჩიტებს, ხანაც სხვის სახლში ჩუმად ვიპარებ და საჭმელს ვიპარავ. და კიდევ, რა ჩემი ბრალია, რომ შენი პატრონი ბებრუხანაა? რა, მე დავაბერე?

— შენი პატრონი რომ ყოფილიყო, ნაადრევადაც დაბერდებოდა. ასეთ უხეშსა და ბენვამილს რას გაგიძლებდა?!

— ეჰ, ნავედი. შენ კი დარჩი აქ და რამ-

დენიც გინდა, ილაყბე! სულელი ბენვის გორგალი!..

— შანტი, მოიცა! სად მიდიხარ?

— კატების მეჯლისზე! სად წავალ? შენ რა, დავაინყდა, რომ მშია და ის მტრედიც შენ გამო დამისხლტა თათებიდან?

— ბოდიში, მაგრამ შემეცოდა.

— კარგი, კარგი. თავიდან ნუ მოჰყვები მაგ სისულელეებს. კარგად იყავი!

— შანტი, ცოტა ხნით ჩემთან დარჩი რა...
— ახლა რაღა მოხდა?

— შეხედე, რა მშვენიერი მთვარეა. რა საოცრად ანათებს! არ გინდა, ერთად ვუცქიროთ?

— არა! მშია!

— კარგი რაა, სულ ცოტა ხნით.

— რაც არის არის, აჰა, ვუცქიროთ.

— შანტი, მთვარე რას გაგონებს?

— უზარმაზარ ყველს!

ალექსანდრე კაკიაშვილი

მთვარე, როგორც ქაფის გორგალი



— შენ სულ საჭმელზე ფიქრობ. მე კი სერიოზულად გკითხე. ვიფიქრე, ცოტას ვიოცნებებდით, კრუტუნსაც მოვყვებოდი და ამ უჩვეულ ღამესაც დილის მზის სხივით გავითენებდით. აი, მე ეს მთვარე ჩვენ მეზობლად „Brod & Salt“-ის კაფეს მოდარაჯე ძაღლის, ბაქსის, ბენისბოლის ბურთს მაგონებს. მის დანახვაზე რომ ჭკუას კარგავს და მზადაა, პატრონთან მისატანად მთელი დღე წინ და უკან სირბილში ენაგადმოგდებულმა გაატაროს.

— ვერ ვიტან ბაქსის! საზიზღარი მყეფარია. უფლებას არ მაძლევს, რომ „Brod & Salt“-ში შევიპარო და სამზარეულოდან ახლად გამოშვებული თევზი მოვიპარო. არადა, რა გემრიელია! თათებსაც კი გაილოკავ. ის უჯიშო მყეფარი კი შემაძინევს თუ არა, მაშინვე ყეფას იწყებს და ჩემკენ გამოვბის.

— ჰო, ხასიათი მართლაც რომ საშინელი აქვს. მერე და როგორ იღრინება? მისი გადმოყრილი ეშვების დანახვისას გული შიშით მისკდება!

— სულ ტყუილად. შენ არ იცი, სინამდვილეში როგორი მხდალია. ამას წინათ, კაფეს მოპირდაპირედ, ტროტუარზე ჩავიარე. სულაც არ ვაპირებდი კაფეში შეპარვას, მაგრამ ისეთი შემომიღრინა, რომ გადავწყვიტე, ჭკუა მესწავლებინა! ტროტუარი

გადავიბინე და ჩხავილით ვეცი გაოგნებულ ბაქსს. სანამ გონს მოეგებოდა, გვარიანად ჩამოჩხაბანე და კაფეს აბრაზე ავძვეერი. აბრის თავზე მოვკალათდი და დინგჩამოჩხაბანილი ბაქსის ნკმუტუნით იქამდე ვერთობოდი, სანამ მზარეული ბობი გარეთ არ გამოვარდა და ბაქსის დამშვიდება არ დაუნყო. მეც, რა თქმა უნდა, დრო ვიხელთე. აბრიდან ჩუმად ჩამოვხტი და სამზარეულოში შევიპარე. სამზარეულომდე მთელი დარბაზი ისე გავიარე, რომ არავის შევუმჩნევივარ. ჩუმად, ფეხაკრეფით მივიპარებოდი და ასე აღმოვჩნდი მზარეულის თევზის მაგიდასთან. მაგიდიდან თავმოჭრილი, ახლად გამოშვებული თევზი თითქოს მემუდარებოდა, რომ თან ნამეყვანა და მისი გემო გამეგო. იცი, ძალიან მეუხერხულა. ამიტომაც თან ნამოვიყვანე და უკანასკნელი სურვილიც ავეუსრულე. მისტერ კაირო, რომ იცოდე ახლაც კი მახს-

გადავიბინე და ჩხავილით ვეცი გაოგნებულ ბაქსს. სანამ გონს მოეგებოდა, გვარიანად ჩამოჩხაბანე და კაფეს აბრაზე ავძვეერი. აბრის თავზე მოვკალათდი და დინგჩამოჩხაბანილი ბაქსის ნკმუტუნით იქამდე ვერთობოდი, სანამ მზარეული ბობი გარეთ არ გამოვარდა და ბაქსის დამშვიდება არ დაუნყო. მეც, რა თქმა უნდა, დრო ვიხელთე. აბრიდან ჩუმად ჩამოვხტი და სამზარეულოში შევიპარე. სამზარეულომდე მთელი დარბაზი ისე გავიარე, რომ არავის შევუმჩნევივარ. ჩუმად, ფეხაკრეფით მივიპარებოდი და ასე აღმოვჩნდი მზარეულის თევზის მაგიდასთან. მაგიდიდან თავმოჭრილი, ახლად გამოშვებული თევზი თითქოს მემუდარებოდა, რომ თან ნამეყვანა და მისი გემო გამეგო. იცი, ძალიან მეუხერხულა. ამიტომაც თან ნამოვიყვანე და უკანასკნელი სურვილიც ავეუსრულე. მისტერ კაირო, რომ იცოდე ახლაც კი მახს-

შეგნებულად არ გასურთ. არაა, პატივცემული შანტი! არამედ იმიტომ, რომ გემინიათ!

— მე? მეშინია?! მაინც რისი?!

— იმის, რომ ვერ გაგიგებენ და ეს თქვენს წარმოსახვაში ყველაზე დიდ კომპარად იქცევა.

— მანყენინე. მორჩა! მე ნავედი!

— მაპატიე, თუ კი რაიმე ცუდად ვთქვი, უბრალოდ ის ვთქვი, რასაც ვფიქრობდი.

— მერედა ბებრუხანა ფროლოდ არ გასწავლა, რომ ყველაფერზე არ უნდა იკნავლო?!

— კარგი რა, შანტი. ბოდიში ხომ მოგიხადე?!

— ბოდიში მომიხდა! სულელი ბენვის გორგალი ბრძანდებით, მისტერ კაირო! მე უთქვენოდაც კარგად ვიცი, ვინც ვარ და როგორც ვარ, მაგრამ ცუდი ისაა, რომ სამწუხაროდ მართალი აღმოჩნდით. გახსოვს, რომ მკითხე, თუ რას ვამსგავსებდი ამ მთვარეს?

— კი, მახსოვს.

— მე ის ვეებერთელა ძაფის გორგალი მგონია.

— ძაფის გორგალი? საინტერესოა! განაგრძეთ, პატივცემული შანტი.

— სიმართლე გითხრათ, ვერ ვიტან ღამეს. მე ის მარგარეტს მახსენებს...

— მარგარეტს? დამაბნე, ნუთუ ადამიანზე საუბრობ?!

— ჰო, ადამიანზე. მას მარგარეტი ერქვა. საოცრად გულუხვი და საყვარელი მოხუცი იყო. მაშინ გავიცანი, როდესაც ჯერ კიდევ კნუტი ვიყავი. ნაგავსაყრელზე გადაგებული ტომრიდან გულისწამლებად ვკნაოდი და შველას ვითხოვდი. მარგარეტი ჩემს ცხოვრებაში სწორედ მაშინ გამოჩნდა. იმ ტომრიდან ამოიყვანა, შინ წამიყვანა და რძითაც გამომასპინძლდა. ღამით კი თავის საწოლთან იატაკზე დაგებულ ფუმფულა ქვეშაგზე დამაწვინა, მაგრამ ვერ გავძელი. მეშინოდა... დიახ, მისტერ კაირო. მეშინოდა, რომ ეს ყველაფერი დროებითი არ ყოფილიყო და დილით ისევ ნაგავსაყრელზე არ აღმოვჩენილიყავი. ამიტომ ტირილი დავიწყე და საცოდავად ვკნაოდი. მარგარეტს შევეცოდე, ხელში ამიყვანა და თავის საწოლში ჩამაწვინა. იმ დღის მერე მე და მარგარეტს სულ ერთად გვეძინა. საღამოობით, როცა ყოველგვარ საქმეს მოილევდა და საყვარელ სავარძელში მოკალათდებოდა, ქსოვას იწყებდა. ვეებერთელა ძაფის გორგალს იატაკზე გააგორებდა და ასე ქსოვის დროს ჩაეძინებოდა მანამ, სანამ ჩემი კნავილით არ გავაღვიძებდი. მე კი სულაც არ ვჩქარობდი. იატაკზე გაგორებულ ძაფის გორგალთან თამაშით ვერთობოდი და მხოლოდ მაშინ ვინწყებდი კნავილს, როცა თამაში მომზებრდებოდა.

გამოღვიძებული მარგარეტი უმალ ხელში ამიყვანდა, რძით მიმასპინძლდებოდა და საძინებლისკენ ხელში აყვანილი მიყვავდა. განსაკუთრებით მის კალთაში ნებვირობა და კრუტუნი მიყვარდა. მსიამოვნებდა, როდესაც სიბერისგან დანაოჭებული თითებით თავზე მეფერებოდა და ტკბილი სიტყვითაც მეაღერებოდა. იმ დროს თავი ყველაზე ბედნიერ კნუტად მიმჩნედა, მაგრამ ეს ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. ბებია მარგარეტი შეუძლოდ გახდა და გარდაიცვალა. მე კი მისი გარდაცვალების შემდგომ ქუჩაში აღმოვჩნდი. ჩემი შინ დატოვება გულში არავის გაუვლია. არც ის, რომ სხვა პატრონზე გავეწუქებინე. ასე უბრალოდ და შეუბრალებლად ქუჩაში გამომისროლეს. მას შემდეგ ქუჩაში ვცხოვრობ და ყოველდღე თითგადარჩენისთვის ბრძოლა მიწვეს. აი, ეს მთვარე კი ის ვეებერთელა ძაფის გორგალია, რომელსაც ბებია მარგარეტი იატაკზე აგდებდა და რომლითაც მოწყენამდე ვერთობოდი. ამიტომაც მძულს ღამე. მთვარის დანახვისას, მაშინვე ოცნების მორემი მითრევს ხოლმე და წარმოვიდგენ, რომ იქ, სადღაც შორს, ბებია მარგარეტი თავის საყვარელ სავარძელში საქსოვადაა მოკალათებული და ჩემთვის მთვარე, როგორც ძაფის გორგალი, სათამაშოდ გამოუგორებია ცის კიდეზე...

— ამატირე, შანტი. ვერ წარმოვიდგინა თუ ასეთი სათუთი გული გქონდა.

— უსაშველოდ მენატრება ხოლმე ბებია მარგარეტი. მაგრამ რა? სხვა რა გზა მაქვს? მის გარეშე ცხოვრებასაც შევეწვიე და გარეული კატის ნილაბიც მოვირგე.

— პატივცემული შანტი, შეიძლება, რომ ჩაგეხუტოთ?

ოვს მისი უკანასკნელი სურვილის გემო.

— მერე და ბაქსიმ ვერ შეგამჩნია აბრიდან, რომ ჩამოხტი და დარბაზში შეიპარე?

— რას შემამჩნევდა? ხომ გითხარი, რომ ჩამოჩხაბანილი დინგს ენით ილოკავდამეთქი. ეგ კი არა, მზარეული ბობის მუხლებზე ისე საცოდავად დაედო ის გასიყვებული თავი, რომ შემეცოდა კიდეც.

— გასაკვირია...

— მაინც რაა გასაკვირი, მისტერ კაირო?!

— ის, რომ შებრალების განცდა გაგიჩნდათ, პატივცემული შანტი. თქვენგან, ასეთი ველური და ანჩხლი კატისგან, მსგავსი შეგრძნების გამოხატვა სწორედ რომ გასაკვირია.

— სულ კი არ შემეცოდათ. აი, ცოტათი და ისიც მალევე დამაწვინდა.

— კი, აბა რაა! მალევე... საერთოდაც, მგონია, რომ ასეთი ავტორიტეტის მიღმა ერთი პატარა, საყვარელი კნუტი იმალება.

— ამას ჩემზე ამბობთ, მისტერ კაირო?!

— დიახ, თქვენზე და იცით რატომ? ვფიქრობ, ასეთი კაპასი, კაპარჩხანა და ანჩხლი იმიტომ ბრძანდებით, რომ თქვენი რეალური პიროვნების გამჟღავნებისა გეშინიათ. გეშინიათ, გაამხილოთ ის დიდი სიყვარული, სინანული, სათნოება, რაც თქვენს გულშია. არა იმიტომ, რომ ამის გამხელა

— ახლა გეყოს! ძალიანაც ნუ გამითამამდები! მართალია, მხოლოდ შენ ერთს გაგანდე ყველაფერი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენთან ჩახუტებისა და კრუტუნის სურვილი გამაჩნია! თავი შეიკავებ, მისტერ კაირო!

— მე, მაინც ჩაგეხუტები...
— გამიშვი! რას აკეთებ? გასწიე შენი ალოკილი თათები!

— ნუ ბრაზობ, ამ ერთი ჩახუტებით არაფერი დაგაკლდება და არც უბნის სხვა კატებთან ვიტყვი, რომ შანტის ჩაგეხუტეთქი.

— დიდად დამავალე! ფუ, რა სისუფთავის სუნი აგდის, მისტერ კაირო!
— შანტი, ჩემო ძვირფასო. მე როგორც ვიცი, შენ მიმართ გულგრილი სულაც არაა ის საყვარელი გოგონა სახელად დაილა, რომელიც აქვე ახლოს, სვევაგენის ქუჩაზე ცხოვრობს და ისიც კარგად ვიცი, რომ მას ხშირად სტუმრობ ხოლმე.

— დაილა? საყვარელი და მზის პირველი სხივივით ნათელი გოგონაა. მასთან თავს კარგად ვგრძნობ. სხვებს ნამდვილად არ ჰგავს, სულ ცდილობს, რომ მომეფეროს და კარგად მომეცეს. მეც ამ მცდელობას ვუფასებ და, სხვათა შორის, მხოლოდ მას ვაძლევ უფლებას, რომ ხელში ამიყვანოს.

— მერედა, თუკი ასეა, არ გსურს, რომ მასთან დარჩე და უფლება მისცე, რომ გიპატრონოს?

— მინდა, მაგრამ...
— რა მაგრამ?
— არ ვიცი, მეშინია, მისტერ კაირო!

— მაინც რაა აქ საშიში?
— იმედგაცრუების მეშინია, მისტერ კაირო! არ მინდა, რომ ისევ გამოვცადო ის გულისტკივილი, რაც უკვე განვიცადე. მიჩვევია, ასე ხანდახან შევირბინო მის ეზოში და უფლება მიეცე, რომ მომეფეროს, მაჭამოს და მეთამაშოს, ვიდრე იმ მომენტის მოლოდინში ვიყო, თუ როდის მომინებს დაილას გარეშე ცხოვრების გაგრძელება.
— არ ვიცი, შესაძლოა, მართალიც ხარ, მაგრამ მე შენს ადგილზე სხვაგვარად მოვიქცეოდი.

— რაც არის, არის! ახლა უნდა ნავიდე. ძალიან მშია და როგორმე რაიმე უნდა ვიშოვო, რომ ეს შიმშილი დაეძლიო. ნახვამდის, მისტერ კაირო!

— ნახვამდის, პატივცემულო შანტი, და მადლობა, რომ ჩემთან გულწრფელი ბრძანდებოდი.

— ხო მართლა, ამ საუბარზე ნამოკრუტუნებაც არ გაბედო ჩვენი უბნის კატებთან, თორემ მაგ უღვაშებს სულ ღერა-ღერა დაგაცლი! გასაგებია?
— შენ მაგაზე არ იდარდო. არც კი ამოვიკნავლებ!

კრუტუნ-კრუტუნით დაშორდნენ ერთმანეთს მშვიდი შანტი და მთვარის საცქერლად სახურავზე ამძვრალი მისტერ კაირო. მეორე დღეს, როდესაც შუადღისპირი უკვე კარგა ხნის მონეული იყო და მცხუნვარე მზის სხივები სვევაგენის ქუჩის N78-ის სახლის ეზოს გვერდით ათბობდა, მისტერ კაირო სახლის აივანზე გასულიყო და აივნის მოპირკეთებულ რკინის მოაჯირზე მოკალათებული მზისგულზე უდარდელად ნებივრობდა, ყურთ შემოესმა ახალშექმნილი მეგობრის, შანტის, განწირული ჩხავილი. დამფრთხალი და შეცბუნებული კაირო მარდად ნამოხტა მოაჯირიდან და მეგობრის საშველად აივნიდან ისკუპა. სირბილით გაიბრბინა მთელი ეზო და დაილას სახლის ლოზეზე ახტა, რათა უკეთ დაენახა, თუ რა აჩხალებდა გაკაპასებულ შანტის?!
ლოზეზე ამხტარ მისტერ კაიროს დაილასა და შანტის დანახვაზე სიცილი აუტყდა და აგურით ნაშენებ ლოზეზე გულაღმა გაგორდა. მისტერ კაიროს დანახვაზე შანტის გული მიეცა და განწირულმა შეჩხავლა:
— რა დროს სიცილია, მისტერ კაირო. მიშველე!
— საშველი რა გაქვს? რას ერჩი დაილას? ხომ ხედავ, გულში გიხუტებს და შენი პატრონობა სურს?.. მე შენ ადგილზე ჩხავილს მოვრჩებოდი და სიამოვნებისგან ავკრუტუნდებოდი.
— მიშველე, კაიროო. არ მინდა, რომ ვინმე მიპატრონოს. მე ხომ მივეჩვიე ქუჩა-ქუჩა ნაწნალსა და ბაქსისნაირი სულელების დასჯას.
— მე რას გავხდები? ახლა უკვე დაილა შენი პატრონი და ის გადანყევს, როგორც უნდა მოიქცეს. შენ კი, გირჩევენია, დაუჯერო და მუდამ სავე კუჭით იკრუტუნო მის კალთაში ნამოგორებულმა.
— კი მაგრამ, ის ხომ ჯერ ბავშვია? ძაფის გორგალიც კი არ ექნება, რომ გადმოგიგდოს. ალბათ არც ქსოვისა გაეგება რამე.
— ისწავლის. შენ გამო ქსოვასაც ისწავლის.
— არ მატყუებ?
— რას კადრულობ, პატივცემულო შანტი? მე და ტყუილი? ღმერთმანი, რა სისულელეა!
— კარგი, შენი მჯერა, მისტერ კაირო! ოღონდ ძალიან გთხოვ, მარტოს ნუ დამტოვებ და ხანდახან მინახულე ხოლმე!
— გაირდები! მამ, მშვიდობით, პატივცემულო შანტი!
— მშვიდობით, მისტერ კაირო!
აი, ეს ამბავიც ასე მოხდა. ასე შეიძინა ჩვენი ძვირფასმა ველურმა, მუდამ ბენ-ვაშლილმა და კაპარჩხანა შანტიმ პატრონი სახელად დაილა და მისტერ კაირომ კი ერთგული და განუყრელი მეგობარი, ან უკვე დაილას სითბოთი განებივრებული თავად შანტი.
როდესაც დაილა სკოლაში მიდიოდა და მოხუცი ფროდოც გაზეთს ჩასჩერებოდა, განუყრელი მეგობრები ერთმანეთს სტუმრობდნენ და გასული დღის ამბებს ყვებოდნენ. ხოლო ღამით კი ისევ იმ სახურავზე ძვრებოდნენ და კაპაპა მთვარის ცქერით ტკბებოდნენ.
ამ ამბის თქვენამდე მოტანა კი მე, თქვენმა მონა-მორჩილმა, ვითავე. მაპატიეთ, თავიდანვე დამივიწყდა, რომ გაცნობოდი. მე მთელს სტოკჰოლმში ცნობილი კატის მოჩვენება ვარ, სახელად დევი. მართალია, ჩემი სახელით სტოკჰოლმის ყველაზე ცელქ კნუტებსაც ამინებენ, მაგრამ ისეთი საშინელიც არ ვარ, როგორადაც ისინი აღმიქვამენ. ერთ საიდუმლოს გაგანდობთ, თუმცა უნდა დამპირდეთ, რომ იმ გადარეულ შანტის არაფერს ეტყვი. მპირდებით? მამ, კარგი!

შანტის გაუჩინარება ყველაზე მეტად კაიროს „Brod & Salt“-ის მყეფარე ბაქსის უდარდა. ისიც კი უთქვამს, რომ მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა და როდესაც დაილას მიერ შანტის შეფარება გაუგია, ბედნიერებისგან ყეფით მთელი სვევაგენის ქუჩა აუკლია.
ახლა კი ჩემი ნასვლის დროა. მალე დალამდება. ცის კიდეზე მთვარე, როგორც ძაფის გორგალი, გადმოგორდება და მისტერ კაიროსა და პატივცემული შანტის შორი-ახლოს მეც მინდა ოცნების მორევში ჩავიძირო და ვეებერთელა გორგალს ვუტყვირო.



იყო და არა იყო რა, იყო ერთი გოგო. ნარცისა და ვუდახოთ ამ გოგოს. არც ისე პატარა იყო. არც ისე შავი თმები ჰქონდა, მაგრამ გრძელი, ძან გრძელი, თითქმის კოჭებამდე. ასე ამბობდა, კოჭებამდე რომ გამეზრდება ეს თმები, მე აქ აღარ ვიქნებო. არავინ იცოდა, სად აპირებდა წასვლას ნარცისა. ბებია ფიქრობდა, ალბათ გათხოვდება. ბაბუა ფიქრობდა, ალბათ ხუმრობსო. დედა ფიქრობდა, ალბათ ოცნებობსო. მამა ფიქრობდა, ალბათ გვემუქრებაო. პატარა ძმა ჰყავდა ნარცისას და იმას ეშინოდა, სად აპირებს ნეტა წასვლასო?! დიდი და ჰყავდა ნარცისას და იმას უხაროდა, მე დამრჩება მისი თოჯინაო. თან ეჭვობდა, ვაი და თოჯინაც წაიღოსო. უფრო სწორედ ნაიყვანოსო, რადგან ნარცისაც და მისი დაც თოჯინას სულიერად თვლიდნენ.

თამაშის დროს დაროს, ასე ერქვა თოჯინას, გამო ჩხუბობდნენ ხშირად გოგოები. მაგრამ მაინც თამაშობდნენ. მეგის, ნარცისას დას, განა არ ჰყავდა თავისი თოჯინა? ერთხელ დიდ ქალაქში იყვნენ დედა და მამა წასული. დიდი, დიდი ხნით. ელოდებოდნენ ბავშვები ბებიასთან და ბაბუასთან დატოვებულნი. რომ დაბრუნდნენ, მამა ძან, ძან გამხდარი იყო და დედა გასუქებული. თოჯინები ჩემოდნებში ისხდნენ. ერთი ცისფერთვალა და მეორე შავთვალა. აი, ეს შან და ეს შენო, დედამ. ვის რომელი უნდაო, არ უკითხავთ. მეგის შავთვალა და შავკულულა შეხვდა. ნარცისას კი ისედაც არ უყვარს თოჯინები, რად უნდოდაო, ფიქრობდა მეგი. მაინც ერთად თამაშობდნენ სახლობანას. გაშლიდნენ სუფრას, და ისვამდნენ თოჯინებს მუხლებზე, დაიჭიდნენ პატარა ფილებს ხელში, დასახამდნენ მწვანე ფოთლებს წყალს პატარა ჩაიდანში და იმართებოდა სტუმრობანა და ჭორაობა და ფაცი-ფუცი იასამნისფერი ქლიავის ხის ქვეშ კიბზე. ხანდახან მეზობლის გოგოებიც გადმოდიოდნენ თავიანთი შვილებით, ჩაიზე.

დრო გადიოდა და ნარცისას თმა იზრდებოდა. ჯერ წელამდე ჩავიდა. მეექვსე კლასში გადავიდა მაშინ. მერე ჩაუყვა თმა ქვემოთ. ნარცისაც იზრდებოდა, თმა ვერ ასწრებდა. ისე დაამთავრა სკოლა, რომ გრძელი თმები ბარძაყებამდეც ვერ მისუ-

ლიყვნენ. შუა გზაში დაიწყეს თმებმა დახვევა და დატალღოვება. გარდატეხის ასაკი იყო, ამბობდა დედა. ნარცისა იცდიდა. თოჯინები უკვე სხვენში ისხდნენ. მეგი უკვე გათხოვდას აპირებდა და ნარცისას ძმა ნუგო აღარ ფიქრობდა ნარცისას თმების ძილში შეჭრაზე, დავინყებოდა მისი საყვარელი დაიკოს სიტყვები. იასამნისფერი ქლიავის ხე უკვე გახმობას იწყებდა, როცა ნარცისამ განაცხადა, ეს ზაფხულიც და მე მივდივარო. ბებია უკვე ლოგინად ჰყავდა ჩავარდნილი. ბაბუა აღარ იყო ცოცხალი. მშობლებმა ნაუყრუეს. არავინ არაფერი თქვა.

გამოვიდა ნარცისა ერთ მშვენიერ დღეს სახლიდან, ჩაჯდა მატარებელში და — ჰეი, ჰეი, თავისუფლებავ! თმები კოჭებამდე იყო თუ არა, არავინ იცის. შეკრული ჰქონდა, როგორც ნამდვილ ქალს.

არ გასულა დიდი დრო, ვერ ვიტყვი. ნარცისა წერდა დედას წერილებს. მამას უთვლიდა მოკითხვებს. კონვერტებს უცხოური ასოებით ეწერა მისამართი. ერთხელ ნარცისამ დედას სთხოვა, ამ მისამართზე დარო გამომიგზავნეთო. დედამ ეს თხოვნა მეგის გადასცა. მეგიმ დარო ნაიყვანა. ამის მერე წერილი აღარ მოსულა დიდი ხანი. არავის არაფერი უფიქრია. თავისუფლებამ ესე იცისო, ცნობილი იყო.

ერთ ზაფხულის დღეს, ფოსტალიონი აღარ ჰყავდა სოფელს, დედა ფოსტაში გამოიძახეს. ნარცისას მამა უკვე ლოგინად იყო ჩავარდნილი. დედა ვერ წავიდა და ნუგო გაუშვა. ნუგომ მიატოვა ვენახის სხვა და დაეშვა სოფლის ცენტრისკენ, ისე აკაპინებული შარვლით და პერანგით, როგორც იყო. მივიდა და წერილის მაგივრად ერთი უცნაური შეკვრა დახვდა. დედამ რატომღაც შეკვრა არ გამოსტაცა ხელიდან სიხარულით ნუგოს. დადო და უცქერდა ერთი-ორი დღე. როცა მეგი მოვიდა თავისი პატარა შეხუჭუჭა გოგონათი, ბავშვს გაახსენებინა დედამ ნობათი. ერთი უცხოური თოჯინა აღმოჩნდა კოჭებამდე ქერა თმებით. ფოტო დავარდა ძირს. ნარცისას ფოტო. თეთრი პერანგი ეცვა და თმები გაცვნილი ჰქონდა. ფოტოს უკანა მხარეზე ეწერა: „დარო რატომ არ გამომიგზავნე, დაიკო?“


გოჩა კუჭუხიძე

„ბავშვი, რომელიც მე ვიყავი გუშინ... ახლახან...“

როცა გიორგი ლობჯანიძის ლექსების ახალ კრებულს გავეცანი („აქილევსის გული“; ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება და „ჩვენი მწერლობა“, თბილისი, 2023), პირველი, რამაც ჩემი ყურადღება მიიქცია, არის მთლიანობა, ერთიანი შეკრულობა კრებულისა — ჩვენ წინაშე სხვადასხვა დროს დაწერილი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ლექსები კი არ არის წარმოდგენილი, ეს გახლავთ ერთი შინაგანი განწყობით, ერთმანეთთან ჰარმონიულად გადაჯაჭვული სტრიქონები პოეტისა, რომლებსაც ძირითადად ერთი განწყობილება, ერთი სადარდებელი და სიხარული, იმედი ამთლიანებს... რადგან დღეს იმისი დრო არ არის, ცალ-ცალკე მიმოვიხილო აქ დაბეჭდილი ლექსები, ვარჩიე, საერთოდ, კრებულზე მესაუბრა ძალიან მოკლედ და ის ძირითადი მუხტი გამომეყო, რამაც ახალი წიგნის აღმოცენება განაპირობა; მერე სათაურზე დაფიქრდი და მივხვდი, ბევრი ფიქრი რომ არ იყო საჭირო — „აქილევსის გული“ დაურქმევია ავტორს წიგნისთვის, ერთ-ერთი ლექსის სათაური გამოუტანია მთელი კრებულის სახელად და გასაგები გახდა, სწორედ ეს სიტყვები რომ გამოხატავს მთელი კრებულის მთავარ სათქმელს, მათში რომ არის დავანებული ის სულთქმა, რამაც ლექსების ეს ციკლი შეაქმნევინა გიორგი ლობჯანიძეს: „მხოლოდ შენ გვერდით ვარ აქილევსი, / ვერაფერი ვერ მომერევა... / შენ რომ არ მყავდე, / საყვარელო, / ცოდო მერე ვარ... / ეგ სინაზა ჩემი სიმტკიცე / და მყარად დგომა, / მე არაფერი ვიქნებოდი / ქვეყნად, / შენ რომ არ...“ ამ სტროფის ბოლოს დაწერილი მეტყველი სამი წერტილის შემდეგ ხედავ, სასწრაფოების წინაშე რომ დგას ადამიანი, მაგრამ კითხულობ შემდგომ სტრიქონებს და ისიც ცხადად ჩნდება, დიდ სიყვარულს ღვთაებრივი ძალისად რომ გარდაუქმნია პოეტის გული, ნათელი ხდება, საყვარელი ადამიანის გულიც რომ აძგერებულა პოეტის გულში („გული იმით ძგერს, / რომ მაგ თვალთა ვარსკვლავების ცეცხლი უნთია, თორემ სხვაგვარად / მხოლოდ ერთი სუსტი კუნთია“...), პოეტში ჩახახლებული სწორედ ეს გული რომ გამხდარა სასიცოცხლო ძალის მომნიჭებელი („და რა ქუსლები, / საით წავა? / რას გაგეცევა... / როცა შენ უცემ გულად, / მამაც გულად / აქილევსს“) ... ქალღმერთ თეტიდასაგან განსხვავებით, მთლიანად განუზახნია საყვარელ ადამიანს უკვდავების, ამ შემთხვევაში, სიყვარულით მაცოცხლებელ წყალში, ამ წიგნის ავტორი, მის გულში თავისი გულით აძგერებულა, ღვთაებრივი სისხლით აუძგერებია პოეტის გული და გამამაცებულა ეს გული, გამამაცებულა და ისეთი ცხოველმყოფელი გამხდარა, რომ ამალორძინებელ ენერგიით ავსებს იმ ად-

ამიანს, სულისა და სხეულის განუყოფელ ნაწილად რომ ჰქცევია... კითხულობ ამ სტრიქონებს და იმასაც ხედავ, სათუთი რომ არის პოეტის გული, მაინც აქილევსის ქუსლთან აკავშირებ ასოციაციით ლექსისა და მთელი კრებულის სათაურს და მთელი სიღრმით იცნობიერებ, როგორი სიფრთხილით, როგორი სიყვარულით უნდა მოექცე პოეტისა და, საერთოდ, ადამიანის გულს, წუთისოფლური გრძნობებით ატანილმა ტკივილი რომ არ უნდა მიაყენო მას, თუკი ადამიანი გქვია; წუთისოფლური ისარი რომ არ უნდა სტყორცნო რაიმეზე გაბრაზებისა თუ სულში სხვა რამ ცოდვის მომძლავრების ჟამს, რადგან ადამიანის სასიცოცხლო, ღვთაებრივი ძალაა გულში დავანებული და ღვთაებრივთან კი მოკრძალება მართებს ადამიანს...

გულისმიერი ლექსები ჭარბობს ამ კრებულში და ამიტომ გულზე გავამახვილე ყურადღება, მაგრამ გულისმიერება და გულისხმიერება ძლიერ გონებასთან თუ არ არის შერწყმული, ცხადია, ისე არც კარგი ლექსი დაინერგება და, საერთოდ, სრულყოფილი ვერ იქნება ადამიანი; გიორგი ლობჯანიძის ლექსებში სრულ უგონო ვნებას ვერსად ნახავთ, ზოგჯერ იქნებ გაბრაზდეს ამ წუთისოფლურ გაუტანლობაზე, არაერთ ლექსში იქნებ ზერელე და ფარისეველი ადამიანების მიმართ გაღიზიანებული კაცის სტრიქონებსაც მოკრათ თვალი — ისეთების, „დავარცხნილებს“ რომ უნოდებს ავტორი („რა ჭკვიანები ხართ, / დავარცხნილები, / ლამაზები, / მონესრიგებულნი. / როგორ კარგად ათავსებთ / თქვენს შიგნით პოეზიის სიმართლეს / ამქვეყნიური ზაკვის სიცრუესთან“), მაგრამ ამ ლექსებში გონება არასოდეს იხევს უკან და წმიდად ფილოსოფიური ლირიკის ნაკადიც გამოერევა ხოლმე ხშირად: „სხეული არა, / მომე / შენი / ანტიხეული...“ — იტყვის ერთ ლექსში, „პოსტკორონასული ეპიტაფია“ რომ ჰქვია და „კარგი გული მაშინვე იგრძნობს“, მხოლოდ პანდემიის თემაზე რომ არ არის მასში საუბარი — პანდემიის დროს ფიზიკურად დაცილდნენ ადამიანები ერთმანეთს, აქედან გამომდინარე ზოგში



სულიერებამ წამოიწია წინ და ქალსა და კაცს შორის უფრო სულიერი ერთობა გამოყარდა, სხეულებრივადაც განიწმინდნენ ისინი თითქოს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ჩაკეტილობამ სულიერადაც დააცილა ადამიანები და, თუ ამ გარემოებაზე გადავიტანთ ყურადღებას, მაშინ ირონიას კარგად დავინახავთ ლექსში — პირბადეებითა თუ ხელთათმანებით შეფუთული ადამიანები თათმანებიან ხელებს უწვდებიან ერთმანეთს, ეშინოდათ ერთიმეორის, მართლა ანტიხეულებში ჩასახლებულ სულებს დამსგავსებოდნენ, შემდეგ კი ამ სულიერმა სიშორემ და განცალკევებულობამ პოსტკორონასული დროშიც გადმოიბუდა და ირონიული ლექსის საფუძველიც სწორედ ამ ფაქტმა შექმნა... ზოგჯერ ისეთ სიტყვებს დანერს ხოლმე პოეტი, ოჯახურ სიტუაციას, სიმყუდროვეს რომ გაგრძნობინებს რამდენიმე სიტყვით: „მეზობელი / შვილს ეძახის / ღია ფანჯრიდან: — ნოე, ამოდი სახლში ჩქარა! / წვიმა იწყება“ (ლექსს ჰქვია „რეალური ჰაიკუ“); არ ვიცი, მართლა ნოე ჰქვია თუ არა გიორგის მეზობელს, მაგრამ

იმას ალბათ ყველა ვხედავთ, ღვთაებრივ ტაძრად რომ აქვს წარმოდგენილი ლექსის ავტორს ოჯახი — იმ ტაძრად, რომელსაც ნოეს კიდობნის სახეს მისცემდნენ ხოლმე ზოგჯერ ტაძართა აღმშენებელი და რომლიდანაც ღმერთისა თუ ღვთისმშობლის ხმად მოგესმის შენი ოჯახიდან, ამ ტაძრიდან, გადმოძახილი, წუთისოფლური წარღვნისაგან რომ გიცავს ადამიანს... „თავს ვგრძნობ, / როგორც ფულზე გამოსახული წმინდანი, / რომელიც გაიძვერა მდიდრების ხელშია / და პატიოსან ღარიბებს / ვერაფრით ეხმარება“ — იტყვის პოეტი სხვა ჰაიკუში და ხედავ, როგორ ცდილობს ეს წუთისოფლური წარღვნის მომასწავებელი მორევი, ფარისევლური სულის ტყვეობაში მოაქციოს ადამიანი, თავისი ინტერესებისათვის გამოიყენოს მისი ნიჭი და ნამდვილ ცხოვრებას კი დააცილოს, ადამიანისათვის ზრუნვის სურვილი გადაავიწყოს... დაახლოებით იგივე სათქმელი ისმის ლექსიდან — „ელეგია“: „როგორ ზრიალებს ყველაფერი, როგორ მოინევს / ნამდვილი ხმების, წრფელი გულის გადასაყლაპად... / გაფითრებულა და სახეზე ხელებს იფარებს / ბავშვი, რომელიც მე ვიყავი გუშინ... ახლახან...“

საბედნიეროდ, ცხოვრებას არ გაუნადგურებია გიორგი ლობჯანიძე იმ ხალისიანი ბავშვი, რომელსაც მართლა მისი ბავშვობიდან იცნობს პოეზიის მოყვარული საზოგადოება და რომელსაც ბავშვობიდან მოსულად აღიქვამს დღესაც მრავალი; მართლაც „ბავშვობიდან წარმოიღვინოს, რომ მხოლოდ სევდაა მოძალელებული კრებულში: „რა ვუთხარი იმ სიყვარულს, / მოსახდენი თუ არ მოხდა?“ — ღიმილით გვეუბნება ერთ ლექსში ავტორი, „სალალობო — 3“ რომ ჰქვია, სათაურით ალბათ ლადო ასათიანსაც რომ ეხმაურება გარკვეულწილად და თავისებური ღიმილი ასე შემოაქვს წიგნში...

გიორგი ლობჯანიძისათვის ერთი თვისებაა დამახასიათებელი — თავის ლექსებში ხან ოჯახის წევრზე დანერს ხოლმე, ხან მასწავლებელზე, ხან მეგობარზე, ხანაც — რომელსამე შორეულსა თუ ახლო ნაცნობზე და ამით პოეტურ სამყაროში შემოჰყავს ეს ადამიანი და შეიძლება ითქვას, რომ პოეზიის სულს ყოფით ცხოვრებაში, ჩვეულებრივ ურთიერთობებშიც ამკვიდრებს; წიგნში ნახავთ ლექსებს, რომელთაგან უმეტესობა მუელის, სხვა კი დებისა და შეიღებულად არის მიძღვნილი; ამ კრებულში დაბეჭდილი ლექსები ეძღვნება: თეა მიქაიას, ლიკა კაჭარავას, გ. ე.-ს, ნიკას, ნუნუ გელაძეს, მანანა ზარბიძეს, თამარ ბარჯაძეს, ვიქტორას რუდუინსკასს, ზაბინე შიფერს, ნინო შარაშენიძეს... გულწრფელობა და გულგახსნილობა პოეტისთვის დამახასიათებელი, ძალზე ახლოდან და განსაკუთრებული დისტანციის გარეშე, ჩვეულებრივ ყოფით ცხოვრებაში მყოფი ადამიანი იხატება ხოლმე ლექსებიდან ხშირად; ამგვარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „უპოზო პოეტური პოზა“ არის გიორგისთვის დამახასიათებელი და ეს ართულებს კიდევ ლექსების ავტორის ცხოვრებას, რადგან ლექსის წერის დროს ხშირად სხვანაირია ადამიანი და ყოფით ცხოვრებაში კი — შეიძლება სხვაგვარი იყოს; თომას მანის ტონიო კროგერი მახსენდება ამ სიტყვების წერისას და, როცა გიორგი ლობჯანიძის ამ პოეტურ სტილზე ვფიქრობ, სულ მგონია, რომ ადვილი არაა მისთვის ყოფითი ცხოვრება — იმ გიორგისგან, რომელიც ხან ქუჩაში შეგხვდება თავისებური მეგობრული ღიმილით (ზოგჯერ შინაგან სევდას რომ მალავს ამ თბილი ღიმილის მიღმა), ხან ოჯახში, ან სადმე სხვაგან, ირგვლივ მყოფნათაგან ბევრნი შთაგონებული პოეტური სულის დანახვას ამ ყოფით ცხოვრებაშიც ხშირად ითხოვენ ხოლმე და ეს კი ადვილი ნამდვილად არ არის პოეტისთვის...

